40 В.Ильинская. Относительная хронология раннескифских курганов бассейна реки Тясмы. СА 1973, № 3, с. 4, 21, 22.

41 Е.Ф.Покровская. Предскифское поселение у с.Жаботины. СА, 1973, № 4, с. 181-183.

Курган № 15, близ с. Константиновки, отнесен ко второй четверти VI в. до н.э.<sup>42</sup> и к концу VII в. до н.э.<sup>43</sup>, а Каневский курган — к VI в. до н.э.<sup>44</sup>.

Жемгалинский клад по кружкам с "зооморфными ручками", входящим в его состав, датирован VIII в. до н.э.<sup>45</sup>, точнее концом VIII в. до н.э.<sup>46</sup>.

Здание № 25 крепости Кармир — Блур, где рядом с ручкой от ситутлы найдено железное оружие, отнесено к VII-VI вв. до н.э.<sup>47</sup>. Этот же комплекс Р.Абрамишвили причисляет к комплексам III ступени эпохи широкого освоения железа, т.е. ко второй половине VII и VI вв. до н.э.<sup>48</sup>.

В погребении № 10 "Колумбария" Малакля обнаружена ручка от сосуда указанного типа. "Колумбарий" в целом, в том числе и погребение № 10, датированы VII<sup>49</sup>, второй половиной VII и VI вв. до н.э.<sup>50</sup>.

Клад из Лухвино, где тоже зафиксирована бронзовая ситутла, А.А.Иессеном датирован IX-VIII вв. до н.э.<sup>51</sup>; эту датировку разделяет и Д.Коридзе<sup>52</sup>.

Квишарский клад опубликован Г.Ниорадзе дважды: первоначально он его отнес к XII в. до н.э.<sup>53</sup>, позднее же к VII в. до н.э.<sup>54</sup>. Д.Коридзе относит клад к начальному периоду I тыс. до н.э.<sup>55</sup>.

Клад из Окуреши — инвентарь, в который входят ситутла и две кружки, датирован VII в. до н.э.<sup>56</sup> и началом I тыс. до н.э., т.е. X-IX вв. до н.э.<sup>57</sup>. Подобная датировка, по нашему мнению, требует пересмотра.

Д.Коридзе установил, что Окурешский, Квишарский, Сурушский, Цонский, Перевский и Лухванский клад являются синхронными памятниками; их объединяет плоский бронзовый топор. По его мнению, эти клад следует датировать началом I тыс. до н.э.<sup>58</sup>.

Однако, следует отметить, что удила, входящие в состав Сурмушского клада, являются ближайшей аналогией для бронзовых удил из Новочеркасского клада, отнесенных к I типу удил по классификации А.А.Иессена и хорошо датированных серединой VIII — серединой VII вв. до н.э. (750-650 гг.), либо временем не позднее рубежа VIII-VII вв. до н.э.<sup>59</sup>. Примерно этим же периодом — концом VIII и первой половиной VII в. до н.э. датирует тот клад Ю.Воронов<sup>60</sup>. Мы полагаем, что

42 А.А.Иессен. Указ. соч., с.101.

43 В.Ильинская. Указ. соч., с.14.

44 Б.Б.Пиотровский. Указ. соч., с.242-243.

45 Е.И.Крупнов. Указ. соч., с.28.

46 Е.И.Крупнов. Древняя история Сев.Кавказа. М., 1960, с.128.

47 Б.Б.Пиотровский. Указ. соч., с.242-243.

48 Р.Абрамишвили. Указ. соч.

49 Б.А.Куфтин. Урартский "колумбарий" у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит. ВГМГ, XII-В, Тбилиси, 1944.

50 Р.Абрамишвили. Указ. соч., с.373.

51 А.А.Иессен. Клад из селения Лухвано в Грузии. Сообщ.Гос.Эрмитажа, XII. Л., 1962, с.46.

52 Д.Л.Коридзе. К истории Колхской культуры. Тбилиси, 1965, с.117.

53 Г.К.Ниорадзе. Археологические раскопки в селе Квишари. ВГМГ, XV-В, Тбилиси, 1948, с.20.

54 Его же. Археологические находки в селе Квишари. СА, XI, 1949, с.194.

55 Д.Л.Коридзе. К истории..., с.116-117.

56 Б.А.Куфтин. Урартский "колумбарий" у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит. ВГМГ, XII-В, Тбилиси, с.26-28.

57 Д.Л.Коридзе. К истории..., с.11.

58 Д.Л.Коридзе. К истории..., с.116.

59 А.А.Иессен. К вопросу о памятниках VIII-VII вв. до н.э. на юге европейской части СССР, СА, XVII, 1953, с.107, 109.

60 Ю.Воронов. О хронологических связях ...

сурмушский клад следует датировать рубежом УШ-УІ вв. до н.э. И так как сомневаться в синхронности всех вышеперечисленных кладов у нас нет основания, считаем, что Окурешский клад также относится к рубежу УШ-УІ вв. до н.э.

Клад из Мехчисихе, в составе инвентаря которого засвидетельствован фрагмент сосуда указанного типа, отнесен исследователями к III стадии бытования металла на Кавказе (конец II - начало I тыс. до н.э., по А.А.Иессену)<sup>61</sup>. Началом I тыс. до н.э. датирует этот клад Б.А.Куфтин<sup>62</sup>. В основном разделяя датировку Б.А.Куфтина, Д.Коридзе при этом однако отмечает, что верхним хронологическим пределом для данного клада следует считать время не позднее начала УШ в. до н.э.<sup>63</sup>.

Погребение № 91 могильника Красный маяк, где найдена бронзовая ситупа, датировано УШ-УІ вв. до н.э.<sup>64</sup>.

Особое внимание следует уделить металлической посуде из кобанских могильников. Здесь зафиксировано всего семь фрагментов от разных сосудов<sup>65</sup>, причем на собственно верхнекобанском могильнике всего три экземпляра<sup>66</sup> - одно доннышко и две ручки для Кобани, давшей более 20000 предметов<sup>67</sup>, эта цифра выглядит крайне незначительной и бесспорно указывает на то, что металлическая посуда для нее в общем не характерна.

По сообщению Н.Ольшевского, зафиксированная здесь бронзовая посуда происходит из погребений верхнего, т.е. позднего слоя Кобанского могильника<sup>68</sup>. Ер. Шантр причисляет их к материалам древнейших погребений<sup>69</sup>, по мнению же П.С.Уваровой, "к эпохе появления железа или к концу бронзового века следует, вероятно, отнести и бронзовые сосуды, добытые в верхних слоях Кобанского могильника<sup>70</sup>. Что касается нижнего слоя, его П.С.Уварова датирует УШ в. до н.э.<sup>71</sup>. Следовательно, подразумевается, что бронзовая посуда указанного типа относится исследователем к более позднему времени. И хотя со времени издания книги П.С.Уваровой прошло более 80 лет, предложенная ею для металлической посуды датировка выглядит сегодня вполне убедительной.

Остается рассмотреть Тлийский могильник, в материалах которого более сорока кружек с зооморфными ручками.

Погребения, в состав которых входит бронзовая посуда указанного типа, Б.Теховым в совокупности датируется XII-VI вв. до н.э. К XII-X вв. до н.э. отнесен следующие погребения: № 13,<sup>72</sup> 16а, 18, 74б, 76, 83, 100, 108, 133, 156, 190, 201, 229, 231, 234, 244, 254, 256, 259, 264, 266, 286, 291<sup>73</sup>. Концом X - IX вв. до н.э. датированы погребения № 51<sup>74</sup>, 140, 198, 233, 248, 252, 263, 269,

<sup>61</sup> А.И.Иессен. Древнейшая металлургия Кавказа и ее роль в Передней Азии.

Ш межд. конгресс по иранскому искусству и археологии. М., 1939.

<sup>62</sup> Б.А.Куфтин. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, по данным археологии ВГМГ, XII-V, 1944, с.328, р.21, 22.

<sup>63</sup> Д.Коридзе. Указ. соч., с.119.

<sup>64</sup> М.М.Трапш. Древний Сухуми. Труды, II. Сухуми, 1969, табл. XIV, с.158, 168.

<sup>65</sup> Е.И.Крупнов. Жемталинский клад. М., 1952, с.25.

<sup>66</sup> П.С.Уварова. Могильники Северного Кавказа. МАК, УШ, с.71.

<sup>67</sup> А.А.Иессен. Указ. соч., с.115.

<sup>68</sup> П.С.Уварова. Там же.

<sup>69</sup> Там же.

<sup>70</sup> П.С.Уварова. Указ. соч., с.368.

<sup>71</sup> Там же, с.361

<sup>72</sup> Б.В.Техов. Центральный Кавказ в XVI - X вв. до н.э. М., 1977, с.73.

<sup>73</sup> Б.В.Техов. Тлийский могильник, I. Тбилиси, 1980, с.14 - 47.

<sup>74</sup> Б.В.Техов. Тлийский могильник, II. Тбилиси, 1981, с.6.

277, 302<sup>75</sup>. К УШ – первой половине УП в. отнесены погребения № 130, 144, 162, 170<sup>76</sup>. К УП–УІ вв. до н.э. – погребения № 130, 139<sup>77</sup>.

Кружки с "зооморфными" ручками найдены на Тлийском могильнике как в мужском, так и в женском захоронениях. Усматривая определенное сходство ручек от кружек с головками животных, Б.Техов высказывает мнение, что появление посуды этого типа на Сев.Кавказе совпадает с появлением здесь скифских племен – носителей т.н. "скифского стиля"<sup>78</sup>.

По словам Б.Техова, глубокое и всестороннее изучение бронзовой культуры Центрального Кавказа, в особенности же южных его склонов, привело его к заключению, что Тлийские комплексы, содержащие в себе кружки указанного типа, следует датировать XI–X вв. до н.э., невзирая на то, что подобная посуда не только не выходит из употребления в последующий период, а наоборот – в комплексах X–УШ вв. до н.э. она встречается в гораздо большем количестве, чем в материалах предшествующего времени<sup>79</sup>.

Однако при ближайшем знакомстве с перечисленными комплексами вырисовывается совершенно иная картина. Выясняется, что в погребениях XI–X вв. обнаружено 25 кружек, в погребениях конца X и IX вв. до н.э. – 10 шт. и еще шесть штук – в погребениях УШ и I половины УІ вв. до н.э.

Б.А.Крупнов, а затем Б.Техов категорически отрицают галльстатское происхождение посуды данного типа. Б.Техов оставляет без внимания тот факт, что описанные металлические сосуды изготовлены в подражание глиняным сосудам, столь характерных для Колхидской культуры<sup>80</sup>. Впрочем, в одной из своих работ Б.Техов отмечает, что по форме глиняные кружки (2 экземпляра Тлийского могильника) представляют собой прототипы для металлической посуды того же типа. Кроме Тлийских кружек, автор в качестве аналогий приводит глиняную посуду с Цхинвальского Нацаргора<sup>81</sup>.

Глиняные кружки культуры Центрального Кавказа вообще, а в частности, тлийского могильника, как по форме, так и в особенности, зооморфными ручками, не пригодны в качестве аналогий и тем более прототипов металлических сосудов, что же касается глиняной посуды Нацаргора, она сама изготовлена в подражание колхидской керамике, в частности керамике холма Наохваму.<sup>82</sup> Однако сегодня мы не будем углубляться в рассмотрение этого вопроса, полагая, что целесообразнее заострить внимание на обоснованности датировки ряда погребений тлийского могильника, содержащих металлические кружки XI–X вв. до н.э.

К сожалению, даты, предложенные Б.Теховым, ничем им не обоснованы, хотя он и пишет, что пришел к своим выводам в итоге тщательного изучения материала. В действительности, даже поверхностное их рассмотрение заставляет нас усомниться в справедливости его заключений.

Обратимся, например, к погребению № 16 тлийского могильника. В нем, как известно, засвидетельствованы остатки двух скелетов, один из которых потревожен (захоронение № 16а), другой же в хорошей сохранности (захоронение № 16б). С

<sup>75</sup> Б.В.Техов. Скифы и материальная культура Центрального Кавказа. Скифия и Кавказ. Киев, 1980, с.220, 231.

<sup>76</sup> Б.В.Техов. Скифы и Центральный Кавказ в УІ–УІ вв. до н.э. М., 1980, с.30, 31, рис.10, 11.

<sup>77</sup> Б.В.Техов. Центральный Кавказ в ХУІ–Х вв. до н.э. М., 1977, с.73.

<sup>78</sup> Там же.

<sup>79</sup> Б.В.Техов. Очерки древней истории и археологии Юго-Осетии. Тбилиси, 1971, с.202.

<sup>80</sup> Б.В.Техов. Очерки древней истории Юго-Осетии. Тбилиси, 1971, с.202.

<sup>81</sup> Б.В.Техов. Раскопки Тлийского могильника в 1960 г. СА, № 1, 1963, с.164.

<sup>82</sup> Г.Гобеджинвили. Цхинвальская Нацаргора. Мимомхилвели, Ц. 1951, с.247.

первым костяком найдены следующие бронзовые предметы: два колхидских топора с графическим декором, кинжал, два браслета, две ажурные и одна сплошная пряжка и кружка с зооморфной ручкой. Второй костяк сопровождался бронзовыми пряжкой, фибулой, кольцом, пуговицей, фрагментом ситулы и железным топором и кинжальным клинком.

Погребение № 16 Б.Техов первоначально датировал не дифференцированно VIII-VI вв. до н.э.<sup>83</sup>. В дальнейшем он разделил это погребение на два захоронения № 16а и 16б, предложив для первого приблизительно XI в. до н.э.<sup>84</sup> затем - конец X в. до н.э.<sup>85</sup>, для второго сперва - конец VIII, VII вв. до н.э.<sup>86</sup>, затем - VIII - первая половина VII в. до н.э.<sup>87</sup>. К сожалению, Б.Техов ничем не обосновывает ни первую датировку, ни дальнейшие ее изменения; это обстоятельство само собой лишает их какой-либо ценности.

Рассмотрение инвентаря могилы № 16 убеждает нас в том, что ее два захоронения - 16а и 16б не могут быть столь отдалены по времени друг от друга, как это полагает их раскопщик. Они должны уместиться в пределах второй половины VIII - начала VI вв. до н.э., причем захоронение 16а следует датировать концом VIII - VII вв. до н.э. и ни в коем случае, не позднее VII в. до н.э., захоронение же 16б - VII - VI вв. до н.э.

На эти даты указывает бронзовый кинжальный клинок захоронения 16а, прямые аналоги которого известны на могильниках Эргета, Нагвзиани, Палури VIII-VI вв. до н.э.<sup>88</sup>, и фибула, твердо датированная VIII-VII вв. до н.э.<sup>89</sup>. На эту же дату указывает бронзовая пряжка, украшенная узором из лентообразных ломанных полосок, образующих косую крестоподобную сетку. Таким узором украшены пряжки погребений могильников Эргета, Палури, Мухурча, относящихся к VIII-VI вв. до н.э.

Художественно-стилистический анализ графического декора колхидской и кобанской бронзы показал, что этот самобытный художественный феномен ни по содержанию, ни по форме не является застывшим; к такому же заключению пришел Ю.Воронов в связи с датировкой тлийских захоронений. Следовательно, невозможно предположить, чтобы бронзовые пряжки с вышеописанным узором бытовали на протяжении 400-500 лет без изменений, и поэтому датировать погребение, содержащее подобную пряжку, XI в. до н.э. не допустимо.

Датирующими в инвентаре захоронения 16б являются первым делом железный топор и кинжальный клинок. Их аналоги находятся в комплексах Мухурча, Эргета, Палури, Горадзири, Красного маяка, датированных VII-VI вв. до н.э.<sup>90</sup>; так же датируются фибулы с тонкими дужками.

Ярким примером датировки, требующей пересмотра, может служить еще одно

83 Б.В.Техов. Могильник эпохи поздней бронзы в с.Тли. СА, № I, 1960, с.167-171, 177.  
84 Его же. Очерки древней истории и археологии Кю-Осетии. Тбилиси, 1971, с.156.  
85 Его же. Тлийский могильник, I. Тбилиси, 1980, с.15.  
86 Его же. Очерки древней истории..., с.157.  
87 Его же. Тлийский могильник, II. Тбилиси, 1981, с.28.  
88 Т.К.Микеладзе. О некоторых результатах полевых исследований в зонах новостроек колхидской низменности в десятой пятилетке. Археологические исследования на новостройках Грузинской ССР. Тбилиси, 1982, с.78-86, табл. XXXIII, 7, 8; Н.И.Окропиридзе, М.З.Барамидзе. Палурское "садавле". Материалы археологии Грузии и Кавказа, VI. Тбилиси, 1974, с.110-118, табл. XVII, 537.  
89 Ю.Н.Воронов. Там же.  
90 Э.М.Гогоадзе, Ц.О.Давлианидзе. Горадзири (на груз.яз.). 1981, с.11; М.М.Трапиш. Труды, т. II. Сухуми, 1971.

погребение - № 76. Б.Техов датировал его первоначально VIII-VII вв. до н.э.<sup>91</sup>, затем передатировал - XI - X вв. до н.э.<sup>92</sup>. Ю.Воронов совершенно справедливо предложил датировать этот комплекс серединой - третьей четвертью VII в. до н.э.<sup>93</sup>. Такая датировка подтверждается почти полной тождественностью инвентари тлийского погребения № 76 и Чабарухского клада. В обоих комплексах имеются одинаковые бронзовые пояса, кружки с зооморфными ручками, топоры со свастикой на лопастях, фибулы; в обоих имеются кинжалы разного типа, встречающиеся вместе в некоторых тлийских погребениях (например, погр. № 56, 98 и др.). Следовательно, поздняя дата погребения № 76 не вызывает сомнения.

Можно привести еще много примеров необоснованной, неправильной датировки тлийских погребений с бронзовыми кружками, но полагаем, выше рассмотренное погребение № 16 в этом отношении достаточно красноречиво. Таким образом, с уверенностью можно сказать, что все погребения тлийского могильника, содержащие бронзовые кружки, поздние, т.е. уместаются в рамках VIII-VI вв. до н.э. Помимо вышеприведенных доводов, об этом свидетельствуют черешковне кинжальные клинки, серебряные, электровые и золотые спиральные подвески, бронзовые треугольные ажурные подвески, браслеты со спиральными концами, входящие обычно в инвентарь погребений с означенными кружками.

Мы постарались показать, что даты, предложенные Б.Теховым, для определенной категории погребений тлийского могильника, требуют весьма значительных изменений. К сожалению, то же следует сказать и о других погребениях, первым делом о тех, которые отнесены им к XIII-X вв. до н.э., однако, по основным датированным предметам, безусловно более поздние и, как мы полагаем, принадлежат к VIII-VI вв. до н.э. Передатировку некоторых погребений счел необходимым и Ю.Воронов.

Правильная датировка тлийского могильника имеет принципиальное значение, т.к. от этого в значительной степени зависит датировка Верхнекобанского могильника, что, со своей стороны, связано с датировкой Кобанской культуры в целом.

<sup>91</sup> Б.В.Техов. Раскопки тлийского могильника в 1960 г. СА, № I, 1963, с.162.

<sup>92</sup> Его же. Тлийский могильник (комплексы XVI-X вв. до н.э.). Тбилиси, 1980, с.6, 14.

<sup>93</sup> Ю.Н.Воронов. О хронологических связях Киммерийско-скифской и Колхидской культур. В сб.: Скифия и Кавказ. Киев, 1980, с.205.

თამაზ კილერაძე

მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა=ჩამოყალიბების  
საკითხისათვის საქართველოს ტერიტორიაზე

მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა=ჩამოყალიბების, ანუ ე.წ. „ნეოლითური რევოლუციის“, პრობლემა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო არქეოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა რიგს მიეკუთვნება. იგი ფართოდ ისწავლება როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლა, ე.ი. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვა=ჩამოყალიბება, ერთერთი უმნიშვნელოვანესი გარდატეხის პერიოზია ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში. აკად. ვ. ი. ვარნადსკი წერდა, რომ მიწათმოქმედების აღმოჩენამ, მიწათმოქმედებაზე გადასვლამ განსაზღვრა ადამიანთა საზოგადოების მომავალი განვითარება.

თანამედროვე ადამიანისათვის წარმოუდგენელია შინაური ცხოველებისა და კულტივირებული მცენარეულის გარეშე არსებობა. იმდენად სისხლხორცეული ცნებებია მისთვის „შინაური საქონელი“ და „კულტურული მცენარეული“, რომ პათი წარმომავლობის შესახებ დაფიქრებაც კი არაა საჭირო. თუ როდის და მყარდა ადამიანის ბატონობა ცხოველებსა და მცენარეულზე, რაც ასე ბუნებრივად გვეჩვენება დღეს, ამაზე პასუხს უკანასკნელ ათეული წლების არქეოლოგიური გამოკვლევები გვაძლევს. ეს მოხდა სულ 10-12 ათასი წლის წინათ, ისიც არა ყველგან, არამედ ძველი სამყაროს უფრო განვითარებულ ნაწილში - წინა აზიასა და მასთან მიმდებარე ქვეყნებში. წინა აზიაში ჩაისახა მსოფლიოში პირველად მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის საფუძვლები, აღმოცენდა პირველი სოფლები და ქალაქები, გაჩნდა პირველად ლიტერატურა და მეცნიერება. 10 ათასი წელი ძალიან ცოტად გვეჩვენება იმ დროსთან (დაახლოებით 2 მილიონი წელი) შედარებით, რაც ადამიანი გამოეყო ცხოველთა სამყაროს და არსებობდა ბუნების მზამზარეული პროდუქტების მითვისებით - ნადირობა=მეთევზეობითა და შეპვროვებლობით.

მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლამ საზოგადოება რევოლუციურ ცვლილებამდე მიიყვანა. ამ დროიდან ადამიანი უკვე აღარაა მთლიანად დამოკიდებული ბუნების მზარესურსებზე; მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ბუნებაზე და კონტროლი გაუწიოს საკვებით მომარაგებას. სწორედ მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლასთანა დაკავშირებული უდიდესი ძვრები ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში - კლასობრივი საზოგადოების, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოქმნა. ეს იყო ათასწლეულების განმავლობაში „გაჭიმული“ რევოლუცია, რაც შეესაბამებოდა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების იმდროინდელ ტემპებს. მეურნეობის ამ ახალი, პროგრესული ფორმების დამკვიდრებას ცნობილმა ინგლისელმა არქეოლოგმა გ. ჩაილდმა ნეოლითური რევოლუცია უწოდა. გ. ჩაილდის მსგავსად, ბევრი მეცნიერი ხმარობს ამ ტერმინს მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა=ჩამოყალიბების აღსანიშნავად. XVIII და XIX ს. დასაწყისის საწარმოო რევოლუციასა და თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასთან შედარებით ნეოლითური რევოლუციის საფუძველი მეურნეობის ძირეულ ფორმებშია<sup>1</sup>.

1 В. Кабо, У истоков производящей экономики, сб. Ранние земледельцы, Л., 1980, с. 59.

გერმანელი არქეოლოგი ბურხარდ ბრენტიესი ნეოლითური რევოლუციის მაგიკო იბა-რობს ტერმინს „აგარული რევოლუცია“ და აღნიშნავს, რომ „რევოლუციის“ პერიოდის ხანგრძლივობა თითქოსდა საეჭვოს ხდის ამ ტერმინის გამოყენების სისწორეს: თუ აგარული რევოლუცია იწყება მწარმოებლური ეკონომიკის ახალი ფორმების პირველი გაჩენით ძვ.წ. X ათასწლეულში და მთავრდება კლასობრივი საზოგადოების გაჩენით ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოსათვის, მაშინ რევოლუციის თითქმის 6 ათასი წელი სჭირდება. ეს პერიოდი, როგორც ვარდამავალი პირველყოფილი საზოგადოებიდან კლასობრივზე, განსაკუთრებულ განსაზღვრებას საჭიროებს, მაგრამ რადგანაც საზოგადოების განვითარების ტემპები იმ დროისათვის ძალიან დაბალი იყო, ბ. ბრენტიესის აზრით შეიძლება უგულებელვყოთ ამ პერიოდის ხანგრძლივობა და მივიღოთ ტერმინი „აგარული რევოლუცია“, რათა აისახოს ეპოქის ხასიათი და მამოძრავებელი ძალები<sup>2</sup>.

ზოგიერთი მეცნიერი სამიწათმოქმედო ნეოლითის აღსანიშნავად გვთავაზობს ტერმინს „აგრონეოლითი“ და უპირისპირებს მას სამონადირეო ნეოლითს „აგრონეოლითს“; სადაც ნეოლითური ტექნიკა შეიჭრა მატერიალურ კულტურაში, არსებობის საფუძველი კი ტრადიციული (მიმთვისებლური) დარჩა.

მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა სხვადასხვა ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს ხდებოდა, მაგრამ, ძირითადად, განვითარების ერთ (ერთნაირ) დონეზე მდგარ საზოგადოებაში. საზოგადოება მზად უნდა იყოს მეურნეობის ახალი ფორმების მისაღებად.

მწარმოებლური მეურნეობის, კერძოდ კი მიწათმოქმედების ძირითად წინამძღვრებად გვევლინება გეოობტანიკური ფონი (პირველ ყოვლისა, კულტივაციისათვის გამოსადეგი მცენარეულის არსებობა), შემგროვებლური ტექნიკის მაღალი დონე, არსებული მიმთვისებლური მეურნეობისათვის გამოსადეგი ტერიტორიის მთლიანი ათვისება და მიმთვისებლური მეურნეობის საერთო კრიზისი.

მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვა-ჩამოყალიბება უმეტესად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესია და ხშირად ერთსა და იმავე საზოგადოებაში ხდებოდა.

ხდება ხოლმე, რომ ზემოჩამოთვლილი წინამძღვრებიდან ერთი ან რამდენიმე არსებობს, მაგრამ მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა არ ხდება. ე.კაბოს მოჰყავს მაგალითები ავსტრალიელთა ცხოვრებიდან. ავსტრალიელებს რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში შქონდათ ხელსაფქვავიცა და გახეხილ-გაპირილებული ცულიც, მაგრამ ისინი იყო მიმთვისებლური მეურნეობის იარაღები, ისევე, როგორც მიმთვისებლურ მეურნეობას ემსახურებოდა ავსტრალიელებთან ჯერ კიდევ ევროპელთა კოლონიზაციამდე არსებული ირი-გაციაც. არც ხელსაფქვავს, არც გახეხილ-გაპირილებულ ცულს, არც თოხს, არც სამკელ დანას თავისთავად ნეოლითური რევოლუციის მოხდენა არ შეუძლია. ეს იარაღი არის მხოლოდ ტექნიკის დონის მაჩვენებელი. ტექნიკა კი (როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ - თ.კ.)

მხოლოდ ერთერთი წინაპირობაა, წინამძღვარია გადატრიალებისა, მაგრამ არა აქტიური მამოძრავებელი ძალა. აქტიურ ძალად გვევლინება მხოლოდ ადამიანი - უფრო ზუსტად საზოგადოება. ამავდროს საზოგადოება სიახლის მისაღებად მზად უნდა იყოს - უნდა იდგეს განვითარების შესაბამის დონეზე... მწარმოებლური ეკონომიკა, ჩაისახება რა, თანდათანობით გარდაქმნის თვითონ საზოგადოებას და მის კულტურას - სწორედ ასე უნდა გავიგოთ ნეოლითური რევოლუციის არსი, წერს ე.კაბო<sup>4</sup>.

მიუხედავად იმისა, აგარულს ვუწოდებთ მომხდარ გარდაქმნას თუ ნეოლითურს, გადატრიალებას თუ რევოლუციას, მისი შედეგები განუზომლად დიდი იყო ადამიანთა საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის. ამდენად, ვფიქრობთ, არა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა პირობით სახელწოდებას და ისევე ფართოდ დამკვიდრებულ ტერმინის „ნეოლითური რევოლუცია“ ხმარება მიგვაჩნია უფრო მიზანშეწონილად.

ნეოლითური (თუ აგარული) რევოლუცია პირველად წინა აზიაში მოხდა და აქედან მისი გავლენები და იმპულსები მთელ ძველ სამყაროს მოედო.

2 Б.Брентъес, От Шанидара до Аккада, М., 1976, с.7.

3 Сб. Охотники, собиратели, рыболовы, Л., 1972.

4 В.Р.Кабо, დასახ. ნაშრ., გვ.84.

5 Б.Брентъес, დასახ. ნაშრომი, გვ.7.

„აგარული რევოლუციის“ 6-5 ათასი წელი მახლობელ აღმოსავლეთში განეკუთვნება ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ნაკლებად შესწავლილ პერიოდებს, ბოლო 20 წელიწადში იზრდება ცოდნა ამ ეპოქის შესახებ<sup>6</sup>.

II მსოფლიო ომამდე ამ ეპოქის რამდენიმე ნასახლარი იყო გათხრილი (მაგ., შალაფი, უბეიდი, ნატუფი, იერიქონი და სხვ.), მაგრამ მათი არც ქრონოლოგიური და არც კულტურული ადგილი მკაფიოდ განსაზღვრული არ ყოფილა. ამ პერიოდის ძეგლებს მეცნიერებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს II მსოფლიო ომის შემდეგ.

ჯერ კიდევ ომის დროს, 1943-1944 წლებში, სეტონ ლიფმა და ფუად საფარმა გათხარეს შასუნას ნამოსახლარი ჩრდილოეთ ერაყში, სადაც შალაფისა და სამარას სტილის მოხატული კერამიკის შემცველი ფენების ქვეშ კიდევ რამდენიმე ფენა აღმოჩნდა, რომელიც შეიცავდა აქამდე უცნობი სტილის მოხატულ კერამიკას და წმინდა ნაკაწრი ორნამენტით შემკულ კერამიკას. სულ ძირა ფენა კი, სადაც ალიზის შენობები არაა დადასტურებული, რელიეფური ორნამენტით შემკულ სადა კერამიკას შეიცავდა. ძეგლის ეს ფენები ახალ-შასუნას კულტურას მიაკუთვნეს.

ომის შემდგომ პერიოდში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გაითხარა ამ პერიოდის (ე.ი. ნეოლითური რევოლუციის დროის) მრავალი ძეგლი-ენიანი, ნახალორენი, ბეერ-შება, სირია-კილიკიის ნეოლითის ძეგლები და სხვ. სერსაციური შედეგებით აღინიშნა ქეთლინ კენიონის გათხრები (რომელმაც ჯონ გარსტანგის მიერ დაწყებული სამუშაოები განაახლა) იერიქონში. აქ კერამიკული ნეოლითის ფენების ქვეშ აღმოჩნდა ალიზის შენობების შემცველი მძლავრი ფენები უკერამიკო ნეოლითის ორი ფაზისა - ორი კულტურისა, მათ ქვეშ კი მდებარეობდა ნატუფის ტიპის მეზოლითური ფენები. იერიქონის ძველი ნამოსახლარი ქვის გალავნით იყო შემოზღუდული, რომელშიც კოშკები იყო ჩართული.

ადრეული სამიწათმოქმედო ნამოსახლარების გამოვლენისა და, საერთოდ, მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა-ჩამოყალიბების პრობლემების მრავალმხრივი შესწავლასა და პოპულარიზაციაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ამერიკელ არქეოლოგ რობერტ ბრედენფელს, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ინსტიტუტის ექსპედიციას. მათ მიაკვლიეს არაერთ ნამოსახლარს ჩრდილოეთ ერაყსა და დასავლეთ ირანში - ჯარმო, ასიაბი, მლფაბატი, ქარიმ-შახირი და სხვ. რამდენიმე ფენის სახელთანაა დაკავშირებული ამჟამის ველის ძეგლების გათხრა და შესწავლა, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის უკერამიკო ნეოლითის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლის გათხრა, როგორცაა ჩაიონუ-თეფესი.

მნიშვნელოვანი შედეგებით აღინიშნა ფრენკ შოულის, კენტ ფლანერისა და ჯეიმს ნილის ხელმძღვანელობით ჩატარებული გათხრები სამხრეთ-დასავლეთ ირანში, ხუზისტანში - დეჰ-ლუჩანის ზეგანზე, სადაც რიგით ნამოსახლარებზე მათ მოიპოვეს მრავალფეროვანი მასალები ძვ.წ. VIII-IV ათასწლეულებისა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და სენსაციური აღმოჩენები ინგლისელ არქეოლოგ ჯეიმს მელარტს ჰქონდა, ანატოლიაში გათხრილ VII-VI ათასწლეულების ძეგლებზე ჯერ შაჯილარში, შემდეგ კი მართლაც უნიკალურ ნამოსახლარ ჩათალ-ჰუიუჯზე. ამ უკანასკნელზე საცხოვრებელი შენობების გარდა გათხრილია უძველესი სამლოცველოები, სადაც კედლის მხატვრობა, კედლის რელიეფები და უძველესი ხელოვნების სხვა მრავალი ნიმუშია მიკვლეული. ჩათალ-ჰუიუჯის გათხრებმა ძირფესვიანად შეცვალეს ჩვენი წარმოდგენები პირველყოფილი საზოგადოების, უფრო ზუსტად, ადრესამიწათმოქმედო ტომების პოტენციური შესაძლებლობისა და მათი რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, პირველყოფილი ხელოვნების და სხვ. შესახებ.

მნიშვნელოვანი შედეგებით აღინიშნა ერაყში საბჭოთა არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა რ. მუნჩაევის, ხელმძღვანელობით, რომელმაც გათხარა ობეიდის, შალაფისა და შასუნას კულტურის ნამოსახლარები, კიდევ უფრო ადრეული ძეგლი თელ-სოტო (ერაყის ტერიტორიაზევე დიანა კირკბაიღის მიერ გამოვლენილი უმ-დაბაჰის ტიპისა თუ კულტურისა) და უკერამიკო ნეოლითის ნამოსახლარი თელ-მაგზალია; ამ უკანასკნელს

6 იქვე, გვ. 8.

მასიური, I მ სივანის, ქვის გალავანი ერთკაა.

საბჭოთა კავშირში მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბების პრობლემის შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ვ.მასონს, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა მიწათმოქმედების ერთ-ერთი უძველესი ცენტრი სსრკ-ში - მუხაბზიური და, ამავდროს, გლობალური მასშტაბით საკითხის შესწავლას არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა.

ჩამოთვლილი და მრავალი სხვა გათხრილი ძეგლის შესწავლის საფუძველზე ნეოლითური რევოლუციის მიმდინარეობა მწარმოებლური მეურნეობის უძველეს ცენტრში - წინა აზიაში ასე წარმოგვიდგება (ძეგლების დათარიღებასა და ურთიერთმიმართებაში უდიდესი როლი ითამაშა 40-იანი წლების ბოლოს უ.ლიბის მიერ აღმოჩენილმა დათარიღების რადიოაქტიურმა მეთოდმა, ნახშირბადის იზოტოპის  $C^{14}$ -ის ნახვევარდაშლის საფუძველზე მიღებულმა, რომელიც, მიუხედავად მთელი რიგი უზუსტობისა და ზოგჯერ შეუსაბამობისა ცი, მაინც ერთ-ერთ ძირითად დამათარიღებელ მეთოდად გვევლინება ადრეული ეპოქებისათვის).

ძვ.წ. X-IX ათასწლეულებში ჩნდება პირველი ხელოვნური დასახლებები, სადაც მწარმოებლური ეკონომიკის ჩანასახები, საწყისები შეინიშნება - მაგ., ზავი-ჩემი შანიდარი, ჩრდილოეთ ერაყში (თარიღდება დაახლოებით ძვ.წ. 9200 წლით); განჯ-დარე ირანში (თარიღდება ძვ.წ. 8450 ± 150 წლით), ნატუფის კულტურის ძეგლები პალესტინაში. იერიქონის ქვედა ფენა (თარიღდება დაახლოებით ძვ.წ. 9500 წლით), ეინანი, ანუ ეინ-მაღახა (მეტრიაანა ანალიზი მიუთითებს მიწათმოქმედების ? არსებობაზე), ნახალ-ორენი მულარეთ-ელ-კებარა და სხვ.

VIII-VII ათასწლეულებში უკვე ჩნდება ალიზის ნაგებობით წარმოგენილი ნამოსახლარები (ძირითადად უკერამიკო ნეოლითი), ისეთები, როგორცაა: იერიქონის წინა-უკერამიკული ნეოლითის A ფაზის ნამოსახლარი - ქვის გალავნით მოზღუდული 2,5 ჰა ფართობზე მდებარე „ქალაქი“, აშკლი ჰუიუკი, ჩაიონუ-თეფესი და ჰაჯილარის უკერამიკო ფენები (თარიღდება ძვ.წ. 7040 წლით; უკერამიკო ჰაჯილარში დადგენილია მრავალმწკრივა ქერი, ორმარცვალა ხორბალი და ოსპი) ანატოლიაში, სეილ-აკლათი ანუ ბეიდა იორდანიაში (თარიღდება ძვ.წ. VIII ათასწლ. ბოლოთი - VII ათასწლ. დასაწყისით, ამ ძეგლზე თითქმის მონათა შრომაცაა გამოყენებული). უგარიტი სირიის სანაპიროზე (სადაც VII ათასწლეულის დასაწყისში ზღუდემეზოვლებული, რამდენიმე ჰექტარზე გაჭიკული „ქალაქი“, უკერამიკო ხანისა), ალი-კოშის უკერამიკო ფაზა დემ-ლურანში, თელ-მაგ-ზალია (ქვის გალავნით მოზღუდული-ერაყში) და სხვ.

ძვ.წ. VII ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჩნდება პირველი უკერამიკული ნაწარმი, რომელიც ფართოდ ვრცელდება VI ათასწლეულიდან, ისევე, როგორც მყარი დასახლებები უკვე უდაოდ მიწათმოქმედებასა და პესაქონლეობაზე დაფუძნებული.

ძვ.წ. VII ათასწლეულიდან მოყოლებული დადასტურებულია ნამოსახლართა დარბევა, გადაწვა, განადგურება და დაპყრობები სხვა ტომთა მიერ, რაც უფრო მძაფრ სახეს იღებს და უფრო ნათლად ვლინდება VI-V ათასწლეულებში. IV ათასწლეულის ბოლოს კი უკვე ყალიბდება პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები.

გაცვლა-გამოცვლა და ვაჭრობაც კი შეინიშნება ძვ.წ. VIII ათასწლეულიდან თუ არა, VII ათასწლეულიდან აშკარად. იერიქონის ძლიერებას ზოგიერთი ავტორი სწორედ მარლითა და ბითუმიტის ვაჭრობას უკავშირებს. ბეიდას მცხოვრებნი მძივებითა და სამკაულით ვაჭრობდნენ. ჩათალ-ჰუიუკის სიმძლავრის ერთ-ერთ მიზეზად ობსიდიანით ვაჭრობას უკავშირებენ.

ძვ.წ. VI ათასწლეულის შუა ხანებიდან ფართოდ ვრცელდება მოხატული უკერამიკა. ამ უკერამიკის დამზადებას გაწაფული ხელოსნის ხელი სჭირდება, რომელიც ამ საქმეზე სპეციალდებოდა - ე.ი. ამ დროიდან უკვე მიწათმოქმედება და პესაქონლეობა ძირითად მასას გამოეყო ხელოსანთა ფენა.

მწარმოებლური ეკონომიკის წარმოშობის პრობლემა კომპლექსური კვლევის საგანია; რომლის გადასაჭრელად საჭიროა ბოტანიკის, ზოოლოგიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის,

7 Б.Брентъес, დასახ. ნაშრომი, გვ. I01.

ბელოჯის, გეოგრაფიისა და სხვა მეცნიერებათა მონაცემების გათვალისწინება და შეჯამ-  
რება.

დავიწყეთ ბოტანიკური ფონით - იყო თუ არა კავკასიასა და, კერძოდ, საქართველო-  
ში კულტივირებისათვის ვარგისი ჯიშები. ამიერკავკასიის მრავალი ხორბლეული ჯიშის სამ-  
შობლოა. ცალმარცვალა ველური ხორბლეულის სამშობლოდ ანატოლიასთან ერთად საქართვე-  
ლო ითვლება. საქართველოში დღესაც მოიპოვება ხორბლეულის ველური ფორმები; ცნობილია  
ისეთებიც, რომლებიც გარდამავალ საფეხურს წარმოადგენენ ველურ და კულტურულ ფორმებს  
შორის. ერთ-ერთი ასეთი ჯიშია მახა, რომელიც ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი რაჭა-  
ლეჩხუმში.

ამიერკავკასიაში ძველთაგანვე გატრეცილებული ყოფილა რბილი ხორბალი. არსებობს  
მოსაზრება, რომ რბილი ხორბლის ძირითადი კერა ამიერკავკასიისა უნდა ყოფილიყო, სადაც  
ამ ჯიშთა დიდი მრავალსახეობა იყო. საქართველოში კარგადაა წარმოდგენილი ადგილობრი-  
ვი, ენდემური ჯიშები. აქაა ჩასახული და ჩამოყალიბებული მახას გარდა დოლის პური,  
ზანდური, დიკა და სხვა ფორმები. მ. ზანდური კილიანი ხორბლის უძველესი ქართული ჯიშ-  
პოპულაცია, საქართველოს ენდემია, წარმოდგენილია პოლიპლოიდური რიგით, მოიცავს გვა-  
წა, ჩელტა და ჰექსაპლოიდურ ზანდურს. დიკა (*Triticum carthlicum Nev.*) ძველი ქართული  
საგაზაფხულო ხორბლის სახეობაა.

გამორჩენილი საბჭოთა ბიოლოგი, გენეტიკოსი ნ. ვავილოვი, რომელსაც უდიდესი ღვაწ-  
ლი მიუძღვის კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა და სხვა საკითხთა კვლევაში, უამრავი  
ბოტანიკური მასალის ანალიზის საფუძველზე გამოჰყოფდა ფორმათა წარმოქმნის შვიდ  
ძირითად კერას: 1. სამხრეთ-დასავლეთი აზიის, ანუ წინააზიის, სადაც შედის ცენტრალური  
და აღმოსავლეთი მცირე აზია, ირანი, ავღანეთი, შუა აზია და ამიერკავკასიისა; 2. ინდო-  
ეთიისა და ინდოჩინეთის; 3. ჩინეთის; 4. ხმელთაშუაზღვის პირეთის, რომელიც მოიცავს  
ხმელთაშუაზღვის სანაპიროს, ჩრდილო აფრიკას, პალესტინასა და სირიას, საბერძნეთს,  
ესპანეთს, იტალიას და მცირე აზიის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რაიონებს; 5. აპი-  
სინიის; 6. მექსიკისა და 7. პერუ-ბოლივიის.

გამოყოფდა რა ამ ცალკეულ კერებს, ნ. ვავილოვი მიუთითებდა, რომ საქმე ეხება  
მსოფლიო მიწათმოქმედების კერებს, უფრო ზუსტად, დამოუკიდებელ ოქტებს, რომელშიც მოხ-  
და სხვადასხვა (განსხვავებულ) მცენარეთა მოშინაურება.

ჩვენთვის საინტერესოა ნ. ვავილოვის მიერ გამოყოფილი წინააზიური კერა, სადაც  
მწარმოებლური ეკონომიკის ჩასახვა-ჩამოყალიბების უძველესი ცენტრებია განლაგებული.  
ამ კერას იგი მიაკუთვნებს 18 სახეობის მარცვლეულ კულტურას, მათ შორის ხორბლის  
9 ენდემურ სახეობას, 8 სახეობის საკვებ მცენარეულს, 9 სახეობის ზეთოვან, 7 სახეო-  
ბის ეთერზეთოვან, ალკალიდურ და მთითილავ მცენარეს, გოგრისებრთა 4 სახეობას, II  
ბოსტნეულისას, 24 სახეობის ხილის მომცემ კულტურას და სხვ.

წინააზიურ კერაში ნ. ვავილოვი გამოჰყოფს ძირითადი მცენარეული კულტურების  
ფორმათა წარმოქმნის სამ მნიშვნელოვან ცენტრს: I. ცენტრალურ და აღმოსავლეთ მცირე აზიის  
2. ამიერკავკასიისა და 3. თურქმენეთ-ხორასანის პროვინციას.

ამიერკავკასიის მისაზღვრე ჩრდილო-დასავლეთ ირანთან ერთად გვევლინება არსებულ  
ჯიშთა მრავალსახეობის, კულტურულ მცენარეთა ფორმათა წარმოქმნისა და უძველესი დომეს-  
ტიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონად.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ხორბლეულის შესწავლას მრავალი ნაშრომი მიუ-  
ძღვნეს ვ. მენაბდემა, ლ. დეკაპრეღვიჩმა, მ. აკუბცინერმა, ვ. შუკოვსკიმ და სხვ. ლ. დეკა-  
პრეღვიჩი მიუთითებდა საქართველოს განსაკუთრებულ როლზე ხორბლეულის წარმოშობაში  
და აღნიშნავდა აქ გატრეცილებული ხორბლეულის 130 ნაირსახეობას; ასევე გამოჰყოფდა  
ცალმარცვალა ხორბალთა მრავალ გარდამავალ ფორმას ველურსა და კულტურულ სახეობას

8 ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქარ-  
თველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971, გვ. 9.

9 Н. И. Вавилов, Проблемы происхождения мирового земледелия в свете современных  
исследований. М.-Л., 1932.

შორის<sup>10</sup>. ჯიშთა მრავალსახეობით ხასიათდება სომხეთში გავრცელებული ხორბლებული. ბაიჯანის ტერიტორიაზე გვხვდება მრავალი სახეობის მარცვლეული.

ნ. ვავილოვი წერდა: „ამიერკავკასიის ხორბლეულის განხილვა გვიჩვენებს, რომ აქ ხორბლეულის ფორმათა წარმოქმნის დამოუკიდებელი პროცესი მიმდინარეობდა, მათი სახეთა წარმოქმნის რატიონით<sup>11</sup>“.

ამიერკავკასიას მიიჩნევენ სხვა მარცვლეული კულტურების, კერძოდ ქერისა და ჭვავის სამშობლოდაც. ეს უკანასკნელი აქ წარმოადგენდა ფორმათა დიდი მრავალსახეობის<sup>12</sup>. კავკასია ითვლება არა მარტო ხორბლეულისა და სხვა მარცვლეული კულტურების წარმოშობის უმდიდრეს ცენტრად, არამედ ხეხილის გავრცელებისა და გაკულტურების ერთ-ერთ უდიდესი და უადრესი კერაცაა. აქ გვხვდება 80 სახეობისა თუ ჯიშის ნაყოფის მომცემი ველური ხე თუ ბუჩქი. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია: ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ტყეშალი, კუნელი, შინდი, ჭვრამი, კომში, წყავი სხვ. კაკლევანთაგან გავრცელებულია: კაკალი, თხილი, წაბლი. ნ. ვავილოვის აზრით, ამ მცენარეთა ჯიშისა და ფორმაწარმოქმნის ძირითადი ცენტრი ამიერკავკასიაში მდებარეობდა<sup>13</sup>.

ამიერკავკასია ითვლება, აგრეთვე, ველური და კულტურული ვაზის ფორმათა წარმოქმნის ძირითად კერად<sup>14</sup>.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდანაც აშკარად ჩანს, ბოტანიკური ფორმაწარმოებლური მეურნეობის განვითარებისათვის საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაში შეტად ხელსაყრელი ყოფილა.

პალეოზოოლოგიური მონაცემები ბევრად უფრო ნაკლებია (ნაკლებადაა შესწავლილი) და სისტემაში არ არის მოყვანილი. როგორც ჩვენთვის ხელმისაწვდომი პალეონტოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე მოსაშინაურებლად ვარგისი სახეობებიდან ადრეულ პოლოცენში გვხვდება: გარეული ცხვარი (*Ovis ophion*) და თხა (*Capra sp.*), ღორი (*Sus scrofa*); გავრცელებული ჩანს ძროხა<sup>15</sup>.

ახლა გადავიდეთ არქეოლოგიური მონაცემების განხილვაზე.

ღვინისათვის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მიკვლეულია რამდენიმე მეზოლითური ძეგლი: საგვარჯილე (მეზოლითური ფენა), ჭახათი II, წონასა და ქვედის მღვიმეები, დარკვეთის ეხის V ფენა (ყველა რიონ-ყვირილის აუზში), ქვაჭარის, იაშხვას, ცივი მღვიმისა და კემ-ბოლაზის ნაბინარები (აფხაზეთის ტერიტორიაზე), ეძანი და ზურტაკეტი (თრალეთში).

ქვაჭარაში მოპოვებულ ოსტეოლოგიურ მასალაში გვხვდება მუფლონის, ირმის, ჯიხვის, შვლის, ლეოპარდის, მგლის, მელიის, მურა და მღვიმის დათვის ძვლები<sup>16</sup>.

ეძანის მღვიმეში ნაპოვნია რუხი კურდღლის, თახვის, გარეული ცხენის, კულანის (ანუ კანჯარის), გარეული ღორის (ტახის), ირმის, ჯეირანის, ხარის ან ბიზონის ძვლოვანი ნაშთები, ზურტაკეტში კი კურდღლის, ირმის, შვლის, გარეული ცხვრის, ბიზონის (ანუ ღომბას), კულანის, ჰრევალსკის ცხენის, სამი სახეობის ფრინველისა და კიდევ ორიოდე ცხოველის ერთეული ძვლები<sup>17</sup>.

დარკვეთის გვიანმეზოლითური ფენიდან მომდინარეობს შვლის, ირმის, გარეული ღორის, გარეული თხის, დათვის, ზღარბისა და თახვის ძვლები<sup>18</sup>.

- 10 Л.Л. Декапрелевич, Роль Грузии в происхождении пшеницы, Сообщения АН ГССР, т. II, № 10, 1941.
- 11 Н.И. Вавилов, Избр. тр., т. III, стр. 371.
- 12 Г.Н. Лисицына, Л.В. Прищепенко, Палеоэтноботанические находки Кавказа и Ближнего Востока, М., 1977, с. 19.
- 13 Н.И. Вавилов, Избр. тр., т. II, с. 343-348.
- 14 Г.Н. Лисицына, Л.В. Прищепенко, დასახელებული ნაშრომი, იქვე.
- 15 О.Г. Бендукидзе, Голоценовая фауна позвоночных Грузии, Тб., 1979.
- 16 ა. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 109.
- 17 О.Г. Бендукидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 15, 16.
- 18 ლ. ნებიერიძე, დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, თბ., 1978, გვ. 91, 92.

სა მწუხაროდ, საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული მეზოლითური ძეგლებიდან სხვა მონაცემი (პალინოლოგიური და ა.შ.) არა გვაქვს, რომელიც მეურნეობის შესახებ რაიმე ინფორმაციას იძლეოდა.

უკერამიკო ნეოლითის ძეგლები ჯერჯერობით მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა მიკვლეული. მათი რაოდენობა თითქმის ყოველწლიურად იზრდება. უკერამიკო ნეოლითი თარიღდება შემდეგი ძეგლები: ანასეული I, ქობულეთი, ხუცუბანი, კვირიკე, ჯიხანჯური, ჩოლოქი, პალური, მელური და სხვ. ამ ძეგლების ერთი ნაწილი (ქობულეთ-ხუცუბანის ტიპის ძეგლები) მეზოლითიდან ადრენეოლითზე გარდა მავლად ითვლება<sup>19</sup>, რომელზედაც ნეოლითური ტექნიკის ნიშნებიც კი უმნიშვნელოა; ისე რომ, მათი მიკუთვნება მეზოლითისადმიც თავისუფლად შეიძლება. ძეგლების მეორე ჯგუფზე (ანასეული I-ის ტიპისა) ნეოლითური ტექნიკის ელემენტები თვალსაჩინოა, ისე რომ მათი მიკუთვნება ნეოლითისადმი ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

სა მწუხაროდ, არც ერთი ამ ძეგლიდან არ გაგვარჩნია არავითარი მონაცემი, არც პალეოზოოლოგიური და არც პალეოფლორაგოგიური, რომელიც უტყუარად გვიდასტურებდეს მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვას. პირიქით, იარაღთა შემადგენლობა ისეთია, რომ მეურნეობის ტრადიციული (შემგროვებლობა და მონადირეობა) ფორმების უცვლელობაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე სიახლის შემოსვლაზე.

ზოგიერთი ავტორი უკერამიკო ნეოლითის ისეთ ძეგლებს, როგორცაა ხორში და ლემურში, სადაც რიყის ქვის განხეხილ-გაპრალეზებული იარაღების მრავალფეროვნება გვხვდება (ლემურში რიყის ქვის იარაღებისადვის დამახასიათებელია გვერდითი წახანაგების გაჩენა) და რომელთათვისაც უცნობია კერამიკა, აერთიანებს ე.წ. შუა ნეოლითში და მათ გარდა მავლად მიიჩნევენ ანასეული I ტიპის კომპლექსებსა და ოდიშის ტიპის კომპლექსებს შორის<sup>20</sup>.

უკერამიკო ნეოლითის ძეგლების ერთ ჯგუფს გ. გრიგოლია პირობითად აერთიანებს "მთის ნეოლითში" და ცალკე კულტურადაც გამოყოფს - პალურ-ნაგუთნის ჯგუფის ძეგლების სახით.<sup>21</sup> არც ამ ძეგლებზეა მიღებული ობიექტური მონაცემები მწარმოებლური მეურნეობის არსებობისა.

უკერამიკიანი ნეოლითის ძეგლების თავმოყრაც ძირითადად კოლხეთის დაბლობზე გვაქვს. ისინი ბევრად უფრო მრავალრიცხოვანია, წინა პერიოდის ძეგლებთან შედარებით. ასეთებია: ოდიში, ანასეული II, გურიანთა, მამათი, მახვილური, ქვემო შილოვკა და სხვ. ამ ტიპის ძეგლები გავრცელებულია აჭარა-გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში - ზღვისპირა ზოლში.

ვიღრე მათ დახასიათებაზე გადავიდეთ, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ზემო იმერეთის ერთ ძეგლზე - დარკვეთის ეხზე, სადაც გვიანმეზოლითურ და ენეოლითურ ფენებს შორის ძეგლის გამხრელი ლ. ნებიერიძე ადრენეოლითურ (ე.ი. უკერამიკო ნეოლითის) ფენასაც გამოყოფს. თუ ფენა არეული არ არის (რაც თითქმის ეჭვს არ უნდა იწვევდეს), მაშინ აქ მოპოვებული მონაცემები მეტად საყურადღებო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა თუ უკერამიკო ნეოლითში, არამედ კერამიკიანი ნეოლითის ძეგლებზეც არსად არ ყოფილა მოპოვებული მწარმოებლური მეურნეობის დამადასტურებელი პირდაპირი მონაცემები. დასავლეთ საქართველოს ნეოლითში მეცხოველეობის არსებობის შესახებ ვარაუდი გამოიქმნა მხოლოდ იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გათხრულ ნეოლითურ ძეგლზე - კამენა მოსტისკაიას მღვიმეში, უძრავ ფენაში ირმის, შვლის, დათვისა და სხვ. გარეული ცხოველის ძვლებთან ერთად შინაური ცხოველები - ხარის, თხისა თუ ცხრის, ღორისა და ძაღლის ძვლების აღმოჩენის საფუძველზე<sup>22</sup>. დარკვეთის ეხის IV ფენაში (უკერამიკო, ადრენეოლითურ ფენაში - ლ. ნებიერიძის განსაზღვ-

19 ს. გოგიტიძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბ., 1978, გვ. 122.

20 იხ. ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60-62.

21 გ. გრიგოლია, ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი, პალური, თბ., 1977, გვ. 88-109.

22 ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

რით) გარეული ცხოველების მრავალრიცხოვან ძვლებთან (ირემი, შველი, გარეული ღორი, არჩვი, გარეული თხა, დათვი, მარცი და სხვ.) ერთად აღმოჩნდა შინაური ცხოველების – ძროხის, ცხვრის, ღორისა და ძაღლის ძვლები<sup>23</sup>. (ო.ბენდუქიძის განსაზღვრა). ამ აღმოჩენების უდავოდ დიდი მნიშვნელობის მოუხდავად, ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება ბოლომდე დასადგენი. დარკვეთის ეხის „ადრენეოლითური“, ე.ი. უკერამიკო, ფენის უდავოდ იმავე კულტურაზე მიკუთვნება, რომელიც ზღვისპირა ზოლში (ე.ი. სხვა ეკოლოგიურ პირობებში) იყო გავრცელებული, ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის – ისე რომ ზღვისპირა ზოლშიც იგივე ცხოველები იყო მოშინაურებული თუ არა, ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაუჭრელია. თუმცა უნდა ვიცარაუდოთ, ლ.ნებიერიძის მსგავსად<sup>24</sup>, რომ მესაქონლეობის ადრეული ფორმების არსებობა კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებზეც სავარაუდებელია.

სამწუხაროდ, არ არსებობს არც ერთი რადიოკარბონული თარიღი დარკვეთის ამ ფენის მეტ-ნაკლებად ზუსტი თარიღის დასადგენად და, შესაბამისად, დარკვეთის ამ ფენისა და მისი ანალოგიური ნეოლითური კომპლექსების როლის შესახებ, საერთოდ ამიერკავკასიაში მწარმოებლური მეურნეობის, კერძოდ კი მეცხოველეობის, ჩასახვა-განვითარების შესახებ.

დასავლეთ საქართველოს ნეოლითში მწარმოებლური მეურნეობის მასშტაბებსა და ღონეზე სამკამოდ განსხვავებული მოსაზრებანი არსებობს.

ლ.ნებიერიძე (ლ.სოლოვიოვის მონაცემებზე დაყრდნობით) აღნიშნავს, რომ ცივი-მღვიმის (ხუპინიპშახვა) ადრენეოლითურ ფენაში ველური ღომის დანახშირებული მარცვლე-ბიბი აღმოჩენილი, რასაც იგი რთული შემგროვებლობის არსებობას უკავშირებს, თუმცა იქვე აციოთარებს ვარაუდს, რომ „ამ მცენარის კულტივირება ადრენეოლითის ხანაზე მოდის“<sup>25</sup>. ეს ვარაუდი შესაძლებელია სწორიც იყოს, მაგრამ ველური მცენარის მარცვლების აღმოჩენის საფუძველზე შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება ჯერჯერობით ნაადრევია<sup>26</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, კერამიკული ნეოლითის ძვლები უფრო მრავალრიცხოვანია, მაგრამ არ ერთ მათგანზე არ არის შემონახული პირდაპირი ნიშნები მწარმოებლური მეურნეობის არსებობისა. მის შესახებ ჩვეულებრივ მსჯელობენ არაპირდაპირი საბუთებით.

ლ.ნებიერიძე წერს, რომ „დასავლეთ ამიერკავკასიაში განვითარებული (ე.ი. კერამიკული – თ.კ.) ნეოლითის ხანაში მიწათმოქმედების წარმოშობასა და განვითარებაზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი შრომის იარაღები. ამ პერიოდის ნამოსახლარებზე აღმოჩენილია როგორც მიწის დასამუშავებელი იარაღები (წერაქვისებური, სახნისისებური, სოლისებური მაკროლითები; თხისისებური და სახნისისებური გახე-ხილი იარაღები), ასევე სამკელი დანების ჩასართები (რეტუმრებული და დაკბილული ლამელები) და სამიწათმოქმედო პროდუქტების გადასამუშავებელი იარაღები (ხელსაფტა-ვები, სანაყები, სახეხ-სასრესები)“<sup>27</sup>. ჩვენი აზრით, კატეგორიული მსჯელობისათვის საფუძველს არც შემორჩამოვლილი ნიშნები იძლევა. მიწის დასამუშავებელი იარაღების არსებობა არ მიუთითებს მიწათმოქმედების არსებობაზე. ტრასოლოგიური ანალიზის გარეშე, თუ ლამელებს ნამგლისპირებისათვის დამახასიათებელი ბზინვა მაინც არა აქვთ, შეუძლებელია სამკელი იარაღის ჩასართების გამოყოფა. ხელსაფტაგებზე მეტად იშვიათია დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ხანის ძვლებზე.<sup>1</sup>

ი.კიკვიძეს არ ეეჭვებოდა დასავლეთ საქართველოში ნეოლითის ხანაში მიწათმოქმედების არსებობა, იგი წერდა: „როდესაც არა გვაქვს ნივთიერი საბუთი, ვფიქრობ, ყველაზე მიზანშეწონილია საკითხის ასე დასმა: რა შეიძლება მოეყვანა დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ სადგომებზე მცხოვრებ ადამიანს? – ამის გასარკვევად საჭიროა ნეოლითური ძვლების გავრცელების მიკრორაიონის პალეოკლიმატისა და ტრადიციული სამიწათმოქმედო კულტურების ადგენა ისტორიულ ხანაში“<sup>28</sup>.

23 იქვე,

24 იქვე, გვ.70-71.

25 Л.Н. С о л о в ъ е в , Об итогах археологических раскопок в гроте Хупи – нишпахва, Труды Абхазского ИИЛ, XXXII, 1961, с.194.

26 ლ.ნებიერიძე, დასახ.ნაშრომი, გვ.71,72.

27 ლ.ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, გვ.107.

28 ი.კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ.14.

ი.კიკვიძე გეოლოგიური, პალეობოტანიკური და პალეოზოოლოგიური მონაცემების განხილვის საფუძველზე მიდის დასკვნამდე, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში მესამეული ეპოქიდან დღემდე ეკოლოგიური პირობები არ შეცვლილა, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის პალეოკლიმატი ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც დღესაა. დღეს კი ამ რაიონებში საკმაოდ ნოტიო ჰავაა... ასეთი მაღალი სინოტივის შემცველი კლიმატის პირობებში, რა თქმა უნდა, გამორჩეულია წინა აზიის უძველესი სამიწათმოქმედო ცენტრების ტრადიციული კულტურების - ხორბლისა და ქერის წარმოება, ისტორიულ ხანაში კოლხეთის დაბლობში, უმთავრესად, ჭვავის, ღომისა და ფეტვის მოყვანას მისდევდნენ. ჭვავი კოლხეთში არქეოლოგიურად და მოწმებული უძველესი სამიწათმოქმედო კულტურაა... ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს კულტურები უდებენ ჩვენში მიწათმოქმედებას სათავეს და დასავლეთ ამიერკავკასია წარმოადგენს მათი წარმოების ერთ-ერთ უძველეს ცენტრს.<sup>29</sup>

იმის გამო, რომ ყველა სამიწათმოქმედო ცენტრში, რომელთანაც კი შეიძლება კონტაქტი ჰქონოდა დასავლეთ ამიერკავკასიის ტომებს, ძირითადი სამიწათმოქმედო კულტურები ხორბალი და ქერი იყო, ი.კიკვიძის აზრით მოხსნილია საკითხი უცხო გავლენების შესახებ.

მხოლოდ საკითხის ასეთი დასმით შეიძლება აიხსნას ის უცნაური ფაქტი, რომ წარმოებით მეურნეობა დასავლეთ ამიერკავკასიაში ისახება იქ, სადაც საამისოდ ყველაზე არახელსაყრელი პირობებია, ხოლო ის რეგიონი (რაჭა, ლეჩხუმი, ზემო იმერეთი), სადაც ეკოლოგიური პირობები საუკეთესოა და მრავალი მიწათმოქმედების განვითარებისათვის (მთისძირა პლატოების შემცველი ზოლი, ზომიერი სუბტროპიკული ჰავა, ხორბლის ენდემური ჯიშების სიმრავლე), საერთოდ დაუახლებელია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ნეოლითური ხანის ძეგლები ამ რაიონში მიკვლეული არ არის.<sup>30</sup>

ი.კიკვიძის აზრით, კოლხეთის დაბლობში გავრცელებულ ნეოლითურ ძეგლებზე მესაქონლეობა ან არ უნდა ყოფილიყო საერთოდ, ან ძალიან სუსტად უნდა ყოფილიყო განვითარებული. მესაქონლეობის განვითარების მთავარ ხელისშემშლელ პირობად მას მტკიცე საკვები ბაზის უქონლობა მიაჩნდა. იმ სამიწათმოქმედო კულტურების, რომლის გავრცელებასაც დასავლეთში იგი ვარაუდობს - ღომის, მჭადისა და ფეტვის - დეროები საქონლის გამოსაკვებად არ ვარაუდობს. მეორე მხრივ, ნოტიო კლიმატი და აქტიური ტყე ხელს შეუშლიდა საძოვრებისა და სათიბების მოწყობასაც.<sup>31</sup>

დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ნამოსახლარების მიერ შექმნილი კულტურული ფენა ძალიან თხელია (0, 4-0, 5 მ), მაგრამ ხშირად დიდ ფართობზეა გაშლილი. ფენის სითხელესა და არეულობას ალ.ჯავახიშვილი - პირველ რიგში მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა-ჩამოყალიბების პროცესის სპეციფიკით ხსნის ამ ძეგლების გავრცელების რეგიონში, ხოლო შემდეგ ფენის ცუდი შენახულობითა და დაცულობით. მისი აზრით, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა, დაბლობ რაიონები (ძირითადად, კოლხეთის დაბლობი), სადაც გავრცელებულია ნეოლითური ძეგლები, ეკუთვნის მეტად ნოტიო სუბტროპიკებს, რომელიც უნდა გამოიწვიოს უძველესი მიწათმოქმედების ჩასახვის პირველადი კერებიდან. აქ მიწათმოქმედება სხვა პირველადი ცენტრიდან უნდა გავრცელებულიყო და მას ექსტენსიური ხასიათი უნდა ჰქონოდა, ამავდროულად ნაკლებად პროდუქტიული უნდა ყოფილიყო და განვითარების შედარებით დაბალი ტემპი ჰქონოდა. კოლხეთის დაბლობის ნეოლითურ ნამოსახლარებზე დატოვებული თხელი და არეული ფენები მის შემქნელთა კულტურის შედარებით კონსერვატიულობით უნდა აიხსნას, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო ეკოლოგიური პირობებით, რომელიც ხელს უწყობდა მეურნეობის მიმდინებლური ფორმების შედარებით გვიანდელამდე შემორჩენას.<sup>32</sup>

რ. მუნჩაიევი კავკასიის ადრეული კულტურებისადმი მიძღვნილ ნაშრომში, ეხება რა

29 ი.კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14, 15

30 იქვე, გვ. 15.

31 იქვე, გვ. 16.

32 А.И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура поселений Кавказа V-III тыс. до н.э., Тбилиси, 1973, с. XIV-XV.

11 § 173 хеттских законов гласит, что раб /тот человек, который находился в рабском положении в прямом значении этого слова/, нес в случае вины ответственность только сам, несмотря на то, что в хеттском обществе рабы могли иметь семью (**tak-ku-IR-as-is-hi-is-si a-za-iz-zi** (I5) **I-NA**<sup>2u</sup> **tiug-ra-iz-zi**) "Если раб восстанет против своего господина /I5/; то он пойдет в сосуд /букв. горшок/. О наказании его семьи здесь нет и речи.

12 Не лишено интереса отметить, что и в Сасанидском Иране" рабы и простой народ" не подвергались ордалии и, следовательно, не имели права давать показания под присягой. Это была привилегия свободнорожденных. См. А.Г.П е - р и х а н я н. Ордали и клятва в судопроизводстве доисламского Ирана, Переднеазиатский сборник", III, М., 1979; с.85.

ти, сосланный за пределы государства не имел права вернуться обратно (и здесь отправление за пределы страны является формой наказания)<sup>13</sup>.

Представители обслуживающего персонала кухни царского дворца должны были быть местными жителями Хатти, так как царская кухня считалась святым, культовым местом, а доступ к святому месту для иноземца закрыт<sup>14</sup>. Такое предположение как будто согласуется с данными § II "Инструкции" служителей храма, из которого видно, что человек, который не был хеттом, не мог переступить "ворот храма". Но если он переступал их и подходил к божеству, то предавался смерти<sup>15</sup>. Следовательно, служителем храма (святого места), не мог быть человек иноземного происхождения, что должно быть принято во внимание и в отношении служителей кухни дворца.

В рассматриваемом нами тексте ремесленники объединялись, по-видимому, по определенным мастерским, которые вероятно, находились на территории царского дворца<sup>16</sup>. На это указывает обращение к кожевникам (обор. стор. Ш). /9/ Затем вы, которые кожевники из *taršipaliia* дома /10/, *arra* - дома и десятника людей *taršipaliia* (является) /11/; царские колесницы, на которых он (т.е. царь) стоит кто изготовляет: /12/. Из дома поваров возьмите кожу быка и козы /13/, другую же не берите!" Таким образом, кожевники были объединены в мастерских, которые изготовляли царские колесницы, в частности в домах *taršipaliia* и *arra*. У них имелся, как видно, десятник людей *taršipaliia*. В домах *taršipaliia* и *arra* кроме кожевников, должны были быть объединены ремесленники той специальности, которая была нужна для изготовления колесниц. Возможно, сказанное является доказательством того, что и ремесленники интересующего нас персонала не являлись рабами в прямом смысле слова.

Персонал, обслуживающий царя, в частности персонал кухни, находящийся во дворце, должен был существовать и в различных провинциях страны, а именно во "дворцах" или в "царских домах"<sup>17</sup> провинций. Для такого предположения представляет интерес то место нашей "Инструкции" (обор стор. стк. 26 и след.), где царь говорит, что будучи в г. Санахуитте, он наказал водовоза Цулия, виновного в "нечистоплотности". Как видно, Цулия был одним из слуг дворцового персонала, которому вменялось в обязанность и обеспечение чистоты. Вообще в этом тексте идеограмма **IR** употреблена в значении крепостного. Все крепостные царя, перед ним все бесправны. И это не означает вообще низкого социального статуса обслуживающего персонала. Пример кравчего (*lu SILA.ŠU.ĐUŠ.A*) подтверждение к этому. Он во-первых, с точки зрения религии находится в очень высоком ранге, что немаловажный факт, если учесть к тому же мифологичность мышления этого общества. Именно кравчий одна из ведущих фигур ритуала погребения царя и царицы<sup>18</sup>.

- <sup>13</sup> Аналогичную картину мы можем увидеть и в Вавилоне поздней эпохи: см. М. А. Д а н д а м а е в, Рабство в Вавилонии, М., 1974, с. 328/329. Такая же ситуация была и в Египте, где ремесленники причислялись к низшему слою. Но ремесленники не относились к числу рабов. см. Е. С. Б о г о с л о в с к и й, ук. соч.
- <sup>14</sup> Подробнее см. М. Б е р и а ш в и л и, К вопросу о сакральном праве, Вестник ГИМ XXXVII-В, Т6., 1984, с. 55-65.
- <sup>15</sup> E. Sturtevant, G. Bechtel, ук. соч., с. 158.
- <sup>16</sup> И в Вавилоне более поздней эпохи мастерские, в частности, каменотесов находились в пределах дворцового хозяйства. К. К л е н г е л ь-Б р а н д т, Путешествие в древний Вавилон, М., 1979, с. 135.
- <sup>17</sup> Об этих "домах" см. теперь G. Giordano, E (mēš) LU GAL in den hethitischen Keilschrifturkunden, "Gesellschaft und Kultur des alten Vorderasien", 1982, с. 69 и.
- <sup>18</sup> H. Otten, Hethitische Totenzitiale, Berlin, 1958; так же см. М. Б е р и а ш в и л и, Хеттский погребальный ритуал, Вестник ГИМ, XXXVI-В, Т6., 1982, на груз. яз.

Само собой ясно, что это превосходит права рядового смертного. В культовой службе присуждение такой большой роли удел избранных. Его большая роль засвидетельствована в одном ритуале божества солнца, который совершался во время праздника антахшум на горе Лискурунува<sup>19</sup> (здесь же засвидетельствовано участие столбников и поваров)<sup>20</sup>. Кравчего мы встречаем так же вместе с царем и царицей в одном из праздников<sup>21</sup>.

И наконец, — веское, почти неоспоримое доказательство высокого социального положения — статуса служителей царской кухни в особенности кравчего: известно, что Хантили, хеттский царь сменивший после узурпации на престоле Мурсиллиса I-го (зять-муж сестры Мурсиллиса I) был кравчим царя Мурсиллиса-I<sup>22</sup>.

То, что он имел в жены сестру своего патрона, показывает его высокое социальное положение само собой, но то что в хеттском обществе не только муж сестры царя сам имел право быть правителем страны, но то, что его потомки имели на это право<sup>23</sup>, еще больше подчеркивает его высокое происхождение и занимаемое социальное положение. Мы здесь должны оговориться, что по всей вероятности, не все служители царской кухни имели такой высокий социальный статус (что и подтверждает отсутствие их в подобных хеттских текстах), но то, что в нашем тексте они названы вместе с кравчим и ничем от него не отличаются, кроме может быть тем, что кравчий при перечислении их стоит первым (еще одно доказательство его положения), указывает на довольно высокое социальное положение других служителей кухни.

Все вышесказанное относится к служителям царской и непосредственно к самой храмовой кухни, а не ко всем служащим вышеназванных наименований. Конечно, в хеттском обществе были хлебники, повара, поставщики молока и др., которые набирались из числа депортированных и работали, как в частных, так и в государственных храмовых хозяйствах, но со временем большинство из них становились людьми **GIS TUKUL**, а эта категория явно свободных людей<sup>24</sup>.

19 V. Haas, *Der kult von Nerik*, Roma, 1970, "StudiaPohl" 4, с. 65.

20 КВО XI, 39, I строка 4.

21 E. von Schuler, *Eine hethitische Festbeschreibung aus dem Iraq Museum, Bagdad* Mitteilungen, B. 5, 1970, с. 49.

22 УТ, *Die Boghazkoi-texte in unschrift, II band, I Heft, Geschichtliche texte aus dem alten Chatti-reich, Autographiert von Emil Forrer, Leipzig, 1922, с. 40.*

23 Г.Г.Г и о р г а д з е, *Наследование царской власти в древнехеттском государстве (по Телепину). Вопросы древней истории (Кавказско-Ближневосточный сборник III) Тб., 1970.*

24 Г.Г.Г и о р г а д з е, *Очерки по социально-экономической истории хеттского государства. Тб., 1973, стр. 71, 73-74, 123, 144, 148-149, 159-160 и др.*

კ. გოცაძე

აკლდამა-სამარხი ნაგებობა

(წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების

მიხედვით)

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში, ასევე ჩვეულებრივ სასაუბრო ენასა და ლიტერატურულ სიტყვა „აკლდამას“ აქვს ერთადერთი მნიშვნელობა. იგი გარკვეული სამარხ-ნაგებობის სახელია, მაგრამ ეს სიტყვა წარმოშობით არაქართულია და მისი ეტიმოლოგია დღემდე მთლად ნათელი არაა.

სულხან-საბას განმარტებით, „აკლდამა“ უცხოურად (სადაურობას არ მოუთითებს) ნიშნავს „დაბა სისხლისას“ (I, 19), ხოლო „აკლდამა“—„საძველე საფლავს“, ვარიანტი უმტებს „სახელი სისხლისას“ (ქართული ლექსიკონი, თბ., 1928).

ნ. მარი ლექსიკონში, რომელიც დართული აქვს „ზრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას, (Трѣтій VII, СПЕ, 1911, გვ. 12), მიუთითებს, რომ ეს სიტყვა არამეულია. იგი წერს „აკელდამა (арам. из Еванг.) 61, 61, уснаиъхуца, сдѣствен. кладѣице“.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „აკლდამა ებრაული სიტყვა არის; „აკელდამ“ ნიშნავს სისათვის განკუთვნილ სახლს, ისეთ ადგილს, სადაც მიცვალებულს ასაცლავენ ბუნებრივად“.

ნ. ჩუბინაშვილის (ქართული ლექსიკონი, თბ., 1961 წ.) განმარტებით: „აკელდამ ებრაულად არის „აგარაკი“ ანუ „დაბა სისხლისას“ (მატ. 27, 8; საქმ. I, 19) *אגרות דמי קרובי*. ამისაგან წოდებული არს აკლდამა მიწაში შეკრული კამარა მკუდართა გუამთ დდებად. და მისივე ებრაულის ლექსისაგან „დამა“ მიღებულ არს ქართული ლექსი დაბა, ღია სოფელი ან შენობა, ეიზარ ახალდაბა, დაბნები, უდაბნო და სხვა.

ილ. აბულაძე (ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973 წ.) იძლევა განმარტებას, რომ „აკელდამა, აკლდამა ნიშნავს „დაბა სისხლისას“ (სიტყვა-სიტყვით)“...

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტ. I, გვ. 251) ცვითხულობთ „აკლდამა“—(ძველ ებრაულად „აკელდამ“— სისხლის ველი) სამარხი ნაგებობა“.

ბერძნულ-გერმანულ ლექსიკონსა და ინგლისურ ენციკლოპედიაში მითითებულია, რომ „აკელდამა“ არამეულია და ნიშნავს „ველი სისხლისას“.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, არსებობს სიტყვა „აკელდამის“ რამდენიმე განმარტება. გასარკვევი რჩება ამ ტერმინის სადაურობა, ძველ ებრაული იგი თუ არამეული. გასარკვევიც ასევე სიტყვა „აკელდამის“ მნიშვნელობაც, „სისხლისთვის განკუთვნილ სახლს“ ნიშნავს იგი, თუ „ველი სისხლისას“.

ამ ტერმინს პირველად ახალი აღქმის წიგნში, კერძოდ „საქმე მოციქულთაში“ (პირველად ლექსიკონებშიც ეს წყაროა მითითებული), ვხვდებით: „და საცნაურ იქნა ყოველთა მკვიდრთა იერუსალემისათა, ეიზარმედ ეწოდებოდა დაბასა მას თვისითა სიტყვითა მათითა აკლდამა, ესე იგი არს დაბა სისხლისას“ (I, 19). ამ ადგილიდან ირკვევა, რომ „აკელდამა“ იგივე

1 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1946, გვ. 92.

2 ის აზრი, რომ ებრაული „დამ“=იდან მიღებულია ქართული „დაბა“, არასწორია, რადგანაც ეს ძირი არის საერთო სემიტური ძირი და ამ ენებში ნიშნავს „სისხლს“.

3 Griechisch-Deutsches Wörterbuch, von Walter Bauer, Berlin, 1958; The Encyclopaedia Britannica, vol I, New-York, 1929

რაც „დაბა სისხლისა“, მაგრამ არ ჩანს, თუ რატომ უწოდეს ჩვეულებრივ დაბას „დაბა სისხლისა“, იგივე „აკელღამა“. ამ ეპოქოსს, „დაბა სისხლისას“ შერქმევის შესახებ, მათეს სახარებაში ვხვდებით, სადაც ვკითხულობთ, რომ ოუდამ ქრისტე, „სისხლი მართალი“, ოცდაათ ეგრეტხად გაყდა. როდესაც თავისი საქციეილი მოინანია, ეს ფული „მდედელმოძღვრებს“ დაუბრუნა უკან. მათ კი, რადგანაც ეს ფული უწმინდურია, „სასყიდელი სისხლისა“ არის, ვინაიდან მასზე „სისხლი მართალი“ გაიყდა, გადაწყვიტეს, რომ მით მეკეცის აგარაკი შეისყიდონ „საფლავად უცხოთა“. ამისათვის ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისა ვიდრე აქა დღემდე“ (27,8).

ახლა უკვე გასაგებია, თუ რატომ ეწოდა შესყიდულ აგარაკს „აგარაკი სისხლისა“, იგივე „აკელღამა“<sup>4</sup>.

ზემოთ მოყვანილი ორივე წინადადების შინაარსი მოუთხოვს, რომ სწორედ ამ დროს ეწოდა ნაყიდ დაბას „დაბა სისხლისა“, ანუ „აკელღამა“, ე.ი. ეს სიტყვა ჩნდება გარკვეული დროიდან. იგი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ქრისტეს გაყიდვის ამბებს უკავშირდება. „აკელღამა“ სწორედ ამ დროს წარმოშობილი სიტყვაა, ამისთანავე იგი კომპოზიტია, ორი სიტყვის შეერთების შედეგად წარმოშობილი. ამ სიტყვიდან ერთი არის „ჰაკელ“ — „ველი“, ხოლო მეორე — საერთო სემიტური ძირი „დამ“ — „სისხლი“.

მაშასადამე, „აკელღამა“, ანუ „ველი სისხლისა“, გარკვეულ დროს, კერძოდ ახ.წ.ა. დასაწყისში, შექმნილი სიტყვაა. იგი წარმოშობილია არა მეულ სამყაროში. არამეული ენა ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში წარმოადგენდა წინა აზიის ხალხთა საერთოერთობო ენას, ე.ი. იგი იმ არეალის ხალხთა ენაა, სადაც ქრისტე მოღვაწეობდა. „აკელღამა“ — წარმოშობა კი, როგორც ახალი აღქმის წიგნები იუწყებიან, დაკავშირებულია ქრისტეს, „სისხლი მართლის“ გაყიდვასთან, რის გამოც შეერთება ეს სახელი, ანუ „ველი სისხლისა“, შესყიდულ დაბას.

სახელი შინაარსის გარკვევაში გვეხმარება სახარებისეული ჰასაჰი: „ეწოდება დაბასა მას ოვისითა სიტყვითა მათითა აკელღამა“ ან „თვისითა სიტყვითა მათითა“.

ცნობილია, რომ ახალი აღქმის წიგნები დაწერილია ბერძნულ ენაზე. აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ: „ЭТИ ДОКУМЕНТЫ (ენება ახალი აღქმის 27 წიგნს-კ.გ.) составлены на разговорном греческом языке униженных и обездоленных масс средиземноморского мира — на койне“<sup>5</sup>. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ წინა აზიის ხალხთა საერთოერთობო ენა არამეულია. მაშინ გასაგებია გახდება, რას ნიშნავს „თვისთა სიტყვითა მათითა“ ბერძნულად დაწერილ ახალი აღქმის წიგნში. რადგანაც, ბალესტინაში ამ დროს არამეულად ლაპარაკობენ, მაშინ „თვისთა სიტყვითა მათითა“ უნდა მოეთითებდეს სწორედ არამეულ ენას. ე.ი. წინადადება „ეწოდება დაბასა მას ოვისითა სიტყვითა მათითა“ ნიშნავს, რომ დაბას არამეულად ეწოდა „აკელღამა“, იგივე „დაბა სისხლისა“ და მართლაც „აკელღამა“ არამეული სიტყვაა, რასაც ზემოთ მოყვანილი ლექსიკონის განმარტებაც იუწყება.

„აკელღამა“ სიტყვა დასტურდება ასევე სორიულ და არაბულ ენებზე თარგმნილ ახალი აღქმის წიგნებში და სიტყვა-სიტყვით ითარგმნება, როგორც „ველი სისხლისა“<sup>6</sup>. ორივე ენაში სიტყვა „ჰაკელ“ ან „ჰაკელ“ ნიშნავს „ველს“, ხოლო „დამ“ — „სისხლს“. სიტყვა „დამ“ („სისხლი“) არსებობს ძველ ებრაულშიც, იგი საერთო სემიტური ძირია.

სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით შობაზეწმილება გვჩვენებს, რომ იგი ერთმანეთისგან განასხვავებს „აკელღამას“ და „აკლღამას“, რაც შედეგიდან ოცვევა: როდესაც „აკელღამის“ განმარტებას იძლევა, მიუთითებს, რომ იგი უცხოურად ნიშნავს „დაბა სისხლისას“, ე.ი. მას მხედველობაში აქვს „ახალი აღქმის“ ტექსტში არსებული „აკელღამა“. ხოლო როდესაც „აკლღამის“ შესახებ წერს „საძველე საფლავი“, „სახლი სისხლისა“, არავითარ მითითებას არ იძლევა ამ სიტყვის უცხოურობაზე. მაშასადამე, აქ იგი ქართული „აკლღამის“ განმარტებას იძლევა.

ამრიგად, მართლულად ის განმარტება მიგვაჩნია, სადაც მითითებულია, რომ სიტყვა „აკელღამა“ არამეული კომპოზიტია და ნიშნავს „ველი სისხლისას“.

4 ხმარებული ტერმინები „ველი სისხლისა“, „დაბა სისხლისა“, „აგარაკი სისხლისა“ ერთი და იგივეა, ვინაიდან ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ „აგარაკს“, „ველს“, „დაბას“ (იხ. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973).

5 БСЭ, т. 2, М., 1970, с. 159.

6 А. Донины. У истоков христианства. М. 1979, с. 14.

\* ცნობებისათვის მადლობას მოვახსენებ მ. ჩაჩიბაიასა და ო. სულაძეს.

ვნახთ, თუ როგორ განვითარდა სიტყვა „აკელდამის“ სემანტიკა ძველი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით.

მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „და ზრახვა ყვეს და მოიღეს ვიცხლი იგი და მოციდეს მით აგარაკი მეტეცისაჲ საფლავად უცხოთა“ (27,7). აქ იმ „აგარაკის“ შესახებ არის საუბარი, რომელსაც შედგომაში „აგარაკი სისხლისა“, იგივე „აკელდამა“, ეწოდა. ირკვევა, რომ იგი უყიდათ „საფლავად უცხოთა“, ე. ი. არა იქაურთა დასასაფლავებლად. მაშასადამე, ეს ნელი „სასაფლავოს“ მოსაწყობად უყიდათ, მაგრამ ძველი ქართული წერილობითი წყაროებით ირკვევა, რომ „აკელდამას“ სხვა მნიშვნელობა აქვს და არა „სასაფლავოს“, როგორც ამას ახალი აღქმის წიგნები ილწებენ. იმის შესახებ, თუ რა თავისებური მნიშვნელობა მიენიჭა ქართულ „აკელდამას“, მოვიყვანთ ცნობებს ძველი ორიგინალური წერილობითი წყაროებიდან.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ხოლო უფალმან აჩუენა სასწაული, რამეთუ დამარცხსა სხუათა მიცვალებულთასა სამგზის იპოვა შინაგან კარსა აკელდამისასა მდებარე. და არღარა იკადრეს აღებად გუამი იგი ცოდვილისა მის დედაკაცისაჲ, არამედ მაშინჲდა აუწყეს ყოველი ნეტარსა ფებრონიას, რამეთუ მოხუცებულ იყო ფრიად და შესუენებულთა და მარცხასა ვერ ძალ ედუა მისვლა“<sup>7</sup>.

ამ ადგილიდან ირკვევა, რომ „აკელდამას“ აქვს კარი, რომ იგი მრავალგზის გამოიყენებოდა სხუა და სხუა მიცვალებულთა დასაკრძალავად. ასევე ირკვევა, რომ მიცვალებულის გვამი „არაღაცაზე“ ყოფილა მოთავსებული და საიდანაც „სასწაულით“ გადმოგარდნილა, რადგანაც იქვე წერია, რომ „და არღარა იკადრეს აღებად გუამი“. ქვემოთ ვკითხულობთ ამის შესახებ: „და რაჟამს აღმოუკითხეს წიგნი იგი ნეტარისა გრიგოლისი მიცვალებულთა მათ დათა... მაშინჲდა მიიღეს მიუღარი იგი თვისსა მას ბირეულსა ადგილსა, სადაცა სამგზის დადებულ იყო, და არღარა იცვალა მიერ დღითგან“. ე. ი. მიცვალებულთა მიმართ ნათქვამია, რომ ისინი რაღაც ადგილზე არიან „დადებული“, საიდანაც ამ „უწმინდური ქალის“ გვამი გადმოგარდა, ან „დამარხული“, რაც „შენახვას“ ნიშნავს.

„აკელდამა“ სიტყვის სახესხვაობას „აკელდამას“ ვხვდებით „დავით და კონსტანტინეს მარტილობაში“, სადაც წერია: „ხოლო ქუეშე კერძო ეკლესიისა აკელდამა იყო შენ და უვნებელ, და არავინ იყო მკუდართაგანი მუნ შინა მდებარე და მას შინა დაკრძალეს გუამნი წმიდათა მოწამეთაგანი“<sup>8</sup>.

ჩანს, რომ „აკელდამაში“ რამდენიმე მიცვალებულის მოთავსება შეიძლებოდა. აქაც მიცვალებულის მიმართ ნახმარია სიტყვა „მდებარე“, „დაკრძალვა“, საყურადღებოა, რომ ეკლესიის ქვეშ მდებარე სამარხავსაც „აკელდამა“ ეწოდება.

„ლუარსაბ მეფის მარტილობაში“ ასეთი ადგილია: „ხოლო ნაწილი ამის მოწამისანი მუნივე მდებარე არიან აკელდამის სახედ შექმნილსა სახლსა შინა“<sup>9</sup>.

მაშასადამე, „აკელდამას“ სახლის სახე აქვს. ამ მოყვანილ წინადადებაშიც მიცვალებულის მიმართ ხმარებულია სიტყვა „მდებარე“.

„აკელდამას“ „ქართლის ცხოვრებაშიც“ ვხვდებით, სადაც ვკითხულობთ, რომ მირიან მეფის ძე „დაფლეს აკელდამსავე, რომელი თვით მასვე რევეს აღეშენა“<sup>10</sup>. ეს ადგილი მრავალმხრივ არის საინტერესო, კერძოდ, „აკელდამა“ მეფის ოჯახის წევრის განსახელებულია, რომ იგი გარდაცვლილის სიცოცხლეშივე აღეშენებიათ.

ამრიგად, ძველი ქართული წერილობითი წყაროების ცნობებით ირკვევა, რომ „აკელდამას“ სახლის სახე აქვს, აქვს კარებიც, ე. ი. ის ნაგებობაა, რომელშიც მიცვალებულები „დადებულ“, „მდებარე“ არიან „არაღაცაზე“, მრავალგზის გამოიყენებოდა მიცვალებულთა დასაკრძალავად და წარმოადგენდა მეფისა და მეფის ოჯახის წევრთა ან სასულიერო პირთა განსახელებულს.

საყურადღებოა ზემოთ მოყვანილი წყაროს ერთერთი ცნობა, კერძოდ, რომ ეკლესიის ქვეშ არსებულია აკელდამა, რასაც დღეს ჩვენ საქვალეს ვუწოდებთ. რ. რამიშვილს გამოთქმული

7 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ტბ., 1946, გვ. 140.

8 დასახ. ქრესტომათია, გვ. 240.

9. იქვე, გვ. 416.

10 ქართლის ცხოვრება, I, ტბ., 1955, გვ. 129.

აქვს მოსაზრება, რომ უკვე აღრეშუასაუკუნეებიდან მოყოლებული სასულიერო პირთა განსა-  
სვენებელს წარმოადგენდა ეკლესიათა ქვეშ არსებული საქვაღებები (იყალთო, ნეკრესი), ხოლო  
მიწისქვეშა სამარხი-ნაგებობანი სოციალურად დაწინაურებულ საერო პირთა სამარხავე-  
ბია II. დღეს უკვე წილკანში გათხრილი აკლდამის მიხედვით, სადაც სასულიერო პირებია  
დაკრძალული, <sup>12</sup> შესაძლებელია სულ სხვაგვარი დასკვნის გაკეთება.

ძველი ქართული წერილობითი წყაროები ეკლესიის ქვეშ არსებულ საქვაღესაც და ცალკე  
არსებულ სამარხ-ნაგებობასაც „აკლდამას“ უწოდებს.

ქვემოთ მოცემული იქნება ამ სახის სამარხ-ნაგებობათა ზოგადი დახასიათება.  
დღესდღეობით აკლდამები გათხრილი და შესწავლილია საქართველოს სხვადასხვა კუთხე-  
ში; დაწვრილებით განვიხილავთ სამადლოს, მცხეთის, ხონნაბუჯის, ივრის სიონისა და წილკ-  
ანის სამარხ-ნაგებობებს.

სამადლოს აკლდამა დათარიღებულია ძვ.წ.ა. IV ს-ის ბოლო-II I ს-ის დასაწყისით <sup>13</sup>;  
მცხეთაში აღმოჩენილი სამი აკლდამიდან ბაგინეთისა დათარიღებულია ახ.წ.ა. I-II სს-ით <sup>14</sup>,  
რკინიგზის სადგურთან გათხრილი აკლდამის აგების თარიღად მიღებულია ახ.წ.ა. I ს-ის  
ბოლო <sup>15</sup>, ხოლო არმაზისხევისა—ახ.წ.ა. II ს-ის მეორე ნახევარი <sup>16</sup>. ყოლოთს ათივე  
აკლდამა თარიღდება აღრეშუასაუკუნეებით <sup>17</sup>, ივრის სიონის აკლდამა—ახ.წ.ა. VI საუკუნე-  
ებით <sup>18</sup>, წილკანის აკლდამა—ახ.წ.ა. IV-V საუკუნეებით <sup>19</sup>.

სამადლოს აკლდამა ნაგებია ნაფლეთი ქვით 2 მ-მდე, შემდეგ კი აღიზის აფშრით.  
სამარხს მოწვრეული აქვს ფასადი (დასავლეთი მხარე) და სამხრეთ-დასავლეთი კუთხე. იგი  
სწორკუთხა (5,5X4მ), ნახევრადმიწისქვეშა ნაგებობაა. დამხობილია არცთუ ისე ზუსტად  
მხარეთა მიხედვით, სიგრძივი ღერძი 20-ით ჩრდილოეთისაკენაა გადახრილი. გადახურვა  
კრამიტისა უნდა ჰქონოდა. შესაძლებელია ფასადი მობრკელებული ჰქონდა თლილი კვადრებით,  
დასაკრძალებ სენაკში გვერდი-გვერდაა ჩადგმული ხის ორი სარკოფაგი. სამხრეთის სარკოფაგი  
ცარიელი იყო (აკლდამა გაძარცვულია), ჩრდილოეთის სარკოფაგში კი შვიდი მიცვალებულის  
ჩონჩხი აღმოჩნდა, დაკრძალულნი არიან მოკუნტულად, კვერღზე <sup>20</sup>.

ბაგინეთის აკლდამა შედგება წინა და მიცვალებულის დასაჯრძალები სენაკისაკენ. ეს  
ძირითადი სენაკი კვადრატულია, წინა ნაწილი კი მოგრძობა და მას აღმოსავლეთით კლდეში  
გამოკვეთილი სამსაფეხურიანი ვიწრო შესასვლელი უნდა ჰქონოდა. მთვარ სენაკს კარგად  
დატყეპნილი იატაკი აქვს. კედლების პერანგი შედგება კარგად გათლილი კვადრებისაგან.  
პერანგ აშორისი ნაწილი ნაშენია ნატეხი ქვით კონხსნარზე. აკლდამის მხოლოდ სამიერკველი-  
ლანა ვადარჩენილი <sup>21</sup>.

რკინიგზის სადგურთან აღმოჩენილი აკლდამა ერთენაკიანი ნაგებობაა. აქვს ნახევ-  
რადწრიული სახურავი, რომელიც კრანტიითაა გადახურული. აკლდამის გარეთა ნაწილიაგან  
მხოლოდ ფასადი-აღმოსავლეთი ნაწილი ჩანს; იგი დამხობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთი-  
საკენ. კარი აღმოსავლეთით აქვს, რომელშიც გაჭედილი ყოფილა ქვიშაქვისი ღლი. იატაკად  
კარგად გათლილი ქვის ფილები უგია.

აკლდამას ჰქონდა თიხატყეპნილი ეზო და ნატეხი ქვითა და თიხით ყორეს მსგავსად  
ამოყვანილი გალანანი.

11 რ.რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1970, გვ. 50.  
12 თ. ყაუხჩიშვილი, წილკანის აკლდამის ბერძნული წარწერა, „მაცნე“, 1982, №2, გვ. 147.  
13 Ю.А.Цвиловичев, Тамара, Тб., 1979, С.68  
14 ა.აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, გვ. 106.  
15 ვ.ლომათიძე, არ. ციცოშვილი, ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, სპა, მ, ტ. XII, №10,  
თბ., 1951, გვ. 646.  
16 ა.აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 112.  
17 მ. სინალოშიძე, ქიზიყის 1938-1939 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები, სსშ, XXV-ბ, გვ. 71.  
18 რ.რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 50.  
19 თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 147.  
20 აღწერა მოგვყავს ი. გაგოშიძის დასახ. ნაშრ. მიხედვით, გვ. 67-68.  
21 მცხეთის აკლდამების აღწერა მოგვყავს ა. აფაქიძის დასახ. ნაშრ. მიხედვით, გვ. 104-113.

მიცვალებული, როგორც ჩანს, დასვენებული ყოფილა ხის სარეცელით ან ხის კონსტრუქციებით, რაზედაც მიუთითებს იქ აღმოჩენილი ხის ნაშთები და მათთან დაკავშირებული რკინის სალტები, ბრინჯაოს საკეტები და სხვ.

არმაზისხევის აკლდამის წინა, პატარა სენაკი მდებარეობს დასავლეთ მხარეს, ხოლო მიცვალებულის დასაკრძალავი ძირითადი სენაკი აღმოსავლეთ მხარეზეა. სწორედ ამ უკანასკნელის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ჩადგმულია ფილავით ნაგები ასპარუგ პიტიახმის სამარხი. იგი თავიდანვე მიწაში ყოფილა ჩადგმული, მისი სახურავი გამოჩნდა 0, მ 2-ის სიღრმეზე. აქვე ჩადგმულია მეორე ქვის სამარხიც, რომელიც მოთავსებულია ზუსტად პირველის პარალელურად. აკლდამა აგებულია პირველი სამარხის ჩადგმისას.

ზემოჩამოთვლილ სამარხ-ნაგებობათა აღწერილობიდან ჩანს, რომ არსებობს გარკვეული მსგავსება და განსხვავებაც როგორც მათ გეგმარებასა და კონსტრუქციაში, ასევე მათში მიცვალებულის დაკრძალვის წესშიაც.

ბაგინეთისა და არმაზისხევის სამარხ-ნაგებობათა გეგმარება მსგავსია, ორივე ორსენაკიანი ნაგებობაა, ერთი არის საკუთრივ დასაკრძალავი სენაკი, მეორე - შიგნით, შესასვლელი სენაკი. რკინიგზის სადგურთან გათხრილი აკლდამა კი ერთსენაკიანი ნაგებობაა.<sup>22</sup>

ბაგინეთისა და რკინიგზის სადგურთან აღმოჩენილ სამარხ-ნაგებობებში მიცვალებული დასვენებული უნდა ყოფილიყო ხის სარეცელით იატაკზე, რაზედაც მიუთითებს იქ აღმოჩენილი რკინის სალტები და ბრინჯაოს საკეტები. სამადლოს აკლდამაში კი მიცვალებულთა დასაკრძალავად გამართულია დიდი ზომის (3X2X0,6 მ) ხის ორი სარკოფაგი. ერთერთ მათგანში აღმოჩნდა შვიდი მიცვალებული, გვერდზე, მოკუნტულად დაკრძალულნი. რაც შეეხება არმაზისხევის აკლდამას, მასში ჩადგმული ყოფილა ორი ქვაყუთი იატაკის დონიდან საბოლოოდ ღრმად, ისე რომ ნაგებობის საძირკველი და სამარხთა სახურავი ერთ დონეზეა. სამადლოს აკლდამა საყურადღებოა იმითაც, რომ იგი კოლექტიური სამარხავია.

ყოლოთში აღმოჩენილი ათივე აკლდამა თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისინი ნახევრად მიწისქვეშა ნაგებობებია. საშენ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა და ღუღაბი. ახსნათებთ თაღისებრი გადახურვა.

აკლდამებს აქვს შესასვლელი ღერეფანი, საღებურებითა და კარით. მეორე ნაწილი წარმოადგენს დასაკრძალავ თაზს, სადაც კედლების გაყოლებით მოთავსებულია „საცხედრეები“ და „საძვლე“<sup>23</sup> აკლდამები დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. შესასვლელი აღმოსავლეთიდან აქვთ. „საცხედრე“ წარმოადგენს კედელზე მიდგმულ შემალღებას. ისინი ხშირად ერთდებიან დასავლეთ კედელთან, შუაში დატოვებულია ვიწრო გასასვლელი „საძვალე“ ხშირად მოთავსებულია დასავლეთ კედლის გაყოლებაზე და წარმოადგენს ჩაღრმავებულ ადგილს, სადაც შემდეგში საცხედრებზე დასვენებული მიცვალებულის ძვლებს ჩახვეტავდნენ და ამით ადგილი თავისუფლდებოდა „საცხედრეზე“. „საძვლე“ არ გააჩნია მხოლოდ ერთ, №1 აკლდამას.<sup>24</sup>

სიონის აკლდამა მიწაშია ჩადგმული, ნაგებია შირიმის კარგად დამუშავებული ქვათილებით, შედგება დასაკრძალავი სენაკისა და შესასვლელი ტალანისაგან. დასაკრძალავ სენაკს თაღისებრი გადახურვა აქვს. შესასვლელი ტალანი იწყება კარით და სამსაფეხურიანი კიბით. კედლის წყობა შედგენილია კარგად გათლილი კვადრებისაგან. ტალანიდან სენაკში ჩადის სამსაღებურიანი კიბე.

„საცხედრეები“ მიდგმულია სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე, ისე რომ მათ შორის დარჩენილია ვიწრო გასასვლელი. ასეთივე ვიწრო ადგილი დატოვებული „საცხედრეებსა“ და დასავლეთ კედელს შორის; სწორედ ეს ადგილი გამოუყენებიათ შემდგომში „საძვლედ“, სადაც დახვედებული იყო ასეული წლების მანძილზე გადახვეტილი ძვლები. ორივე „საცხედრე“ დაბალი ბარიერით ორ-ორად არის გაყოფილი ისე, რომ აკლდამაში შესაძლებელი ყოფილა ერთდროულად სულ ცოტა ოთხი მიცვალებულის დაკრძალვა.<sup>25</sup>

22 სამადლოს აკლდამის გადაჩენილი ნაწილით შეუძლებელია მისი გეგმარების აღგკენა.

23 ეს ტერმინები არქეოლოგიურ ლიტერატურაში შემოტანილია სტ. მეჩეთეაშვილის მიერ.

24 ვ.სინაურიძე, დასახ. ნაშრობი, ვვ. 47-75.

25 რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრო. ვვ. 15-54.

წილენის აკლდამა მიწისქვეშა ნაგებობაა, განლაგებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. დასაკრძალავ სენაკში ცამეტსაფეხურიანი დროშისით ჩავდივართ. აქვე თადისებრი გადახურვა. ჩრდილო და სამხრეთ კედლებზე მიდგმულია საცხედრები. დასავლეთ კედელზე საღებავით შესრულებულია ბერძნული წარწერა და ჯვრები<sup>26</sup>.

ქრისტიანული ხანის ამ ზემოჩამოთვლილ აკლდამათა აღწერილობიდან კარგად ჩანს, რომ მათ შორის მხოლოდ ოდნავი განსხვავებებია. რაც მთავარია და რასაც ყველაზე მეტად უნდა მიექცეს ყურადღება, ეს არის დასაკრძალავი სენაკის გარკვეული და ჩამოყალიბებული წესით მოწყობა და ასევე მიცვალებულთა დაკრძალვის წესი.

ყველა ქრისტიანული აკლდამა მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. დასაკრძალავ სენაკში ჩრდილო და სამხრეთ კედლებთან მოწყობილია „საცხედრები“, რაზედაც თავსდება მიცვალებულის გვამი. ამ დროის ყველა აკლდამა კოლექტიური სამარხავია.

რ.რამიშვილს ყოლოთს აკლდამაზე დაკვირვების საფუძველზე გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ „საცხედრე“ ადგილი აკლდამებს გარკვეული პერიოდის შემდეგ უჩნდებათ<sup>27</sup>, არა აქვს „საცხედრე“ არც სიონისა და არც წილენის აკლდამას, თუმცა კი „საცხედრე“ ფუნქციას იქ „საცხედრებებსა“ და დასავლეთ კედელს შორის დატოვებული ცარიელი ადგილი ასრულებს.

ყოველ შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ „საცხედრების“ არ არსებობა გარკვეულ პერიოდში ან შემდგომში მათი გაჩენა და სხვადასხვაგვარად მოწყობა არ უნდა იყოს განმსაზღვრელი მნიშვნელობის მატარებელი დაკრძალვის წესში.

ამგვარად, ძველი ქართული წერილობითი წყაროების ცნობები და არქეოლოგიური მასალა ქრისტიანული აკლდამების შესახებ საცხედრით ეთანხმება და ავსებს ურთიერთს. კერძოდ, რომ „აკლდამას“ აქვს „სახლის სახე“, აქვს კარი, რომ იქ მრავალჯერ შეიძლება მიცვალებულთა დაკრძალვა, რომ გარდაცვლილთა გვამები „რადაც“ შემალღებაზე თავსდება და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს განსხვავება როგორც ელინისტურ და გვიანანტიკურ, ასევე თვით გვიანანტიკურ სამარხ-ნაგებობებს შორისაც. ეს განსხვავებები შეიმჩნევა მათ გვეგმარებაში და იქ მოცვალებულთა დაკრძალვის წესშიც. ამ მხრივ სხვადასხვაგვარობა არ შეიმჩნევა ქრისტიანული ხანის აკლდამებში.

თუკი ყველა დროის აკლდამები მიჩნეული იყო სოციალურად დაწინაურებულ საერო პირთა განსასხვავებლად, უკვე ქრისტიანული ხანიდან ის სასულიერო პირთა განსასხვავებელიცაა.

ქრისტიანული და ადრეული ხანის ამ ტიპის სამარხ-ნაგებობები მრავლადაა აღმოჩენილი სხვადასხვა კუთხეში; ჩრდილო შავიზღვისპირეთში, სომხეთში, მცირე აზიაში და სხვა. მაგრამ საქართველოში მათი გაჩენის ან შემოსვლის საკითხი ჯერ კიდევ საჭიებელია. ასევე შესასწავლია გენეტიკური კავშირი სხვადასხვა პერიოდის ამ ტიპის სამარხ-ნაგებობათა შორის.

26 ა.ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 134-147.

27 რ.რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 45-49.

К. М. Гоцадзе

Аклдама (склеп) погребальное сооружение (по данным письменных источников и археологических материалов)

### Резюме

В древнегрузинских письменных источниках сохранились данные об одном типе погребального сооружения "аклдама" (склеп). В научной литературе существуют различные мнения о происхождении и первоначальном значении этого слова.

Первый источник, где упомянуто слово "аклдама", это "Деяния апостолов" (I, 19). При разборе текста выяснилось, что это слово означает "землю крови". Термин связан с историей предательства Христа, к этому же периоду относится и происхождение слова. По тексту очевидно, что землю купили для кладбища, отсюда можно предположить, что слово "аклдама" первоначально употреблялось как означающее кладбище.

"Аклдама" Арамейское слово, является композитом и означает "Землю крови" у нас оно появилось вместе с христианской религией.

В грузинском языке это слово обрело другое значение - оно уже не означает кладбище, это содержание "сузилось". В Грузии аклдамой называли погребальное сооружение, о чем свидетельствуют древние грузинские письменные источники. По этим источникам явствует, что "аклдама" сооружение в виде дома, в котором можно поместить несколько покойников. Видно также, что "аклдама" являлась семейной усыпальницей социальной верхушки и духовной знати.

Данные письменных источников находят подтверждение обнаружением при археологических раскопках склепов в разных регионах Грузии (Мцхета, Иорское ущелье, Когото, Цилкани и Самацло).

## ნ. აფხაზაბაძე

### „მხედრის“ სამარხი ქვემო ალევინთან

ქსნის ხეობის სოფელ ქვემო ალევინში ახლად აღმოჩენილი ადრეულ შუასაუკუნეთა სამაროვანი მრავალი ინფორმაციის შემცველია<sup>1</sup>. აქ საინტერესოა როგორც სამარხთა ტიპები, დაკრძალვის წესი, ისე ნივთიერი მასალა. ალევინის სამაროვნის შესწავლით შევისება ადრეულ შუასაუკუნეთა ქსნის ხეობისა და, ამდენად, მთელი საქართველოს ისტორიის ერთი ბუნდოვანი ნაწილი.

დღესდღეობით, როცა ქვემო ალევინის სამაროვნის კვლევა ესაუბრა დაიწყო და გაითხარა მხოლოდ 57 სამარხი, აქ აღმოჩენილი მასალა არასრულადაა დამუშავებული. მის შესახებ მოსაზრებათა უმეტესი ნაწილი წინასწარულია და ვარაუდის ფარგლებში მყოფი, მაგრამ ქვემო ალევინში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა საინტერესოა და დროულად საჭიროებს გამოქვეყნებას. წინამდებარე პუბლიკაციაც ამის ნაწილობრივი განხორციელებაა.

№23 სამარხული კომპლექსი. სამარხი ქვანთაა. სამარხის ეს ტიპი წამყვანია როგორც ქვემო ალევინის სამაროვნის, ისე, საერთოდ, ადრეულ შუასაუკუნეთა აღმოსავლეთ საქართველოს (=ისტორიული ქართლის სამეფოს) სამაროვნებისათვის. ქვანთი დამხობილია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე (ოღნავ გადახრილია სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ). სამარხი გადახურული იყო სამი ოთხკუთხა, თითქმის თანატოლი ფილაქვით. გაუხსნელი სამარხის სიგრძეა 2,20 მ, სიგანე (დასავლეთ ნაწილში, თავთან) კი 1,13 მ. სახურავის ახდის შემდეგ გაირკვა, რომ სამარხი ყუთი შეკრული იყო 4 მთლიანი ფილაქვისაგან, რომლის სიგრძეა 1,94 მ, ხოლო სიგანე 0,65 მ.

სამარხის სამხრეთ ნაწილში სახით აღმოსავლეთისკენ მიმართული, ზურგზე გამოტოლი და მუცლის არეში ხელდაკრეფილი მამაკაცის ჩონჩხი იწვა. მიცვალებულის დაკრძალვის პოზიციისტიანულია. ჩონჩხის სიგრძე 1,70 მ. იგი ძვალმსხვილი, მხარბეჭიანი ახალგაზრდა მამაკაცი უნდა ყოფილიყო (მას ყველა კბილი ჯანსაღი ჰქონდა). მიცვალებულს თავის ქალაზე ყოფილიყავდა ადგილას შეხორცებული ჭრილობა აჩნდა.


მიცვალებულს ზემოდან, მუცლისა და გულმკერდის არეში, ესვენა 8-9 წლის ბავშვის ნაშთი (ასაკი ვივარაუდეთ ძირითადად კბილების მიხედვით. მისი ძვლოვანი მასალა ცუდად იყო დაცული).

სამარხის ჩრდილოეთ ნაწილი ცარიელი იყო. იგი თითქმის სხვა ზრდასრული მიცვალებულისთვის იყო განკუთვნილი (გამზადებული).

№23 ქვის სამარხში აღმოჩენილი შედარებით მცირერიცხოვანი ნივთიერი მასალა ერთი შეხედვით ღარიბულია, მაგრამ მაინც მეტყველი<sup>2</sup> მამაკაცის მარჯვენა მხრის ზემოთ აღმოჩნდა დამტვრეული, რკინის, ჭვინტიანი, მუხლსახსრიანი მოზრდილი მშვილდსაკინძი

<sup>1</sup> ქვემო ალევინის სამაროვნის აღმოჩენის პირობებისა და კვლევის მიმდინარეობის შესახებ იხილეთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ანგარიშების VIII ნომერი. აქ გამოქვეყნებული ანგარიშის თანაბეტორი, კ. გოცაძესა და ი. გაგოშიძესთან ერთად, წინამდებარე პუბლიკაციის ავტორიცაა.

<sup>2</sup> საინტერესოა, რომ ჯერჯერობით სამაროვანზე გათხრილი თითქმის ყველა სამარხი ინვენტარიანია, თუმცა ინვენტარის უმეტესობა ქალის სამკაულია; მამაკაცის ჩონჩხს ინვენტარი იშვიათად ახლავს.



Կցի՞ր. 1

(სიგრძე-6, I სმ, მშვილდის სიმაღლე -2,3 სმ) (სურ. I-15). მისსავე მკერდის არე-ში, ბავშვის ჩონჩხის წარჩენებთან ერთად, აღმოჩნდა მომცრო რკინის მშვილდსაკინძი (სიგრძე-4 სმ, მშვილდის სიმაღლე-2 სმ) (სურ. I-16). იგი ბუდემთლიანი და მუხლსახს-რიანია. მამაკაცის მუცლის არეში, დაკრეფილ ხელის მტევნებს შორის, აღმოჩნდა ვერცხ-ლის სასანური მონეტა (სურ. I-17). მისსავე მარჯვენა მკლავთან ვიპოვეთ რკინის მრგვალფარაკიანი გატეხილი ბეჭედი (ფარაკი, რომელზეც თავის დროზე, შესაძლოა, გამო-სახულებაც იყო ამოტვიფრული, წვრილი რგოლის დაბრტყელებულ ბოლოებზეა დარჩილული. (რგოლის დ -1,9 სმ) (სურ. I-18). ბავშვის კუთვნილება უნდა ყოფილიყო ზრდასრული მიცვა-ლებულის მკერდის არეში, ბავშვის ძვლებთან ერთად, ჩაბნეული 48 ცალი მინის მძივი. მათგან 24 ცალი, შედარებით მსხვილი, მრგვალი და დამჯდარი ფორმისაა (ისინი ძლიერაა ირიზებული) (სურ. I-19), 24 ცალი კი მინისავე ძლიერ გამოფიტული წვრილი „ოქროს სარ-ჩულიანი“ კასრისებრი ფორმის მძივია (სურ. I-20).

სამარხეულ ინვენტარს შორის ყველაზე საინტერესო ნივთი თუ ნივთების ჯგუფი აღმო-ჩნდა ქვაყუთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მამაკაცის მარცხენა ბარძაყის გასწვრივ, სამარხის ჩრდილო კედლის მახლობლად. ესაა აბზინდებისა და ბალთების ჯგუფი<sup>3</sup> (სურ. I-1-14). მათ ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდათ ტყავის ნაშთი, რომელიც მალე დაიშალა<sup>4</sup>. აშკარა იყო, რომ საქმე გვქონდა საინტერესო ქაშის „გარნიტურთან“<sup>5</sup>. აბზინდებისა და ბალთების სამარხში განლაგების მიხედვით კარგად ჩანდა, რომ მიცვალებულის ჩასვენე-ბამდე იგი მისთვის შეუსხნათა წილადან და გახსნილი და დახვეული სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან დაუდევრად დაუგდიათ. ამან გაგვიძინელა მათი, განსაკუთრებით ბალთების, პოზიციის (ტყავის ღვედზე დამაგრების) ზუსტი განსაზღვრა. ამიტომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ქაშის აღგენისას დამატებითი მონაცემების გამოყენება დაგვ-ჭირდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სრული საქამრე გარნიტური საქართველოს ადრეულ შუა-საუკუნეთა კომპლექსებში არცთუ ხშირადაა აღმოჩენილი.

განსახილველი საქამრე გარნიტური შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: მოზრდილი ერთ-წილადი B -სებრჩარჩოიანი, ჰერალდიკურფარაკიანი აბზინდა (ზომა 4,5 X 3,5 სმ) (სურ. I-1). ესაა მთავარი შესაკრავი; მასში გაყრილი და წინ თავისუფლად დაკიდებული ქაშის ბოლოზე დამაგრებული უნდა ყოფილიყო დიდი, ფართოჭრილიანი ბალთა (სურ. I-5). აბზინდის შუა ნაწილში, ენის ძირთან, ქაშის ღვედის დამჭერი უნდა ყოფილიყო პატარა ორ-შვერილიანი ბრტყელი ღერო - ბალთა (სურ. I-10). ქაშის შემდეგ, როგორც ქვემოთ დავი-ნახავთ, აზრობრივი დატვირთვის მატარებელ მთავარ ნაწილს შეადგენს სამი საკიდი ჰოგრ-ძო ნიღბისებრი ბალთა (სურ. I -14). მათ „დანაოჭებული შუბლი“, წყვილი „თვალი“ და „ეხვირის“ სამკუთხა ჭრილი აქვთ. ზედ ქამარზე დასამაგრებლად; ზონრების ჩამოსაშვებ ადგილას, უნდა იყოს განსაზღვრული ნახევარწრიული („მუზარადისებრი“) 4 ბალთა (სურ. I-3, 4, 6, 7). სამ მათგანს თითო მოზრდილი წრიული ჭრილი აქვს; ერთს კი ზემო ნაწილში განივი, ქვემო ნაწილში რკალური ჭრილი, ხოლო შუაში პატარა ხვრელი გააჩნია. შემდეგია

3 ჩვენ თავდაპირველად აბზინდა-ბალთები ვერცხლისად მივიჩინეთ. მაგრამ ქიმიური გაწმენდის შედეგად იგი უფრო რთული შემადგენლობისა აღმოჩნდა. მათი შედგენილო-ბის საბოლოოდ დასადგენად ჩვენ ისინი საანალიზოდ მეტალურგიის ინსტიტუტს გადა-ვეცით. წინამდებარე ნაშრომის წერისას პასუხი ჯერ კიდევ არ გვქონდა მიღებული.

4 ქამარი რომ მამაკაცის კუთვნილებაა, ეს უდეველი უნდა იყოს. ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას.

5 ჩვენ გამოვიყენეთ მსგავსივე ქაშების რეკონსტრუქციის ცდები, რომლებიც აქვთ: Gyula Daszko *Die Art of the Migration Period, Budapest*, 1974, p. 54; Б. А. Рыбаков. Новый Суджинский клад антского времени. - КСИИМК, XXVII, 1949, с. 85, рис. 336; Археология СССР, Степи Евразии в эпоху средневековья. М., 1981, рис. 61.

ბ-სებრი ბალთა (სურ. I-2). განსახილველ საქამრე გარნიტურში „შეწყვილებული ნახევარ-მთვარისებრი“ ბალთაა, რომელსაც ზედაპირზე 4 ხვრელი აქვს; ორ მათგანში სამაგრი გაყრილი. იგი დაკავშირებული უნდა იყოს „ხუთწევრა“ ბალთასთან (იხ. სურ. II), რომლის ზედაპირი ჭვირულია (ერთმანეთთან შეერთებული ოთხი ხვრელი) (სურ. I-II). ქამრის ნაწილსაც შეადგენს ქ-სებრი სამაგრი, რომელშიც გაყრილი უნდა ყოფილიყო ბოლობალ-თიანი თასმა (სურ. II); აბზინდისა და ბალთების უმეტესობა ტყავის ღვედზე დამაგრე-ბული უნდა ყოფილიყო მათ ზურგზე არსებული შევრილებით (სურ. I-1ა).

ჩონჩხის აღსაგების შემდეგ სამარხის ძირზე შეიმჩნეოდა მუქი ყავისფერი თხელი ფენა, რაც ალბათ საგებლის ან სუდარის ნაშთია.

აღწერილ ქვის სამარხში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიცვალბულები დაკრძალული არიან ქრისტიანული წესით; ყოველ შემთხვევაში, კარგად დაჯული მამაკაცის ჩონჩხი ამას მეტყველებს (იხ. ზემოთ). დაკრძალვის ქრისტიანული რიტუალის დაცვაზე მიგვი-თითებს აგრეთვე სამარხეული ინვენტარის სიმწირეც. აქ შესაძარბლად მხედველობაში გვაქვს ქრისტიანობამდელი სიტუაცია, „წარმართული“ დაკრძალვის რიტუალი, როდესაც სამარხის ინვენტარი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, მაგრამ №23 სამარხშიც გვაქვს „წარმართობის“ რევიდივები თუ გადმონაშთები. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნა-ვია „მიცვალბულის ობოლის“ (ხარონის ფულის) ჩატანების ფაქტი. აღსანიშნავია, რომ ეს წესი ქვემო ალევის სამაროვანზე დაკრძალვისას საკმაოდ ხშირად დაუცავთ. მაგა-ლითად, მონეტები აღმოჩნდა №1, 9, 10, 12, 15, 16, 17, 21 და სხვა სამარხებში. წარმარ-თულ წესსაც უნდა მივაკუთვნოთ სამარხში ქამრის „ჩაგდების“ ზემოაღნიშნული ფაქტიც. ის, რა იგი მიცვალბულს წელზე არ ერტყა, არამედ ცალკე, გახსნილი ეგდო, მიგვა-ნიშნებს, რომ აქ საქმე გვაქვს მიცვალბულის თუ თვით ნივთის „გაუფენებელყოფასთან“. მიცვალბულისადმი (თუ ნივთისადმი) შიშის გამო სამარხეული ინვენტარი ხშირად გან-გებდა გატეხილ-გაფუჭებული. მაგალითად, ამტვრევდნენ ზოლმე ჩატანებულ სარკეებს, იარაღს. ამტვრევდნენ ან უაბზინდოდ ატანდნენ მიცვალბულს ქამრებს, ლუნავდნენ მახვილებს. ამ რიტუალის კარგი მაგალითი გვაქვს იქვე, ქვემო ალევის სამაროვნის №15 სამარხში. მასში დაკრძალულ ორ გოგონას წელზე ერტყა პატარა ქარქაშები (მახ-ვილის თუ დანის ბუდეები); რომლებიც ცარიელი აღმოჩნდა, მათში მახვილი არ იყო. ე.ი. მიცვალბულს ძალადაკარგული იარაღი ჩაატანეს (ან თვით იარაღს დაუ-კარგეს ძალა).

სამარხის თარიღი-სამარხში გვაქვს ვერცხლის სასანური მონეტა. იგი მოჭრილია ირანის შაჰინშაჰის პეროზის (459-484) ზეობაში, ქალაქ ვე-არტაშირში<sup>6</sup>, მაგრამ მისი და მთარიღებელი მნიშვნელობა მაღალი არაა. მონეტა თითქმის ყოველთვის და კონკრეტულ შემთხვევაშიც გვაძლევს მხოლოდ *tertius post quem*<sup>10</sup>


6 ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს, რომ გადმონაშთის სახით ქსნის ხეობაში „ვერცხლის“ ფულის ჩატანების წესი დღემდეა შემორჩენილი.

7 ამის მრავალი მაგალითი გვაქვს სამთავროს სამაროვანზე, ურბნისში, წებელდაში, ჩრდილო კავკასიაში და სხვ. იხ. ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, აბ., 1964, გვ. 69, 70, 75, ტაბ. XXIV, I-4; С. А. Плетнева. От кочевий к городам. М. 1967, С. 168 В. В. Кропоткин, Могильник Суук-Су-Са №1, 1959; წებელდა. სახ. მუზეუმის მვი-რე კოლექციათა ფონდი 2-58-17. კრემაციული სამარხი №4.

8 მონეტა განსაზღვრა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. წოწოლიამ, კრისთვისაც მაღლობას მოვახსენებთ.

9 ასეთივე სიტუაციაა სამთავროს სამაროვნის მონეტებიან სამარხთა უმეტესობასა და სანთის № I სამარხშიც.

10 მონეტის დამათარიღებელ ღირებულებაზე იხ. Д. Г. К а п а н а д з е. О продол-жителности обращения денариев Августа и драхм Готарза в древней Ибе-рии. - СА, № 4, 1962; А. К. А м б р о з. Проблемы раннесредневековой хро-нологии Восточной Европы. - СА, № 2, 1971, с. 96; М. А. Т и х о н о в а, К вопросу о достоверности датировки закрытых комплексов римскими моне-тами. - КС, № 159, 1979, с. 37-43.



կտի. 2

დათარიღების მხრივ გაცილებით დასუსტებულია სხვა ინვენტარი. მაგალითად, მამაკაც-ვის ჩონჩხთან დადასტურებული რკინის ჭვინტიანი მუხლსახსრისანი მშვილდსაკინძი ძირითადად თარიღდება VII ს-ით. იგი ტიპური ნივთია ამ დროის საქართველოსი და აღმოჩენილია მრავალ სამაროვანსა თუ ნაქალაქარზე II.


სამარხში აღმოჩენილი მეორე მშვილდსაკინძის გავრცელების დრო VI-VIII სს-ის დასაწყისის ეკუთვნის (მას შერჩენილი აქვს ქსოვილის ნაშთი)<sup>12</sup>.

განსახილველ №23 სამარხში აღმოჩენილ რკინის მრგვალფარაკიან ბეჭდებსაც მრავალი ანალოგი მოეძებნებათ VI-VIII სს-ის ჯგუფის სამარხებში<sup>13</sup>, უფრო ზუსტად კი ისინი მრავლად მხოლოდ VII ს-ის სამარხებში გვხვდება<sup>14</sup>.

სამარხეულ კომპლექსში დადასტურებულ მინის მძივებსაც ადრეულ შუასაუკუნეთა კომპლექსებში მოეპოვებათ პარალელები. მაგალითად, ოქროს (და ვერცხლის) სარჩულიანი მძივები გვხვდება სამთავროს VII ს-ის კომპლექსებში: ქვის სამარხები № 619 (46 წ.), №605 (46), №38 (39 წ.)<sup>15</sup>. ამავე დროსაა გავრცელებული დაბალი ხარისხის მინისაგან დაშლადებული სხვადასხვა ფერის (კემეტსად ლურჯი, მოყავისფრო და სხვ.) მრგვალბრტყელი მძივები<sup>16</sup>.

განხილულ ნივთებს შორის ყველაზე დიდი დამათარიღებელი მნიშვნელობა აქვს საქაშრე გარნიტურს. იგი ჰერალდიკური ტიპის ქაშრებს (=გვიანნასანური ტიპის ქაშრებს) განეკუთვნება, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში, ციმბირსა და ზოგ მომიჯნავე ქვეყანაში VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ში გავრცელდა<sup>17</sup>. საქართველოსთვისაც ამ ტიპის ქაშრები დაახლოებით იმავე დროისთვისაა დაახასიათებელი<sup>18</sup>. ჩვენ ისინი VI ს-ს მიწურულითა და VII ს-ის I ნახევრით დავათარიღებთ<sup>19</sup>.

- 
- II ო.ტყემელაშვილი, სამთავროს სამაროვნის II-VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები. -სსმმ XXII-B, თბ., 1959, გვ.313-316; მცხეთა I, 1956, გვ.138; ნ.უგრელიძე, ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1969, ტაბ.II, გვ.77; ლ.ჭილაშვილი, დასახ.ნაშრ., სურ.57, I, 2, 4; ბ.ჯორბენაძე, ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, თბ., 1982, გვ.75-76; ვ.ნიკოლაიშვილი, ვაშლაჯვარის სამაროვანი.-სას, თბ., 1979, ტაბ.XVI, 16, 29, 44. აღნიშნული მშვილდსაკინძის ანალოგიური ჩვენ II ჯგუფის II სერიის I ვარიანტში გავაერთიანეთ. ზემოაღნიშნული ავტორები მას ძირითადად VI-VIII საუკუნისად მიიჩნევენ; ჩვენ სათანადო ანალიზისა და არგუმენტაციის შედეგად ქართლში მათი ფართოდ გავრცელების დროდ VII ს. მივიჩნით (იხ.ნ.აფხაზავა, ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979, ტაბ.XIX-8-22, გვ.20-25, 32-33).
- 12 ამ ტიპის მშვილდსაკინძი ჩვენ მივაცუთვნეთ III ჯგუფის II სერიის II ვარიანტს (ნ.აფხაზავა, დასახ.ნაშრ., ტაბ.XXIII, გვ.26-27, 33).
- 13 ნ.უგრელიძე, დასახ.ნაშრ., გვ.78.
- 14 ნ.აფხაზავა, დასახ.ნაშრ., ტაბ.XXXVI-32, XXXVII-3, XXXI-40, XXIV-4, XLII-30.
- 15 ნ.აფხაზავა, დასახ.ნაშრ., ტაბ.XXXIX-14, XI-42, XIII-23, XIII-19.
- 16 იქვე, ტაბ.XXIX-12, XXVIII-35, XXX-46, XI-35.
- 17 А.К.Амброз, Проблемы..., рис. 5,6.
- 18 Б.А.Куфтин, Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941, с.23, рис.25; ო.ტყემელაშვილი, ადრეული დალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან (ახ.წ.IV-VIII სს.), ლის. თბ., 1955, გვ.171-176; ნ.უგრელიძე, დასახ.ნაშრ., გვ.79.
- 19 ნ.აფხაზავა, დასახ.ნაშრ., გვ.46-53, 58-60, 92-93.



სურ. 3

განხილული ქამრის თითქმის ყველა დეტალს მოეპოვება ზუსტი ანალოგი ქართული არქეოლოგიური კომპლექსებიდან<sup>20</sup>. დიდ აბზინდას (სურ. I-I) ანალოგები არის სამთავროს სამაროვანზე (ქვს. № 120 (38<sup>წ</sup>), № 677 (47)<sup>21</sup> დიდ ბალთას (სურ. I-5) ძველ გაგაზში, ყაზბეგში<sup>22</sup>. მოგარძო ნიღბისებრ ბალთებს<sup>23</sup>, ნახევარწრიულ და ო-სებრ ბალთებსაც მრავალი ანალოგი მოეძებნება სამთავროს, ბერბუკის, ურბნისის განთხარის მასალიდან<sup>24</sup>. ერთგვარი სიახლეა „ხუთშეკერილიანი“ (სურ. I-II) და „შეტყუებული ნახევარმთვარისებრი“ (სურ. I-8) ბალთები<sup>25</sup>. მათ გარკვეულად გაამრავალდებოვნეს ჩვენი მასალები.

ყველა განხილული მონაცემის მიხედვით, საქამრე ინვენტარიც მსგავს სხვა ქართულ მასალასთან ერთად VI ს-ის მიწურულითა და VII ს-ის I ნახევრით უნდა დათარიღდეს. ასევე უნდა დათარიღდეს № 23 სამარხის მთელი ინვენტარი და, საერთოდ, სამარხეული კომპლექსი. შესაძლოა აქ VI ს-ის მიწურული გამოირიცხოს (ჰვიენტაინი მუხლსახსრიაანი მშვილდსაკინძის გამო) და იგი VII ს-ის I ნახევრისად მივიჩნიოთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ აღევჩი გათხრილი 57 სამარხიდან ქამრის გარნიტურის მხოლოდ ზემოთ განხილულ № 23 სამარხშია აღმოჩენილი<sup>26</sup>. ამ მხრივ იგი იმეორებს აღმოსავლეთ საქართველოს სხვა სამაროვანთა სურათს.

20 ვფიქრობთ, ჩვენი ზემოთ დასახელებული ნაშრომიდან („ადრეული შუასაუკუნეების.“) ყველა ძირითადი ანალოგი ქართული მასალისათვის კარგადაა ცნობილი. ამიტომ მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში დავასახელებთ უცხოურ ანალოგებს.

21 ნ. აფხაზავა, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXVII-40, XXVIII-32.

22 იქვე, ტაბ. XXVIII-44, XXXII-58.

23 მათ ახასიათებთ ერთადერთი სხვაობა - ცხვირის ჭრილი საკუთხა აქვთ, ნაცვლად-ვთქვათ, „კომპლისებრი“ ჭრილისა. მაგრამ ასეთი სხვაობები ყველგან გვხვდება და იგი საერთოდ ჰერალდიკური ქამრების, როგორც გარკვეულ ნიშანთა სისტემის პატარებლის, დამახასიათებელია. - იხ. В. Е. Ковалевская. О некоторых знаковых системах в археологии. *Συμπεριληπτή Τруды по знаковым системам 4. Тартуский Гос. Университет. Тарту, 1968, с. 423.*

24 ნ. აფხაზავა, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXXII, 26-37, 39-41, 45, XXXII-51-54, XXXII-46, 55-57.

25 მათი ზუსტი ანალოგები გვხვდება აღმ. ევროპაში. იხ. Археология СССР... рис. 6-45, 61; М. Р. Полесских. Боевое оружие и снаряжение из могильников Армиевского типа. СА, 1968, XI, рис. 5.

26 ცალკეული აბზინდები აღმოჩენილია აღევის დღემდე გათხრილ სამ სამარხში: № 8 და № 21 ქვის სამარხებში. № 8 სამარხი მოზრდილი გოგონასია. იგი ამ დროისათვის ძლიერ მდიდრულ სამარხად შეიძლება ჩაითვალოს. აქ აღმოჩნდა ფიგურულფარაკიანი აბზინდა (იხ. სურ. III-3), ხოლო № 21 სამარხში ორი ერთწილადი პატარა, ჰერალდიკურფარაკიანი, ოთხკუთხა ჩარჩოიანი, ბრინჯაოს აბზინდა. სამარხი მოზრდილი გოგონასია უნდა იყოს. ერთი აბზინდა (სურ. III-2) ფეხის ტერფიან იყო; ხოლო მეორე (სურ. III-1) წელის არეში, მარჯვნივ. აღსანიშნავია, რომ თუ № 8 სამარხი ცოტა გვიანდელია ინვენტარის მიხედვით, ვიდრე № 23, № 21 სამარხი თანადროული უნდა იყოს მისი. სხვათა შორის, მასშიც ვერცხლის სასაწერი მონე-

უნდა გავიხსენოთ, რომ ქამარს, როგორც სამკაულ ნივთს თუ ტანისამოსის ნაწილს, სრულიად გარკვეული აზრობრივი დატვირთვა გააჩნდა შუა საუკუნეებში<sup>27</sup>. „Смисл всей системы дружинного пояса для VI-VII вв. нам ясен—это знак положения и его владельца военно-административной иерархии“ — წერს ვ.კოვალევსკაია<sup>28</sup>. იგი, ქამარი (=სარტყელი), ერთგვარი „პასპორტი“ იყო მამაკაცის მდგომარეობისა საზოგადოებაში ამახთან უნდა ითქვას, რომ მთავარი აზრობრივი დატვირთვა სწორედ საკიდ ბალთებს გააჩნდა<sup>29</sup>. ჩვენ თავის დროზე ადრე შუასაუკუნეთა აღმოსავლურ ქართული სამარხეული კომპლექსების განხილვისას დავასკვენით, რომ შერადიკურ ქამარიანი (=გვიანსასანური ტიპის ქამარიანი) მიცვალებულები, ალბათ, საზოგადოებრივად უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე სხვები, რომელთაც ამ ტიპის ინსიგნია არ ჰქონდათ ჩატანებული საფლავეში; „ისინი შესაძლოა წვრილი მოხელე ან დაბალი სამხედრო ჩინები იყვნენ“<sup>30</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ VI-VII სს-ის აღმოსავლეთ ევროპისა და ციმბირის მომთაბარეთა და შედარებით პრიმიტიული საზოგადოებრივი სტრუქტურის ხალხებს შორის გავრცელებული წესის თანახმად ყოველი ზრდასრული მამაკაცის სამარხში ქამრის გარნიტურია<sup>31</sup>, ქართლში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამარხთა (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მამაკაცის ნეშტის შემცველ სამარხებს) მხოლოდ მცირე ნაწილშია აღმოჩენილი შერადიკური ტიპის ქამრები. ეს უთუოდ ასახავს ქართლის საზოგადოებრივ რთულ სტრუქტურას. თუ ქამრებიანი, ე.ი. გარკვეული რანგის პირთა სამარხები მაინც საერთოა, ალბათ, სათემო-საგვარეულო სასაფლაოზეა კვლავ, ეს, მეორე მხრივ, მივითითებს იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო დემის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, ძალა ჯერ კიდევ დიდია. ეს აზრი ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით კარგა ხანია გამოთქმული და დასაბუთებულია კიდევ<sup>32</sup>. ვფიქრობთ, არქეოლოგიურ მასალაშიც როგორღაც ასახა ეს მომენტი.

ტაა აღმოჩენილი. იგი კავადის უნდა იყოს. როგორც ჩანს, მოდა ყველასათვის ერთი იყო. შერადიკური ქამრების პერიოდში როგორც კაცებს, ისე ქალებს ერთი ტიპის ქამრის დეტალები ჰქონდათ; რაღა თქმა უნდა, ქალის სარტყელი ბევრად ნაკლები ელემენტისგან შედგებოდა, რაც ამ შემთხვევაშიც დასტურდება. №21 სამარხის გონივრულად შევსებულ ერთი აბზინდა აღმოაჩნდა. მსგავსივე აბზინდა გამოუყენებიათ ფესხამოსისათვის.

27 მაგალითად, „ძველი ერისთავთა“ მიხედვით შუა საუკუნეებში სარტყელი ერისთავის ინსიგნიათა შორის ერთ-ერთი უმთავრესია. ძველი ერისთავთა, „ქრონიკები“, ტ. II, გვ. 4.

28 В.Б.Ковалевская. О некоторых..., с. 428.

29 Археология СССР, с. 87-88; С.А.Плетнева. От кочевий..., с. 164.

30 ნ. აფხაზავა, ადრეული შუასაუკუნეების... გვ. 93.

31 С.А.Плетнева, დასახ. ნაშრ., გვ. 161; В.И.Распопова. Поясной набор Согда VII-VIII вв. - СА, № 4, 1965, с. 78; В.Б.Ковалевская. დასახ. ნაშრ., "И китайцы восприняли именно этот знаковый характер пояса ( იგულისხმება ჰუნების ქამრები -ბ.ა.), введя их у себя и строго следя за тем, чтобы количество поясных украшений отражали военную или административную иерархию", с. 426.

32 ღ. მუსხელიშვილი, ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის — „მაცნე“, 1980, №2, გვ. 160.

33 როგორც ცნობილია, ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალაზე დაკვირვებისას მკვლევარებმა (გ. ლომთათიძე, რ. რამიშვილი, სიონი, თბ., 1970, გვ. 134) შეამჩნიეს და ხაზი გაუსვეს ერთ საინტერესო ფაქტს. კერძოდ იმას, რომ ამ ხანის (IV-VIII სს.) სამარხები ქრისტიანული საკულტო ნაგებობისაგან, ეკლესიისაგან შორს არიან განლაგებული და მათი „შერწყმა“ მხოლოდ IX ს-დან შეიმჩნევა (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამის მიზეზის შესახებ ჯერ არა თქმულა რა). ჩვენი აზრით, აქაც „დაბნაშავეა“ თემური ტრადიციის ერთგვარი სიმძლავრე, რაც, ალბათ, ფეოდალიზაციის გაღრმავებასთან ერთად ძლიერ შესუსტდა, ამან კი გამოიწ-

ქვემო ალევის სამაროვნის დღემდე გათხრილი ნაწილი სრულ თანხმობაშია ზემოაღნიშნულ-თან<sup>34</sup>. № 23 სამარხში დაკრძალული ახალგაზრდა მამაკაცი რაღაც რანგის პირია უთუოდ. პირობითად მას „მეოპარი“ თუ „მხედარი“ შეიძლება ვუწოდოთ. ამის მეტყველი დასტურია მხედრული ქამარი. „მეომრობა-მხედრობა“ იყო ახლად შექმნილი და განვითარებადი კლასის ფეოდალთა უმთავრესი ნიშანი. ფეოდალური სისტემა ხომ წარმოშობით სამხედრო ორგანიზაცია იყო<sup>35</sup>. საინტერესოა, რომ სწორედ საქართველოს ამ ნაწილში, ქსნის ხეობაში შექმნილი ერთ-ერთი (თუ ერთადერთი) ერისთავთა, ამ უდიდეს ფეოდალთა, სავაგარეულო ქრონიკის მიხედვით, რომელშიც საქართველოში ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბების ტიპური ვაზა აისახა, როსტომ ბიბილური ცხრაზმისხვევლთა სამხედრო გასაჭირის გამოა მოწვეული (თავის ძმასთან, შეილებთან და 70 კეთილ მონასთან ერთად). იგი „ხეობის სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, წინამძღვარი, უნდა გახდეს“<sup>36</sup>. ასე იწყება საქართველოს ამ უძლიერესი ფეოდალის „კარიერა“. ასევე ხაზს უსვამს ს.ჯანაშია ჯუანშერის ცნობას, რომ „ვახტანგ გორგასალმა, ოსეთის ომის შემდეგ, გასცა ნიჭი (საჩუქარი) ერსა თვისსა და წარჩინებულ ქმნა მხედარნი (ხაზი ჩვენია -ნ.ა.), მსახურნი გამოცდილნი წყობასა მას შინა ოგსთასა“<sup>37</sup>.

ამრიგად, ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ განხილულ № 23 სამარხში დაკრძალული ახალგაზრდა სწორედ ის „მხედარი“ იყო, რომელთა გააზნაურება ხდებოდა ადრეულ შუასაუკუნეთა მანძილზე (და შემდგომაც). ალბათ მასალის დაგროვება და ნარტიულ წყაროთა თუ შესაბამისი ლიტერატურის მოშველიება ამის შესახებ მსჯელობის მეტ უფლებას მოგვცემს. სადღეისოდ ის კია, რომ ჩვენს ხელთ არსებული იკონოგრაფიული მასალაც ჰერალდიკური ქამრების ზემომოყვანილი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ მეტყველებს. როგორც ქვის პლასტიკის ქართული ძეგლები მეტყველებენ, მსგავსი ქამრები (რა თქმა უნდა, შესაბამისი ხარისხისა) ამშვენებდათ იმ დროის ქართლის უმაღლეს ხელისუფლთაც. მხედველობაში გვაქვს ჩვენ მიერ თავის დროზე აღნიშნული მცხეთის ჯვრის ერთ-ერთი ქტიტორი ქობული<sup>38</sup> („სტეფანოზი“ თუ „სტრატილათი“) და კატაულას სტელაზე გამოსახული გრიგოლ ჯმათისი<sup>39</sup>. მსგავსივე ქამრებია გავრცელებული თანადროულ ირანში<sup>40</sup>.

ვია შედარებით დაბალი ფენების მოსახლეობის საფლავთა (იქვეყნიურ განსასვენებელთა) უფრო თამამად „მისვლა“ ეკლესიასთან (თორემ მაღალი ფენებისა და ქრისტიანობის კულტის მსახურთა სამარხები იმთავითვე დაუკავშირდა მას, ეკლესიას). რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება წინასწარულია და სათანადო არგუმენტაციას ითხოვს, რასაც შევეცდებით სხვა ადგილას.

34 აღსანიშნავია, რომ ალევის სამაროვანი ქართლის „ბარული კულტურის“ იდენტურია ბევრ სხვა დეტალშიც. საინტერესოა, რომ ადრე შუასაუკუნეთა ერწო-თიანეთის არქეოლოგიური მასალების შესწავლისას ასეთივე დასკვნამდე მივიდა ბ.ჯორბენაძე: „ზემოთ შესწავლილი სამაროვნები... ექცევა ერთ კულტურულ წრეში, რაც უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი“ (ბ.ჯორბენაძე, დასახ. ნაშრ., გვ.79).

35 Ф.Энгельс, Армия.- Ф.Энгельс. Избранные военные произведения, т. I, 1936.

36 ს.ჯანაშია, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, II, თბ., 1952, გვ.169-170.

37 იქვე, გვ. 230.

38 Т.Н.Чубинашвили. Памятники типа Джвари. Тб., 1948, ტაბ.22, Н.А.Алашавили. Монументальная скульптура Грузии. М., 1977, ტაბ.22, 29.

39 Н.Чубинашвили. Хандиси. Тб., 1975, ტაბ.76.

40 თალიზუსტანის გამოსახულებები მეტყველებს, რომ მომთაბარეთაგან გადმოღებულ ამ სტილის ქამრებს ირანის შაჰანშაჰებიც ატარებდნენ. ისინი უთუოდ ძვირფასი ლითონისაგან იქნებოდა ნაკეთები. გამოსახულებათა მიხედვით კი იმის თქმა შეიძლება, რომ შაჰანშაჰის ბალთები ღიდი ხელოვნებითაა ორნამენტირებული, მის ხელქვეითთა კი სადაა (იხ. Н.В.Льяконова. Сасанидские ткани.- ТГФ, т. X, II., ნახ.3, 1969, ნახ.3 და ნახ.2) და შესაბამისად სხვადასხვა რაოდენობის საკიდი ბალთები ამკობთ მათ. სასანური და ქართული რელიეფების ამ

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რომ სასანუო ირანში, რომლის გარკვეულ კულტურულ და პოლიტიკურ გავლენას განიციდა ადრე შუასაუკუნეთა საქართველო, ვაჟის ზრდა-სრულობის ხანად 15 წელი ითვლებოდა. ამ დროს იღებდა იგი ქაშის ტარების უფლებას<sup>41</sup>. სასანუო-ქართულ ურთიერთობათა მკვლევარი თეო ჩხეიძე, განიხილავს რა ქართული და ირანული აღზრდის სისტემებს, ასკვნის, რომ ისინი ძლიერ მსგავსია, თუმცა დამოუკიდებლად და პარალელურად ვითარდებოდნენ<sup>42</sup>. მათ შორის მსგავსება მართლაც დიდია. მაგალითად, მცირეწლოვან ვახტანგს ზრდის სპასპეტი საურმაგი. 7 წლის ვახტანგს გარდაეცვალა მამა, მეფე მირდატ. დედოფალი საგლუხტი სამეფოს ხან მამის, რანის ერისთავის, ბარზაბოდის დახმარებით განაგებს, ხან კი რანისავე ერისთავის, თავის ძმის-ვარზაბაკურის შემწევობით. ვახტანგს ჯერ უფლება არ აქვს სამეფო სადავებები უშუალოდ აიღოს ხელში. მისი სახელით რეგენტები მოქმედებენ. ქვეყანა დიდ გასაჭირშია, მძლავრობენ ბერძენნი, ოსნნი. ქართლში ცეცხლმსახურება ვრცელდება. ვახტანგმა მხოლოდ 15 წლისა იღო სამეფოს სადავებები; მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა თხუთმეტისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შემოიკრიბნა ყოველნი ქალაქად<sup>43</sup> და სხვ. თხუთმეტი წლის ტარიელი მეფის კარზე თავის ნიჭს ავლენს მხედრობასა და ნადირობაში<sup>44</sup>. საინტერესოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ვიდრე ხუთ წლამდე ვაჟს ეწოდება „ჩრვილი“, „ხუთი წლიდან ათ წლამდე „უსუარი“, ათი წლიდან თხუთმეტამდე „ნინველი“, თხუთმეტი წლიდან ოცამდე კი „ყრმა“ (და ა.შ.)<sup>45</sup> „ყრმა“ ასაკობრივად და სოციალურად მამაკაცის ახალ ფაზაში შესვლის ნიშანია. ვითვალისწინებთ რა ყოველივე ზემოთქმულს, ვფიქრობთ, რომ მცხეთის ჯვარის ერთ-ერთ ქობულს ქობულს არ ექნებოდა შესაბამის ასაკობრივ (და სოციალურ) სიმწიფემდე, ე.ი. 15 წლამდე, ქაშის ტარების უფლება, მით უმეტეს, რომ, როგორც ჩანს, ქაშარი ამავე დროს ხელისუფლების ნიშანიც უნდა ყოფილიყო. ამდენად არ მიგვაჩნია მართებულად პატივცემულ მკვლევარ ა.პოგვერადის აზრი, თითქოს ამ რელიეფზე გამოსახული ქობული პატარა ბავშვი იყოს<sup>46</sup>. სხვათა შორის, აკად. გიორგი ჩუბინაშვილი ბრძანებდა, რომ სამხრეთის დასაღწე გამოსახული ქობული (მის მიხედვით „ქობულ-სტეფანოზი“) ჭაბუკია (რუს. *юноша*)<sup>47</sup>. ამავე აზრის ბრძანდება ნ. ალადაშვილი<sup>48</sup>. მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, საჭიროა ერთი დაზუსტება. გიორგი ჩუბინაშვილი სამხრეთის დასაღწე ქობულსა და აღმოსავლეთ ადარნასე პატროსთან ერთად გამოსახულ ქობულს ერთი ასაკისად მიიჩნევს<sup>49</sup>, ე.ი. ისიც 15 წლისა (ან უფროსია). ჩვენ განსხვავებული აზრი გავგვიჩნდა

დეტალში მსგავსება (ქაშრებში) სრულიად სამართლიანად აღნიშნა ნ. ჩოფიკაშვილმა (იხ. მისი, ქართული კოსტუმი, თბ., 1964, გვ. 109-110, სურ. 66). ჰერალდიკური ქაშრების მოდის გავრცელება უპირატესად სასანური ირანიდან (და არა მხოლოდ ჩრდილო სამყაროდან) უნდა ვივარაუდოთ.

- 41 თ. ჩხეიძე, აღზრდის ინსტიტუტი სასანუო ირანში, თბ., 1979, გვ. 18.
- 42 იქვე, გვ. 58, 59.
- 43 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. - ქართლის ცხოვრება, - I, თბ., 1955, გვ. 144-147.
- 44 თ. ჩხეიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 49. საინტერესოა, რომ 15 წლის არდაშინი მშვენიერი, ცხენოსნობაში დახელოვებული და განსწავლული იყო, ჭადრაკს, ნარდსა და ჩოგანს ყველაზე უკეთ თამაშობდა. პირველი იყო ნადირობაშიც - იხ. არდაშინ ბაბაკის ძის საქმეთა წიგნი, ფალაურიდან თარგმანა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაუთმო თეო ჩხეიძემ, თბ., 1975, გვ. 43-44.
- 45 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1966.
- 46 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თავი IV - ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში, გვ. 274. თავის ავტორია ა. პოგვერადე.
- 47 გიორგი ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, ტფილისი, 1936, გვ. 108, სურ. I, მარჯვნივ; Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 155, სქოლიო 5 "тоже юноша, а не ребенок конечно".
- 48 Н. А. Аладашвили. Монументальная..., გვ. 32.
- 49 პატივცემული მეცნიერი ამასთანავე თვლის, რომ სამხრეთის რელიეფი (ე.ი. ქობულ-

ეს უკანასკნელი მხოლოდ პირობითად უნდა იყოს გამოსახული რელიევზე; იგი მოლიანა-დაა დაქვემდებარებული ადარნასეს ფიგურას. წარწერაში იგი არც კი მოხსენიება. მისი ცინაობის აღსანიშნავად დამატებითი წარწერა გაუკეთებიათ, სადაც აღნიშნული ყოფილა, რომ იგი ადარნასეს ძეა. ქობული აქ საერთოდ რომ აღუნიშნავთ, ეს მიგვი-თითებს, რომ იგი საპატიო პიროვნებაა (აღბათ მეგვიდრე, „პრინცი“), მაგრამ არამც და არამც რანგობრივად და ასაკობრივად მომწიფებული. სხვა რომ არა იყოს რა, ქობულის ორგზის გამოსახვა ერსა და იმავე ასაკსა და რანგში თითქოს უცნაუ-რიც იქნებოდა.

სამხრეთის ფასაღზე, ეკლესიის მთავარი კარის თავზე, გამოსახულ ქობულს სა-ზეიმო ძვირფასი ტანსაცმელი აცვია და ამ დროის დიდი ხელისუფლის ნიშანი, ინსიგ-ნია-ქამარი (ოთხსაკიდიანი), უმშვენებს წელს<sup>50</sup>. ქობულის მსგავსი ტანსაცმელი ამკობდათ მისი და მომდევნო ხანის ქართლის მაღალი წრის წარმომადგენლებს<sup>51</sup>. რო-გორც ჩანს, ამ რელიევით აისახა ქობულის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტი. ჩვენი ვარაუდით, აქ გამოსახული ქობული ახლად ნაკურთხია „მხედრად“ და შესაძლოა ამავე დროს მიიღო ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული სტრატოლატისა (ან სტრატრიგი).<sup>52</sup> ეს აღბათ მოხდა 604 წლამდე, სანამ ქართლი ბიზანტიის გავლენის

ლი და მოუკიდებლად გამოსახული) მეორეხარისხოვანია (იხ. Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 144). რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის რელიევებს შესაძლოა უპირატესი ადგილი უტავიათ, მათ შორის კი სტეფანოზ პატრიკოსისას, რადგან იგი წარმომადგენს იდეურ და კომპოზიციურ ცენტრს (Н. А. Аладашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 30). მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქობული არანაკლებ სა-პატიო ადგილასაა გამოსახული— მთავარი, სამხრეთის შესასვლელის თავზე (და ჯვრის ამბლებების ზემოთ). არცერთი დეტალი არ გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ იგი ნაკლებ საზეიმოდ, ან დაქვემდებარებულადაა გამოსახული აღმოსავლეთის რელიევების მიმართ. თუ მაინც შეიმჩნევა მხატვრულ-სტილისტური სხვაობა (აგრეთვე სხვაობა ისეთ რეალებში, როგორიცაა ტანისამოსი და სხვა), ეს გამო-წვეული უნდა იყოს მათ შორის ვარკვეული ქრონოლოგიური სხვაობით. ქობულის რელიევი ცოტა გვიანდელი უნდა იყოს, ვიდრე აღმოსავლეთის ფასაღის რელიევები. ამაზე უნდა მიუთითებდეს ის, რომ ჯვრის პოსტამენტის წარწერაში მოხსენიებულ-ლი არიან მხოლოდ აღმოსავლეთის ფასაღზე გამოსახული სტეფანოზ პატრიკოსი, დემეტრე და ადარნასე უპატოსები. მასში ქობულის ხსენება არაა (იხ. Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 82-83).

50 ქამრები არა აქვთ სტეფანოსს პატრიკოსსა და დემეტრე უპატოსს (და აღბათ ადარნესასაც). ეს აღბათ მიგვითითებს, რომ მათ დროს საკიდებიანი ქამრების ტარება ჯერ კიდევ არაა შემოსული „მოდაში“. მათი ხელისუფლების ინსიგნია ძვი-რფასი მოსხმული „კანდუსია“. რელიევის შემქმნელი ოსტატი არ დაივიწყებდა მა-თი ინსიგნიის არცერთ დეტალს და ქამარს, იგი რომ ყოფილიყო ამ დროს ინსიგნია; აუცილებლად გამოსახავდა. აღნიშნავია, რომ აშოტ კუხს მსგავსი მოსახსამი, სამოსი ამშვენებს ტბეთის რელიევზე; მაგრამ ოსტატს არც ქამრის გამოსახვა დაივიწყებია და საგანგებოდ გამოუსახავს მისი ყველა დეტალი (იხ. ნ. ჩოკაშვილი, ქართული კოსტუმი, თბ., 1964, გვ. II-16).

51 ნ. ჩოკაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 18-19.

52 ქობულის წარწერის დაქარაგმებულ L27-ს მკვლევართა ნაწილი ქობულის მეორე სახელად „სტეფანოზად“ ხსენის, ნაწილი კი ბიზანტიურ ტიტულად— სტრატოლატი, სტრატორი, სტრატოლატი, სტრატეგი—იხ. დაპიდარული წარწერები, I, გვ. 165. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ბიზანტიურ ტიტულს. ქობულის „წყვილადი“ სახელის მეორე ნაწილი არაა დაფიქსირებული აღმოსავლეთის რელიევის ძლიერ დაზიანებულ წარწერაში. აქ შემორჩენილი ყოფილა რამდენიმე გრაფემის კვალი. გ. ჩუბინაშვი-ლის მიხედვით, „ქობულ-სტეფანოზში“ სახელის პირველი ნაწილი თუ პირველი სა-ხელი „ქობული“ წარმართულია, ხოლო „სტეფანოზი“ ქრისტიანული. ჩვენი აზრით, სახელი ქობული წარმართულიც რომ იყოს, არ უნდა ყოფილიყო მიუღებელი ქრისტიან-

სფეროდ ითვლებოდა<sup>53</sup>. მართლაც, ეს თარიღი ემთხვევა ჯვარის მშენებლობის დასრულების  
როგორც ნ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, ჯვარის რელიეფები შექმნილია VI ს-ის  
ბოლო ათწლეულში<sup>54</sup>. მართლაც მშენებლობის დაწყების მახლობელ ხანაში უნდა იყოს გა-  
კეთებული აღმოსავლეთის ფასადის რელიეფები. აქ გამოსახულ ხელისუფალთ ქაშრები არ  
ამკობთ. „ჰერალდიკური“ ტიპის (= გვიანსასანური ქაშრები) ჯერ არაა „მოდაში“ შემო-  
სული. მამასთან ერთად გამოსახული ქობული ჯერ ისევე ბავშვია („ნინველი“? სპას-  
მიხედვით). VII ს-ის დასაწყისში (იქნებ უკვე VI ს-ის ბოლოს) 604 წლამდე იქმნე-  
ბა ქობულის გამოსახულება სამხრეთის ფასადზე. ამით აღბათ აღინიშნა მისი 15 წლის-  
თავი („მხედრის“ ხარისხში კურთხევა) და თან ბიზანტიური ტიტულის მიღება. მისთვის  
ამის აღსანიშნავად ოთხსაკიდიანი ძვირფასი ქამარი შემოურტყამთ წელზე. როგორც  
ჩანს, კურთხევის ეს წესი შემდგომში კარგა ხნით დამკვიდრებულა ქართლის საზოგადოე-  
ბაში.

ასე რომ, VII ს-ის დასაწყისისათვის „ჰერალდიკური“ ტიპის ქაშრები ქართლში  
გავრცელებულა და იგი ხელისუფლების ნიშნადაც ქცეულა. მას ატარებდნენ როგორც უმაღ-  
ლესი წრების წარმომადგენლები ქობულ სტრატეგები(?)<sup>55</sup>, გრიგოლ ჯუპატოსი, ისე უფრო  
დაბალი ფენების, მაგრამ გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობის პირებიც. ჩვენს  
განხილულ შემთხვევაში ქვ. ალექსის №23 სამარხში დაკრძალული მამაკაცი უნდა ეკუთვნე-  
ნოდეს იმ „მხედართა“ ფენას, რომელიც შემდგომში გაახუნაურებისათვის იღწვოდა<sup>55</sup>.

-----  
ნობისათვის. იგი მთელი შუა საუკუნეების პანძილზე გვხვდება. შავ., ქობულ ხე-  
ლისუფალი (X ს.) და დ. ხაჩინიდან, ამავე დროის ქობულ აბაზას ძე ტბეთილიან და  
სხვ. ლამიადარული წარწერები, გვ. 141, 160, 183-184. საერთოდ, არც ასეთი წყვილსახე-  
ლიანობა უნდა იყოს მაინცადა მაინც დამახასიათებელი ქართველ ხელისუფალთათვის. რო-  
გორც ირკვევა, ატენის სიონის „ნერსე-სტეფანოზი“ სხვადასხვა პირობა სახელები უნდა  
იყოს - იხ. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში,  
თბ., 1977, გვ. 57-58.

53 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 274-275.  
54 Н. Чубинашвили. Хандиси, ტაბ. 29.  
55 ქვემო ალექსის სამარხის მასალა გეიჩვენებს, რომ ალექსის ხევი მკვიდრად უა-  
ჩაბმული საერთო-ქართულ საზოგადოებრივ პროცესებში და აქ იგივე მოვლენები  
მიმდინარეობდა (შესაძლოა ოდნავ დაგვიანებით), რაც ქართლის შარში.

Н.Апхазова

Погребение "война" из с.Квемо Алеви

Резюме

В статье публикуется материал погребального комплекса № 23, обнаруженного при раскопках вновь открытого раннесредневекового могильника с.Квемо Алеви Ленингорского района.

Погребение является типичным для средневековой Грузии, каменным ящиком с орнаментацией на O-W. После раскрытия в нем обнаружено парное захоронение молодого мужчины и ребенка. Поза погребенных христианская, они вытянуты на спине, головой на запад. Но надо отметить, что имеются и "рецидивы" языческого культа. Так, например, покойник мужчина в руках держал серебряную сасанидскую монету Пероза (459-484 гг.) - "обол Харона" - (рис. I-I7). Этот факт, безусловно, является пережитком античности и "язычества". О соблюдении "языческого" (нехристианского) ритуала свидетельствует также мужской пояс т.н. геральдического типа (рис. I-I-I4, II), который был заброшен в растегнутом виде в северо-восточной части погребения. В данном случае мы имеем дело с обрядом "обезвреживания" мертвеца.

Кроме них, в каменном ящике № 23 были найдены шарнирные фибулы: одна с завитком (рис. I-I5), а другая с плоским приемником типа "воинских" (рис. I-I6), железный перстень с круглым щитком (рис. I-I8), стеклянные бусы, среди них 23 округлые, более крупные, разного цвета и 24 мелких с золотой прокладкой. Все эти вещи имеют много аналогий по всей Грузии, в частности на Самтаврском могильнике, в Армазисхеви, Рустави, Урбиси, Эрцо-Тианети, Квемо-Картли и др.

Особый интерес вызывает вышеотмеченный полный гарнитур пояса т.н. геральдического типа (рис. II), который указывает и на довольно точную дату погребения (I половину VII в.), и на то, что погребенный в каменном ящике мужчина был воин (дружинник), занимавший более высокое общественное положение, чем другие персоны из соседних погребений. С учетом и других материалов (в частности раннесредневековые грузинские рельефы и письменные источники), по нашему мнению, захороненный в № 23 погребении является представителем того сословия, из которого высокие слои феодального общества периодически получали "новое пополнение".

Конкретный археологический материал подтверждает наше соображение, что во всем раннесредневековом Картлийском царстве происходил единый общественно-культурный процесс, в котором предгорные (где расположен Квемо Алевиский могильник) и горные его регионы принимали весьма активное участие.

მ.სინაურიძე

დავით საგარეჯოს ეკლესია მაშავერის ხეობაში

(ტაბ. VII)

ქ.მადნეულიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ.კიანეთსა და მუშევანს შორის, მდ. მაშავერის მარჯვენა ნაპირას, ტყიან ფერდობზე მდებარეობს დავით საგარეჯოს ეკლესია. ეს ეკლესია და მის მახლობლად მდებარე ეკვდერი გაშენებულია შთის თხემის კლდოვან ბორცვზე, რომელიც გადაჰყურებს მაშავერის ხეობას. აქედან შესანიშნავი ხედი იშლება, ერთი მხრივ, თბილის-დმანისის გზატკეცილის და, მეორე მხრივ, ფოლადაურის ხეობისაკენ.

პირველი ცნობა დავით საგარეჯოს ეკლესიის შესახებ მოიპოვება ალ.ორბელიანის ხელნაწერში. ექვთიმე თაყაიშვილი სოფ.გორისთავისა და მის მახლობლად მდებარე ეკლესიის შესახებ იმოწმებს ალ.ორბელიანის ჩანაწერებს: „სომხითში, მაშავერის პირზე, ნასოფლარს ლორისთავს, მაღლა მთაში ეკლესია არის წმ.დავით გარეჯის სახელზე აშენებული, მის კარიბჭეზე ასე სწერია:

„ჩვენ დიდმა ორბელიანის ძემან მღვივანბეგმან ერასტი და თანა მემცხედრემან ჩემა ბატონ(ნ)იშვილმა ანახანუმი ეს მონასტერი წმიდის დავითის ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილ იქმნა და აწ ჩვენ მეორეთ აღვაშენეთ და შევამკეთ ცოდებათა ჩვენთა შესანდობლად და საქმეთა ჩვეთა წარსამართებლად. ვინცა იხილევდეთ ნაშრომსა ამას, შენდობას გვიბრძანებდეთ.სრულ იქმნა ქვსა ტუზ.მეფობასა გიორგისასა თვესა აგვისტოსა.“ ქრონიკონი უდრის 1709 წელს.<sup>1</sup>

ლ.მუსხელიშვილი თავის წიგნში „არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერის ხეობაში“ მოკლედ აღწერს დავით საგარეჯოს ეკლესიას და სქოლიოში დასძენს: „მე დავით საგარეჯო გავლით სარქარით ვინახულე, ისე რომ ფოტოსურათების გადაღებაც ვერ მოხერხდა. საჭიროა ამ ტაძრის გაზომვაც, მით უმეტეს, რომ იგი საცაბ სულ ერთიანად დაინგრევა.. ნანგრევი, ხროვად მდებარე ქვის გაჩხრეკამ შეიძლება წარწერაც აღმოაჩინოს.“<sup>2</sup>


ამ წარწერას მე მივაკვლიე დავით საგარეჯოს ტაძრის ნანგრევებში 1969 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის დაზღვევითი სამუშაოების ჩატარების დროს. იგი ამოკვეთილი იყო სამხრეთი კარის ტიმპანის ქვაზე მხედრული ხელით. ეს ქვა ვ.ჯაფარიძის ინიციატივით ჩამოტანილ იქნა თბილისში და ამჟამად დაცულია საქ.სახ.მუზეუმის ქვის ფონდში (№770). წარწერის ფრაგმენტები (როგორც უცნობი) 1971 წ. გამოაქვეყნა ვ.ჯაფარიძემ<sup>3</sup>, თუმცა წარწერა სრული სახით წაკითხული და გამოქვეყნებული იყო ექვ.თაყაიშვილის ნაშრომში<sup>4</sup>.

დავით საგარეჯოს ეკლესია სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა. ლ.მუსხელიშვილის აზრით, „შთავარი ტაძარი XIII-XIV სს. შენობის შთაბეჭდილებას ახდენს“. მაგრამ მას ეს ტაძარი სარქარით უნახავს და, როგორც მისი სიტყვებიდანაც ჩანს, თარიღი სავარაუდოდ მიუჩნევია.<sup>5</sup>

1 ე.თაყაიშვილი, სომხთ-საორბელის ძეგლების წარწერები, II, თსუ შრომები, 43, თბ., 1951, გვ. 165.  
2 ლ.მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერის ხეობაში, თბ., 1941, გვ.34.  
3 ვ.ჯაფარიძე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის მოკლედ ანგარიში, საქართველოს სახ.მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., 1971, გვ.85.  
4 ე.თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ.  
5 ლ.მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.

ვიდრე ეკლესიის თარიღის საკითხს განვიხილავთ, აღვწერთ ძეგლი.

ეკლესია ნახევრად დანგრეულია, საკურთხეველი და ჩრდილო კედელი შემორჩენილია მთლიანად, ხოლო სამხრეთი და დასავლეთი კედლები — მხოლოდ ნაწილობრივ. კონქი გარღვეულია, კამარა ჩამოქცეული. ინტერიერში ყრია დანგრეული კედლების, ჩამოქცეული კამარისა და თაღების ქვები. ნანგრევები ქვით არის აგრეთვე მოყვნილი ეკლესიის სამხრეთი და დასავლეთი ფასადები.



სურ. I


ეკლესია სასიამოვნო პროპორციებისაა, მაღალი ფორტონით. იგი გადახურულია ორფერდა სახურავით, რომელიც დაბურულია ქვის ლორწონით. ნაგებობა დგას მაღალ ცოკოლზე. მას ბუტით შევსებული საკმაოდ სქელი კედლები აქვს, რომლებიც გარედან მთლიანად მოყვითალო ნათელი ქვითაა მოპირკეთებული. ფასადების ქვედა ნაწილი თანამედ ნაგებია დიდი ოთხკუთხა ნათალი ქვით, ზომით 90X80 სმ, 90X70 სმ, ზემოთ ქვა თანდათან პატარავდება (ტაბ. VII, I).

ეკლესიის შიგნით თაღები და პილასტრები კარგად ნათალი ქვით არის ნაგები. ნათალი ქვითვე არის მოპირკეთებული სარკმელი და თაღები, რომელთა ზედა შეისრული ნაწილი თითო დიდ ოთხკუთხა ქვაშია ამოჭრილი. კონქი ნაგებია პატარ-პატარა ნათალი ქვით კირხსნარზე. თუმცა იგი არცთუ ისე ლამაზია, ტაძარი შიგნიდან შეღესილი არ უნდა ყოფილიყო, რადგან სარკმლისა და თაღის შეისრული ქვები გამიზნულია კედელზე დეკორატიული აქცენტის შესაქმნელად, რასაც შეღესილობის შემოხვევაში აზრი არ ექნებოდა.

ტაძრის გეგმა წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხედს. სამხრეთ კედელში გაჭრილია ფართო კარი (რომლის ტიმპანის წარწერიანი ქვა აღმოჩნდა კარის წინ). კონქში ერთი დიდი სარკმელი და ორი ნიშაა, ერთი შეისრული, მეორე ოთხკუთხა (ზემოთ ქვების წყობაში ჩაყოლებულია თიხის ჭურჭელი ხმის გასაძლიერებლად). თითო მოზრდილი სარკმელი გაჭრილია აგრეთვე სამხრეთ და დასავლეთ კედლებშიც (სამხრეთი კედლის ნანგრევში შეიმჩნევა მისი კვალი) (ტაბ. VII, 2). კონქის კედელთან მიდგმული ყოფილა ქვის პროფილირებული საკურთხეველი, რომელიც ახლა აქვე ახლოს გვია.

6 ტაძარი აზომა და ნახაზები შეასრულა ვ. ლექვინიძემ.

კამარა დანაწილებულია სამი თალით, რომლებიც ეყრდნობიან წყვილ პილასტრებს კაპიტელებით. პილასტრების წყვილები თავისივე კაპიტელებით ერთნაირია, სხვა წყვილებისაგან განსხვავებული; სატრიუმფო თალის პილასტრები სადაა, მათ დაბალი წაკვეთილი პირამიდისებური კაპიტელი აქვთ. პილასტრს, რომელსაც სართავი თალი ეყრდნობა, კაპიტელი არა აქვს, მაგრამ იქ სადაც კაპიტელი უნდა იყოს, ოთხკუთხა ბრტყელი ფილით დამთავრებული და ფესტონებით პროფილირებული პილასტრის ბოლო სვეტის დანარჩენი ნაწილისაგან გამოყოფილია (ტაბ. VII, 3) გვერდების კუთხეების ჩამოჭრის საშუალებით. ამ გზით შექმნილი ცრუ კაპიტელი ნამდვილი კაპიტელის სრულ შთაბეჭდილებას ახდენს. პილასტრების მესამე წყვილი, რომელიც დასავლეთ კედელს ებჯინება, სადაა. მას მარტივ ამობურცულბალიშიანი კაპიტელი ადგას.




სურ. 2

ეკლესია, როგორც აღვნიშნეთ, დგას მთის თხემზე. ჩრდილოეთით იგი ფლატეს გადაწყურებს, დასავლეთით ნაწილობრივ კლდეს ებჯინება და მხოლოდ სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან აქვს მისადგომი. ამიტომ ბუნებრივია, რომ სწორედ ეს ფასადები არის შემკული, ხოლო სხვებს ყურადღება არ ეთმობა. ამრიგად, ჩრდილო ფასადი სადაა. არც დასავლეთი კედლის ნანგრევებში ჩანს ორნამენტური ქვები. აღმოსავლეთის ფასადი მდიდრულად არის მორთული (ტაბ. VII, I) ფასადის კუთხეები პროფილირებულია კონუსების, ბალიშებისა და ლილვებისაგან შედგენილი ჭრილით. ფასადის ცენტრში ფრონტონის ლერძზე მოთავსებულ სარკმელს შემოუყვება სამმაგი შეისრული ლილვი. ასეთნაირად მოჩარჩობულ სარკმლის თავზე

დგას ერთმანეთისაკენ პირმოქცეული ორი ფარშევარგის მომალო, ბრტყელი რელიეფი. ამავ ცენტრალურ ღერძზე სარკმელსა და ფრონტონს შუა ფესტონებით მოჩარჩოებულ მოგრძო ოთხკუთხე ქვაზე დაბალი რელიეფით ამოკვეთილია ქტიტორების ფიგურები, რომელთაგან ერთს გონიო უჭირავს ხელში, მეორეს-წერაქვი. უშუალოდ კეხის ქვემოთ ჩასმულია მოჩარჩოებული ოთხკუთხე ქვა, რომელზედაც ორმაგი წნულისაგან შედგენილი ბოლოებგაშლილი ჯვარია გამოსახული. ფრონტონის ქვემოთ სიმეტრიულად განლაგებულია ორი ოთხკუთხე ქვა წრეში მოქცეული ტომცლავა ჯვრის გამოსახულებით (სურ. I).

ამემაბად ეკლესიის სამხრეთი ფასადი თითქმის მთლიანად დანგრეულია. 1969 წ., როდესაც ჩვენ პირველად ვინახულეთ ეკლესია, ეს კედელი მხოლოდ ნაწილობრივ იყო ჩაქცეული, ქვები ერთიორგან იყო ამოვარდნილი ბუდეებიდან, ფასადის შემორჩენილ ნაწილზე არსად არ ჩანდა ჩუქურთმა. ნანგრევებში ჩვენ მივაგენით მხოლოდ კარის ტიმპანის ქვას, რომელზედაც მსუბუქად ამოკაწრულ შეისრულ ჩარჩოში იყო მხედრულით შესრულებული წარწერა. შემდეგში აღმოჩნდა აგრეთვე მეორე ქვა - კარის ამჟოლი ჩუქურთმა, შედგენილი ორმაგი წნულისაგან (სურ. 2). ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამხრეთი კედელი ძირითადად სადა იყო და მხოლოდ წარწერითა და ამჟოლი ჩუქურთმით შემკული კარი და შესაძლოა ორნამენტური სარკმელებით იქმნებოდა დეკორატიული აქცენტი.

ეკლესიის დასავლეთით მდებარე ეკვდერი დღეს ნახევრად დანგრეულია. იგი წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხე ნაგებობას, სამხრეთიდან საკმაოდ ფართო შესასვლელით და დასავლეთ კედელში გამოჭრილი ოთხკუთხე თარიით. ნაგებობა დახურული ყოფილა კამარით, რომელიც მთლიანად ჩამოქცეულია.



სურ. 3

ეკვდერში აღმოჩენილია ორი წარწერიანი საფლავის ქვა უნახავს. მათი წარწერე გამოქვეყნებული აქვს ექვ.თაყაიშვილს. ირკვევა, რომ აქ დამარხული იყვნენ ორბელი, თა გვარის წევრები. ერთ წარწერას ახლავს თარიღი -1729 წელი. წარწერების შინაარ-

სის მიხედვით, აღ.ორბელიანი ვარაუდობს, რომ აქ დასაფლავებული ყოფილა და=ძმა ბიძე ერთდროულად გარდაცვლილა.

ეკლესიის გარეთ, ბალახებში, აღ.ორბელიანს უპოვია შუაზე გატეხილი საფლავის ქვა, რომელზედაც ასე ეწერა:

„ქ. მე ტომად ორბელიანის ძემან ვახტანგისმან ერასტიმ ვიმდებარე საფლავსა ამა ქს აქეთ ჩლა (1731) ოქტომბერსა კა (21)“<sup>7</sup>.

ამრიგად, ეკლესიის და მის გარშემო აღმოჩენილი წარწერები XVIII ს. პირველ მესამედს განეკუთვნება.

დავით საგარეუოს ეკლესია გეგმარების, შინაგანი სივრცის დანაწევრების, ფასადების და ინტერიერის გაფორმების და სხვ. მიხედვით უშუალო პარალელურს პოულობს XVII ს. დასასრულისა და XVIII ს. დასაწყისის ქვემო ქართლის ძეგლებში. ეს ძეგლები კარგად თარიღდება მათ წარწერებში მოხსენიებული ქრონიკონის ან ისტორიული პირების მიხედვით (ასეთებია, მაგ., სამტრედიოს ეკლესია კაზრეთულას ხევში - 1697 წ., ტანძიაში-ორბელიანთა ეკლესიები, მათ შორის ვახტანგ ორბელის მიერ 1683 წ. აგებული ეკლესია, ფახრალის ეკლესია და სხვ.). ჩვენი აზრით, დავით საგარეუოს ეკლესიის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი საშუალებას მოგვცემს გავაერთიანოთ იგი ძეგლთა ამ ჯგუფში.

რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაეწიოს წარწერას, რომელშიაც ერასტი მდივანბეგი თავის თავს მონასტრის მეორედ აღმშენებელს უწოდებს. მაშასადამე, არსებული უფრო ადრეული ძეგლი. ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა ეკლესიის გარშემო გათხრების ჩატარება და ძეგლის ყოველმხრივი შესწავლა. ზედაპირულად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით შესაძლოა უნდა იყოს აქ ცხოვრების კვალი შვიმჩენვა. შესაძლებელია, ტრადიციამ, რომლის მიხედვითაც დავით გარეუელს მაშვერის გამოქვაბულებში უცხოვრია, ეს კლდეანი ადგილიც მის სახელს დაუკავშირა.

М.И. Синауридзе

Церковь Давид-Сагареджо Машеверского ущелья

Резюме  
(Табл. VII)

Церковь Давид-Сагареджо расположена недалеко от г. Мадне-ули (Казрети) на правом берегу р. Машавера. Она представляет собой зальную церковь перекрытую сводом. Предварительная датировка церкви XIII-XIV вв. дана Л. Мухелишвили.

Хранящаяся в Гос. музее Грузии надпись этой церкви, впервые расшифрованная Ал. Орбелиани и опубликованная Е. Такишвили, указывает на перестройку церкви в 1709 году. На эту же дату указывает и художественно-стилистический анализ церкви.

Обнаружить следы более раннего сооружения пока не удалось. Возможно, традиция, согласно которой Давид Гареджийский жил во многих пещерах Машеверского ущелья, связала и эту скалистую местность с его именем, тем самым приписав ему первоначальное строительство.

7. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., იქვე.  
8. იქვე, გვ. 166; მ. სინაურიძე, კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1985, გვ. 56.  
9. ექვ. თაყაიშვილი, სომხთა-საორბელთა ძეგლების წარწერები, I, 1929. პარიზი. გვ. 94. ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1953, გვ. 12.

გ. კიკნაძე

მუზეუმის ლიონის ჭურჭლის ახალი კოლექციები  
(ტაბ. VIII, IX)

1982 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებაში შემოვიდა ლიონის ჭურჭლის ორი საინტერესო კოლექცია.

„რუსისის განძი“ - მოიპოვა შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.გაგოშიძე და სამუზეუმო ფასეულობათა დაცვა-აღრიცხვის განყოფილების თანამშრომელი კ.გოგიჩაიშვილი). ნივთები ჩაიბარეს რუსისის ეკლესიის მცველის ნ.ჯანაშიელისაგან. ნივთები ეკლესიაში მოუტანია უცნობს და კარებთან დაუწყვიტა.

განძი შედგება საეკლესიო ნივთებისაგან: I. საზიარებელი ჭურჭელი; სადაა, გამოჭედილია საკმაოდ სქელი ვერცხლის ფირფიტისაგან, მრგვალი ფორმის უძირო პატარა თასია, სასამელი ტურით და ფოთლისებრი ყურით (პირის  $d - 3, h - 2,5$  სმ). თასს გარედან და ყურზე ექვსსტრიქონიანი წარწერა აქვს. წარწერა ყურზე:

ქ.გაკადრე. მცირე ესე. მ  
წვლილი. რუსისის ლთაები  
ს.ეკლესიისა მკვევალმან შენმან.დ  
ავით აბაშიძის ასულმან და ერი  
სთვის ძის, მირმანოზის, მ  
ეულღემან თამარ.

წარწერის ქვეშ დამღებია:



შუა, გვირგვინიან დამღაში მითითებულია თარიღი -1806 წ. თასის გარე პირზე გადასული წარწერა კი აგრძელებს: „საოხად სულისა და ხასოდ ცხოვრებისა ჩინისა“.

ამრიგად, საზიარებელი „ჩაყვას“ მსგავსი ტარიანი ჭურჭელი დავით აბაშიძის I ასულს თამარს, რომელიც მირმანოზ ერისთავის მეუღლე ყოფილა, 1806 წლის მახლობელ ხანაში შეუწირავს რუსისის ეკლესიისათვის (წარწერაში მოხსენიებულ პირთა ატრიბუცია, დამღების განსაზღვრა მოცემული იქნება მასალის სათანადოდ დამუშავების შემდეგ. ამჟერად ვკმაყოფილდებით მოკლე ინფორმაციით).

2. შანდალი. შედგება სამი ნაწილისაგან: ფეხი, ბურჯობებიანი ღერო და სასანთლე. სიმაღლე - 30 სმ. მისი ნაწილები წარმოშობით სხვადასხვა უნდა იყოს. ფეხი, თავის დროზე, ბარძიმისა იყო, რაც მასზე მოთავსებული ვრცელი წარწერითაც დასტურდება. იგი ვერცხლისაგანაა ნაჭედი, ხოლო ღერო და შანდლის ზედა ნაწილი გვიან ქარხნული წესითაა დამზადებული ერთმანეთში ჩასახრახნი დეტალებით (რაც შეეხება ბარძიმის ზედა ნაწილს, იგი განძში ცალკე ჭურჭლის სახითაა წარმოდგენილი. იხ. ქვემოთ).

შანდლის (აღრე ბარძიმის) ძირს ლამაზი კალიგრაფიით შესრულებული წარწერა ავშენებს ერთ ლთაებში საგალობელი და სამგვამოვნებასა შინა თაყვანის ცემულ

I აქ ნახსენები დავით აბაშიძე შესაძლოა ბორჩალოსა და შილიხოს მოურავი ქემიკ-ჩიბაში, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგის მოხელეა-იხ. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 263.

დ თავბაო რომელსა გნებავს ყოველთა ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისას მოვლა, მე კსნილმან შენ მიერ კახთ მდივნის გორჯასპის ასულმან და ციციშვილის ქალანთარ ყოფილის და ყოველისა საქართველოჲსა მეფისა ირაკლი მეორისა ნაზირის დიმიტრის მეუღლე ყოფილმან აწ მონაზონმან უღირსმან დომნამ შემოგვწირე ქვერისა მწველიებრი ესე ბარძიმი ვერცხლისა რუისის დ თავბისა შენისა ტაძარსა, შეიწირე და ნაცვალ მაგე წყალობა შენი თანა მეუღლეთ ჩემითურთ: ივნისს: კთ წელსა ჩღჲ მისხალ რ“.

წარწერა, რომელიც 1780 წელსაა შესრულებული, მრავალ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. მასში მოხსენიებულია ისტორიულ პირთა სახელები, საფოხლეო ტერმინები (კახთ მდივანი გორჯასპი, ირაკლი მეორის ნაზირი დიმიტრი, ქალანთარი და სხვ.).

3. ბარძიმის ზედა ნაწილი, უძირო თასი (სასმისი) სადა ვერცხლისა, შიგნიდან მოოქრული, გარეპირზე დაყვება მოოქრული ზოლი. ძირზე შერჩენილია სადაგამის მირჩილის ადგილი. სიმაღლე — 8 სმ. იგი, როგორც აღვნიშნეთ, ზემოთ განხილული (№2) შანდლის (თავდაპირველად ბარძიმის) ფეხზე უნდა ყოფილიყო დამაგრებული.

4. ფეშხუმი ვერცხლისა, ბრტყელი თეფში ფართო განიერ ფეხზე დგას (ფეხი შემდეგ აქვს მიმაგრებული). ფეხის ლულაში მოჩანს ქართული დამა. პირის დმ -16, ძირის დმ -7, სიმაღლე -4 სმ. თეფშს გარე პირზე დაყვება წარწერა:

„ქ.შემოგწირე რუისის ღაებას. მე. ნუშიგის. ქალბა მახიამ. ფეშხუმი. თავის კართ სულისა ჩემისა სახსრათ მისხალი მთ. ქორნიკონსა უობ.“

წარწერის შემდეგ ნიშანია ამოკაწრული. ქორნიკონსა უობ უღრის 1784 წელს, ე.ი. შემწირველი ვინმე ნუშიგის ქალი მახიაა. წარწერაში საინტერესოა ანთროპომეტრიები.

5. ვერცხლის „სათულუნე“ ბრტყელი, სახურავიანი ყუთი. ზომა 8,5 X 6,5. სახურავზე სვედადით გამოსახულია ცხენოსანი ჰუსარი, მეორე მხარეს კი დროშა და თოფიარალი (ალბათ არმიის ემბლემა). წიბოზე დაუყვება ქართული წარწერა: „შეგწირე ღაების ეკლესიას ხითრანთ ზაქრიას მეუღლე ნატალიამ“. შიდა მხრიდან დამა აქვს.

ზემოაღწერილი ნივთები შეადგენს რუისის განძის საინტერესო ნაწილს. დანარჩენებს ამჟერად ძლიერ ზოგადად შევცხებით.

6. ბარძიმი ღიღი ზომის, ვერცხლისა. მოოქრული. ზედა და ქვედა ნაწილში იაფფასიანი „თვლებით“ მედალიონებია გაკეთებული. სიმაღლე—34, პირის დმ —14,7 სმ. ბარძიმი რუსული წარწერები აქვს. იგი საერთოდ რუსული „შირპოტრების“ ტიპის ნივთია.

7. უფხუმი ფეშხუმი (თეფშები), 2 ცალი. რუსული წარწერებით, გრავირებული. პირის დმ - 16,5 სმ. ერთერთზე ჯვარცმბა გამოსახული. ნივთები რუსული ხელობისაა.

8. სასანთლე (შანდალი) დაბალი, რკინის, სიმაღლე -7 სმ.

9. შანდლის ძირი ბრინჯაოსი - 14 სმ.

10. შანდლის ნატეხები.

11. რკინის ჯვარი, მონიკვლეებული.

12. დანის ნატეხები.

13. მინის სამირონე ბოთლი ხის ფუნჯით.

14. სპილენძის დამტვრეული ოთხკუთხა კოლოფი.

ასეთია „რუისის განძი“. იგი მთლიანად ეკლესიისათვის შეწირული და ამავდ დანიშნულების ნივთებისაგან შედგება ძირითადად. ზოგიერთ მათგანს ალბათ თავიდან სხვა დანიშნულება ჰქონდა და შემდგომ შეუწირავთ ეკლესიისთვის. მაგ., ჰუსარის გამოსახულებიანი კოლოფი და სხვ.

ვერცხლის ჭურჭლის მეორე კოლექცია სოფ.კორინთიდანაა (ლენინგორის რ-ნი). იგი მუხუეშმა შეიძინა მარგარიტა პეტოვიისაგან 1982 წელს. განძი შედგება ოთხი ჭურჭლისაგან.

1. ომფალსიანი ფასი, ბრტყელძირა, ვერტიკალური პირით. თასი ნაჭედიანი. იგი ძირითადად შემკულია პუნსონით შესრულებული ორნამენტით გარედან. ჭურჭლის ძირი სამი წრი-თაა დაყოფილი. ცენტრში მცირე წრეა, რომლისაგან გამოდის სხივები. მომდევნო სარტყელ-ში რტო-ფოთლოვანი ორნამენტია შესრულებული, გვერდი კი ისევ სხივური ორნამენტითაა შემკობილი. ჭურჭლის პირს მსხვილი პუნსონითვე შესრულებული არზია დაყვება. არმიის ქვემოთ წარწერაა: „ქ.როსტომ ჩერქეზაშვილმა შემწირე სამება ვერცხლის“. თასის პირის დ -11,5, რ -3,5 სმ.

2. თასი ვერცხლისა, ფეხიანი, პირგადაშლილი, მუცელი და ფეხიც გოფირებულია. პირს ზემოდან შემოუყვება ხაზოვანი სახე. ზედხედიდან ჭურჭელი ექვსფორცლა ვარდულას შვავს. გარედან პირს შემოუყვება წარწერა, ამოფხაჭნილი ორი სტრიქონად: „ქ. მე ტარიელმა და ჩემმა ძმებმა და ჩემმა ბიძაშვილებმა ბუნტურობმა შემოვწირეთ წმინდა სამებას ვერცხლის თასი ჩვენის სიცოცხლისათვის და ჩვენის სადღეგრძელოთ და ჩვენის ჯანის გასამრთელებლად“. როგორც წარწერიდან ჩანს, ბუნტურობს (ბუნტუროები!) ალევის სამებისათვის შეუწირავთ ჭურჭელი იგი. ევროპული ტიპისაა. თასს ძირზე აქვს რამდენიმე დამდა, რომელთაგან ზოგი ხელოსნისაა, ზოგიც კი სინჯისა, ერთერთზე ირჩევა თარიღი 1859 წ.

3. სამფეხა სპილენძის ჭურჭელი, სადა ზედაპირიანი. თასს სიმეტრიულად სამი დაბალი ფეხი აქვს. თითოეული ფეხი „ანგელოსის“ (თუ ამურის?) გამოსახვას. ჭურჭლის პირის დმ - 10,5, R - 5 სმ. ჭურჭელი ევროპული ტიპისაა.

4. აზარფეშა ვერცხლისა გრძელი ტარით, კოვზისებრი პირით. ტარის ბოლოს და პირთან მიმაგრების ადგილას სამყურისებრი ორნამენტია. ტარს ზედაპირზე წარწერა აქვს: „ქ. ვარება სოსიკო ზაქარო ჩოჩელი შევწირეთ წმინდას გიორგს სამთა ძმთა აზარფეშა..“ ბოლოში ძნელად გასარკვევია, თითქოს „წელსა“ (?). საინტერესოა, რომ ეს აზარფეშა, განსხვავებით სამი სხვა ჭურჭლისაგან, მ.პეტოევს შეუძენია ლენინგორის რაიონის სოფ. ჭეზვრეთის მცხოვრებ შოთა ჩოჩელისაგან. წარწერაშიც მოხსენიებული სამი ძმანიც ხომ ჩოჩელები არიან.

ალევის სამებას შეწირული ჭურჭელი და წმინდა გიორგის ეკლესიისადმი შეწირული აზარფეშა თავდაპირველად დანიშნულებით ყოველდღიური სახმარი (საერო) ნივთებია. ჭურჭლის და არაპოეტიკულად საეკლესიო იარაღის შეწირვა ეკლესიისათვის, სალოცავი-სათვის, ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, განსაკუთრებით მთაში. საინტერესოა, რომ თუ შევადარებთ ზემოთ აღწერილ კორინთულ და რუისის კოლექციებს, სწორედ ეს განსხვავებაა თვალშისაცემი. რუისის განძის უმეტესი ნაწილი ტიპიური საეკლესიო იარაღია, ხოლო კორინთული - საერო ტიპის ჭურჭელია.

როგორც ვხედავთ, ზემოთ განხილული ორი „განძი“ საინტერესოა როგორც ტიპოლოგიურად, ისე თავისი წარწერებით. ისინი მრავალი საინტერესო ინფორმაციის მომცემია. მათი სრული განხილვა მომავლის საქმეა, აქ კი ვჯერდებით მოკლე ინფორმაციას, რაც, ვფიქრობთ, დაინტერესებულ პირთა ყურადღებას მიიპყრობს.

რ. დოლაბერიძე

მხედრის მცირე ქანდაკებები თუშეთიდან

თუშეთის სოფელ შენაქოში ნიშტაყოს ბორცვზე გამოვლენილი მხედრის ორი ფიგურა წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული ლიწონის მცირე პლასტიკის იშვიათ ნიმუშს. ერთი მათგანი 1964 წ. შემოვიდა ა.ჯანაშიას სახ.საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში<sup>1</sup>, ხოლო მეორე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თუშეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წ. მონაპოვარია.<sup>2</sup> ორივე ფიგურა აღმოჩნდა ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, შუა საუკუნეების მასალების შემცველ 0,50 მ სიმაღლის კულტურულ ფენაში, რომელიც უშუალოდ კორდოვანი ფენის ქვეშ იყო განლაგებული. ამ ფენის არქეოლოგიური მასალები — ორმოციოდე გულსაკიდი ჯვარი, ბრინჯაოს ზომიერი მცირე ქანდაკებანი — მამალი, შველი, ჯიხვის თავი, ზიარსხეულიანი ლომები, მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ასორტი-მენტის სამკაული, ცხენის აკაზმულობის დეტალები, მონეტები და სხვ. თავისი ხასიათით აშკარად ამჟღავნებენ კავშირს საკულტო ობიექტთან და მათი გარკვეული ნაწილი, ვფიქრობთ, ხატისათვის შეწირული ნივთები უნდა იყოს<sup>3</sup>. ეს მასალა მრავალმხრივად საინტერესო, მაგრამ ამჟღავნებს ჩვენი კვლევის მიზანია მხოლოდ მხედრის ორი მცირე ქანდაკების შესწავლა და მათი რაობის დადგენა.

ნიშტაყოს ბორცვზე 1964 წ. გამოვლენილი ბრინჯაოს მხედრის ქანდაკება (ინვ. №34-84:253) ბრტყელი და ცალმხრივია. იგი დამზადებულია ჩამოსხმის წესით. ცხენი გამო-სახულია მარცხენა პროფილით, სტატიურ მდგომარეობაში, რაც მას ერთგვარ მონუმენტურობას ანიჭებს. მას აქვს სწორი ზურგი, მცირედ ამადლებული გავა და სქელი, ვერტიკალურად დაშვებული ძუა, რომლის თავზე გამოსახულია დაბალი, ფართო შვერილი. კისერი ამადლებულია, დრუნჩი ჩამოგრძელებული და ბოლომოსრილი. თავზე რელიეფურად გამოყოფილი კონუსური მოყვანილობის დაბალი კოპი აზის, ხოლო მის უკან შვეულად აღმართული რქაა.

აღნიშნის ფიგურა გამოსახულია en face . იგი ცხენთან შედარებით პატარა და არაპროპორციულია. ადამიანის ცხენზე ჯდომა გამომხატულია პირობითად. იგი კი არ ზის,

- 1 რ. დოლაბერიძე, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან, თბ., 1973, გვ. 30-33, ტაბ. IV გ.
- 2 რ. დოლაბერიძე, მათუშეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წ. მუშაობის ანგარიში. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, თბ., 1978, გვ. 95, ტაბ. XXIV.
- 3 ღვთაებთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მცირე ქანდაკებების, ჯვრებისა და სხვა პირადი ნივთების სალოცავში შეწირვის წესი გადმონათვის სახით საქართველოს მათში ბოლო დრომდე შემორჩა. ამის ერთერთ საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს სვანეთის ეკლესიებში დაცული შეწირულობანი, რომელთა შორის გვხვდება როგორც თანამედროვე სამკაული, ჭურჭელი და სხვა ნაწარმი, ისე ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული სხვადასხვა დროის ნივთები. მ. ჩართლანი, სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების შესწავლისათვის. — სვანეთი I, თბ., 1977, გვ. 12-13.

არამედ ჰაერშია დაკიდებული და ცალი ხელით კისერს ებჯინება<sup>4</sup>. მეორე ხელის მდებარეობა გაურკვეველია. ერთი შეხედვით იგი ჩამოტეხილია, მაგრამ შევრილი, რომელიც ხელის ნაწილად შეიძლება მიგვეჩინა, ამალღებულია, აქვს მომრგვალებული წვერი და დამოუკიდებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. თავი უშუალოდ ტორსზეა დადგმული, იგი მრგვალია, ბურთულა, ნაკვეთბის ჯანრუმე. ფიგურა შიშველია, მკერდი ბრტყელი აქვს, მუცელი გამონექილი, ფეხები უფორმო შევრილების სახითაა გადმოცემული ცხენის წინ. გამოსახულება ტლანქი, უმოძრაო და უსიცოცხლოა. ქანდაკების უკანა მხარე ბრტყელია. ზომა: 3,3X2,4 სმ (ნახ. I).



1



2

1976 წ. აღმოჩენილი ბრინჯაოს მხედრის ქანდაკება (ინვ. №6-976:454) აგრეთვე ბრტყელი და ცალმხრივია. დაზარალებულია ჩამოსხმის წესით. ცხენი გამოსახულია მარცხენა პროფილით. იგი პლასტიკური ფორმებით და დინამიურობით ხასიათდება. წინა და უკანა ცალ-ცალი ფეხი ოდნავ განზე აქვს გადაშლილი, რითაც მოძრაობის გამოსახვის ერთგვარ ცდას ვხედავთ. ფეხებზე ოთხ-ოთხი ცრუ ცვარასა გამოყვანილი. რკალისებურად შეზნექილი გიწრო, დაგრძელებული ზურგი მაღლა აზიფულ გავაში გადადის, რომელსაც ცრუ ცვარათი დაფარული რკალისებურად მოხრილი ვრცელი ძუა ებმის. გულ-მკერდი გამონექილია და მასზე რელიეფური რგოლია გამოსახული. მაღალი მორკალული კისერი დაგრძელებულ დრუნჩში გადადის. პირი ღრმა ღართ ორდაბა გაყოფილი. თვალი გადმოცემულია რელიეფური რგოლით. მცირე შევრილი თავზე ყურს გამოსატაცეს, ხოლო მასზე მოგრძო შევრილი კისერზე- რქას. ფარეი ცრუ ცვარას ორი რიგითაა გამოსატეული. ცხენის აკაზმულობიდან აღნიშნულია სადავე და საძეუ. სადავე ცრუ ცვარას რიგით შემკული საღტეა, რომელიც ცხენის დრუნჩსა და ადამიანის თავს შორის არის გამოზმული, ხოლო საძეუ წარმოდგენილია გავაზე დატანილი რელიეფური რგოლით და რამდენიმე ცვარათი. ქანდაკებას უკანა მხარე ბრტყელი აქვს. ზომა: 4,5X 5 სმ (ნახ. 2).

ცხენისა და მხედრის გადმოცემაში დარღვეულია საერთო მხატვრული გადაწყვეტა. ცხენთან შედარებით ადამიანის ფიგურა ბრტყელი და უაღრესად სქემატურია, ამასთან მოკლებულია ყოველგვარ პროპორციულობას. იგი ცხენის ზურგზე ღრმადაა მოთავსებული და გადმოცემულია en face, ხასიათდება სხეულის ნაწილების გეომეტრიზაციით. თავი გამოხატულია ცრუ ცვარათი გარემომოვლელი მოზრდილი რგოლით, ხოლო სხეული-ტრაპეციის ფორმის ბრტყელი და თხელი ფირფიტით. სხეულზე ვენტრიკალურად განლაგებული ცრუ ცვარას ორი რიგი ცხენის მუცელზე ეშვება და სქემატურად გამოსატაცეს შეეხება.

სხეულის ნაწილების გეომეტრიული ფორმებით გადმოცემა, ზოგიერთი ნაწილისა და ნაკვეთის სრული უაღრესად მკაცრად, ცხენზე ჯდომის არაბუნებრივი პოზა და სხვა ნიშნები მხედრის ფიგურას აბსტრაქტულ ხასიათს ანიჭებენ, ხოლო ცვარათი შემკული რგოლი- თავის გამოსახულება, რომელიც პირველ რიგში იპყრობს ყურადღებას, დეტალებობის შეგრძნებას იწვევს.

შენაქოს მხედრის ფიგურები უმოძრაო და უსიცოცხლოა. მხოლოდ ცვარათი შემკული ცხენი გამოირჩევა პლასტიკური ფორმებით, მოძრაობის გამოსატაცის ერთგვარი ცდილობა და მოხდენილობით. საზოგადოდ, ამ ფიგურის მხატვრული შესრულების დონე მეორე ფიგურასთან შედარებით გაცილებით უფრო მაღალია. ფიგურის მხატვრული მორთულობა - ცრუცვარა და რგოლები, წმინდა დეკორატიული მიზნის გარდა, გამომხატველობით ხასიათსაც ატარებენ -

4 პ. უეაროვა აღნიშნავს, რომ ასეთი პოზა გვეხდება ყველა ამგვარ გამოსახულებებზე კავკასიის საზღვრებს გარეთაც, რაც შესაძლებელია იმიტომ აიხსნას, რომ ადამიანის გამოსახულების პროფილში გადმოცემა არ იცოდნენ.

მათი საშუალებით გამოყოფილი და აქცენტირებულია ცალკეული ფორმები. მთლიანად კი ცხენოსნის ფიგურა თავისი მოხდენილი სილუეტით, მოდელირებული ფორმითა და მდიდრული მხატვრული დეკორით დიდებულ, საზენიმო შთაბეჭდილებას ახდენს.

შენაქოს მხედრის ქანდაკებები არქაულ იერს ატარებენ. მხატვრული სტილითა და შესრულების მანერით ისინი ახლოს დგანან საქართველოს რკინის ხანისა და ანტიკური პერიოდის ამავე ხასიათის მცირე პლასტიკურ ნიმუშებთან.

ზემოაღწერილი მხედრის ფიგურები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიშტაყოს ბორცვის შუა საუკუნეების კულტურული ფენებიდან მომდინარეობენ. ისიც აღინიშნა, რომ ამ ფენის მასალა საკულტო ხასიათს ატარებს და იგი უმთავრესად სალცავისათვის გაღებული შეწირულობა უნდა იყოს. ნივთები სხვადასხვა დროისაა, მაგრამ მათ შორის უმრავლესობას საკმაოდ კონკრეტული თარიღი გააჩნია, რაც დღეისათვის საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მთელი ეს მასალა VIII-XIII სს. ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება.

ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანულ ხელოვნებაში მხედრის გამოსახვის არქაული ტრადიციები ქრება და ყალიბდება მხედრის, ქრისტიანული წმინდანის იკონოგრაფიული სახე. ყოველ შემთხვევაში, შენაქოს ქანდაკებების მსგავსი ნიმუშები საქართველოს ბარში ჯერჯერობით ჩვენთვის არ არის ცნობილი. ჩრდილო კავკასიაში კი, სადაც ქრისტიანული რელიგია უფრო გვიან და ძნელად ვრცელდება, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთში, ამ სტილის მხედრის ბრტყელი ქანდაკებები არაერთგანაა დადასტურებული. როგორც ამ ბოლო ხანების გამოკვლევებით ირკვევა, ზოგი მათგანი VIII-IX სს. სამარხულ კომპლექსებშია ნაპოვნი, ორ შემთხვევაში კი მათი შემცველი კატაკომბები IX ს. დასაწყისით თარიღდება.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შენაქოს მხედრის ქანდაკებების თარიღი VIII-IX სს. ადრეული არ უნდა იყოს. რაც შეეხება მათ ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, დღეისათვის პირობითად იგი XI-XII სს. შეიძლება განისაზღვროს.

მხედრის ორივე ფიგურა ერთი კულტურული ფენიდან მომდინარეობს და სინქრონულია. ყოველ შემთხვევაში, მათ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს. ამიტომ მათი შესრულების განსხვავებული მხატვრული დონე არა ქრონოლოგიური სხვაობით, არამედ ოსტატის ხედვით და ხელის გააფულობით უნდა იყოს განპირობებული.

ცხენოსნის მხატვრული სახე მყარადაა დამკვიდრებული კავკასიის და კერძოდ, საქართველოს უძველესი სახვითი ხელოვნების თემატიკაში. ამ კომპოზიციამ რკინის ხანიდან მოყოლებული განვითარების გრძელი გზა განვლო და ასახვა ჰპოვა ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე: ბრინჯაოს სარტყლის გრაფიკულ ნახატებში<sup>7</sup>, მცირე

5 ამ ფენაში გამოვლენილი მონეტები, (არაბული დირჰემი - VIII ს. ბოლო, აღექის კომინანოსის სპილენძის მონეტა -XI ს. ბოლო და ბაგრატი IV ვერცხლის მონეტა -XI ს. შუა ხანები), ყველა გახვრეტილია და, ჩანს, სამკულადაა უხმარიათ, მაგრამ მათი არსებობა აუცილებლად გასათვალისწინებელია მასალის დასათარიღებლად. რ.დოლაბერიძე, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან; რ.დოლაბერიძე, მთათუშეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში, გვ.95-96; რ.დოლაბერიძე, მთათუშეთის დაზვერვით-არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (1975 წ.)-საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, თბ., 1977, გვ.149. *Б.Б. К о в а л е в с к а я*, Изображение коня и всадника на средневековых амuletах Северного Кавказа, Вопросы древней и средневековой археологии Восточной Европы, м., 1978, с. 115-117. *შ.ამირანაშვილი*, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ.40, ტაბ.15; *მ.ხიდაშელი*, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში, თბ., 1982, ტაბ.1, XXI, XXX.

პლასტიკაში - მრგვალი და ბრტყელი ქანდაკებების სახით<sup>8</sup>, შტანდარტებზე<sup>9</sup> თუ სხვა სარიტუალო საგნებზე<sup>10</sup>, ბალთებზე<sup>11</sup>, კერამიკაზე<sup>12</sup>, გლიპტიკურ ძეგლებზე<sup>13</sup>, მონეტებზე<sup>14</sup>, შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლებზე, მათ შორის სკულპტურაში<sup>15</sup>, სვანურ საწესო მხატვრობაში<sup>16</sup> და საზოგადოებრივ ეთნოგრაფიულ ყოფაში<sup>17</sup>.

ზემოდასახელებულ სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის ძეგლებზე განსახიერებული მხედრები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც გამოსახვის მანერით, სტილისტური თვალსაზრისით და მხატვრობით, ისე იმ სპეციფიკური ნიშან-სიმბოლოებით, რომლებიც ცალკეული ჯგუფის ფიგურებს, ზოგჯერ კი ცალკეულ ნიმუშებს თავისებურ შინაარსს ანიჭებენ და მათ განსხვავებულ ფუნქციონალურ თვისებებზე მიანიშნებენ. ამიტომ მხედრის სახის შესწავლა და მისი სემანტიკის კვლევა მთელი ამ მასალის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამასთან აუცილებლად ფართო ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების მოშველიების ფონზე უნდა წარმართოს. ამ სტატიაში საკუთრივ შენაქოს მხედრის ფიგურების შესწავლისა და მათი სემანტიკის გარკვევის ცდაა მოცემული და მას არა აქვს ფართო

- 8 გ.გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 103, ტაბ. XXIII; შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58-60, ტაბ. 17; შ. მ. Гогодзе, Л. Н. Панцхавა, М. В. Дариспанашвили, Работы Носири-Мухурчской археологической экспедиции в 1974-1975 гг. - საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, თბ., 1977, გვ. 64, ტაბ. VII, VIII; გ. ლომთათიძე, კლდეების სამაროვანი, თბ., 1957, გვ. 73-75, სურ. 12; თბილისი I, არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1978, ფერადი ტაბ. VII.
- 9 Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тифлис, 1934, გვ. 60-61; ი. გაგოშიძე, ადრენტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 44, ტაბ. IV, V, VI.
- 10 П. С. Уварова, Материалы по археологии Кавказа, VIII, табл. XXI, 3; Б. А. К у ф т и н, Материалы по археологии Колхиды, Тб., 1949, с. 243-245, рис. 55.
- 11 Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, с. 24, табл. III; П. С. У в а р о в а, Коллекции Кавказского Музея, т. V, Тифлис, 1902, с. 17, рис. II и 12; მ. ხიდაშელი, ბრინჯაოს მხატვრული და მუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბ. 1972, 80-86.
- 12 Ю. М. Г а г о ш и д з е, Самадло, Тб., 1979, с. 94-95, табл. XV, XVI.
- 13 ი. გაგოშიძე, ადრენტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 25-42, ტაბ. II; მარგარიტა ლორთქიფანიძე, საქართველოს სახ. მუზეუმის გემები, III, თბ., 14, ტაბ. VI; ქ. ჯავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გოპტიკური ძეგლები, თბ., 1972, გვ. 12, 81-82, ტაბ. VIII; მარგარიტა ლორთქიფანიძე, კოლხეთის ძვ. წ. V-III სს. საბეჭდავი ბეჭდები, თბ., 1975, გვ. 93-95, ნახ. 24.
- 14 გ. ლუნდუა, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმისმატიკური მასალების მიხედვით ძვ. წ. II-ახ. წ. IV სს. - დიდი პიტუნტი, I, თბ., 1975, გვ. 294-341; მისივე, ერთხელ კიდევ ტრაპეზუნტის მონეტების იკონოგრაფიის შესახებ. დიდი პიტუნტი, II, თბ., 1977, გვ. 343-346.
- 15 Г. К. В а т н е р. Образ воина-всадника в скульптуре средневековой Грузии и древней Руси. - II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977.
- 16 ვ. პარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1933, ტაბ. III, V, IX, XXI, XXIa.
- 17 ი. სურგულაძე, ასტრალური სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ორნამენტში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1967, გვ. 144-160; მისივე, ანთროპომორფული გამოსახულებები ქართულ ხალხურ ორნამენტში. - „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1976, გვ. 8-9; მისივე, მთა-ოუშეთის ციხე-ნაგებობათა ორნამენტი. - „ძეგლის მეგობარი“, 7, თბ., 1966, გვ. 25-26;
- ლ. ბედუციძე, სვანურ ავეჯზე მოცემული ზოგიერთი სიმბოლური გამოსახულების შინაარსის ახსნისათვის. - სვანეთი, თბ., 1977, სურ. 53, 54.

დასკვნების გამოტანის პრეტენზია. ამიტომ ჩვენ შევჩერდებით ამ რთული და ფართო თემის მხოლოდ იმ ასპექტებზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, ინტერესს წარმოადგენს უშუალოდ ამ სტატიისათვის.

როგორც ცნობილია, უძველესი სახვითი ხელოვნება სიმბოლური ხასიათის სახეებითა და სიუჟეტებითაა გამსჭვალული. სიმბოლოები რეალური საგნებისა და მოვლენების გადმოცემას ემსახურებოდნენ. ამასთან, სიმბოლოსა და იმ მოვლენას შორის, რომელსაც ის განასახიერებდა, გარეგნული მსგავსება აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომაც, რომ სახვითი ხელოვნების უძველესი ძეგლები, ატარებენ რა განსახიერებლ აზრობრივ დატვირთვას, ასახავენ საზოგადოების სულიერ კულტურას— მათ რელიგიურ შეხედულებებსა და მსოფლხედვას. სიმბოლური ენა ხალხის რწმენა—წარმოდგენებში ღრმად იყოს გემჯდარი. მაგრამ დროთა განმავლობაში ამ სიმბოლოების მნიშვნელობა და შინაარსი დავიწყებას მიეცა და დღეს ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ და ენობრივ მასალებში შემორჩენილი ცალკეული ცნობა და მინიმუმბანი თუ გვეხმატება ამ სიმბოლოების ამოცნობაში.

შენაქოს მხედრის ფიგურებში ღრმად სიმბოლიკაა ჩატკოვილი. სიმბოლურია რგოლი, რომლითაც ადამიანის თავია გამოხატული, და რქა, რომელიც ცხენს ერთგან თავზე, ხოლო მეორეგან კისერზე აქვს გამოსხმული. ეს სიმბოლოები ხაზგასმით მიაწინებენ, რომ ფიგურა საკრალურია.

შენაქოს მხედრის ფიგურებს ერთმანეთთან განსაკუთრებით აახლოებს სწორედ ეს დეტალი. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ფიგურებს ერთი და იგივე შინაარსობრივ—ფუნქციონალური დანიშნულება ჰქონდათ, ამიტომ მათი სემანტიკის კვლევაც ერთი მიმართულებით უნდა წარიმართოს.

რქოსანი ცხენის თემა საქართველოში ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში შემოდის და ამ პერიოდის ძეგლებისთვის განსაკუთრებით ჩანს დამახასიათებელი. მხედარი რქოსან ცხენზე გამოსახულია ახალგორისა<sup>18</sup> და ყანჩაეთის<sup>19</sup> შტანდარტებზე, აგრეთვე ალგეთის<sup>20</sup>, ყანჩაეთისა<sup>21</sup> და ვანის<sup>22</sup> საბეჭდავ ბეჭდებზე. ამ ძეგლებზე რქა ცხენის თავზე მაღალი და მოხრილი შვერილის სახითაა გადმოცემული.

შენაქოს ერთ ფიგურაზე რქა გამოსახულია ცხენის თავზე მაღალი და სწორი შვერილით, ხოლო მეორეზე ცხენის კისერზეა მოთავსებული და სწორ, შეღარებით დაბალ შვერილს წარმოადგენს. რქის გამოსახვა შენაქოს ცხენებზე არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა და იგი უნდა განიხილოს როგორც გარკვეული შინაარსის მქონე სიმბოლო.

როგორც დავინახეთ, რქოსანი ცხენის სიმბოლიკა და მასთან დაკავშირებული წარმოდგენა უძველესი დროიდან მომდინარეობს და, შენაქოს ფიგურების მიხედვით თუ ვიხსჯილვებთ, საქართველოს მთაში შუა საუკუნეებშიც განაგრძობს არსებობას.

რქოსან ცხენს ფანტასტიკურს<sup>23</sup> ან კიდევ „მარტორქა-ცხენს“<sup>24</sup> უწოდებენ. მისი ამგვარი ხედვა განპირობებულია იმით, რომ მის ცხენისთვის უჩვეულო ნიშანი—რქა ამკობს. საზოგადოდ რქა და რქის სიმბოლიკა ერთ-ერთ სადავო საკითხს წარმოადგენს ქართული წარმართული რელიგიის საკვლევ მასალებს შორის.

18 Я.И.Смирнов, დასახ.ნაშრ., გვ.60-61.

19 ი.გაგოშიძე, დასახ.ნაშრ., გვ.43-47, ტაბ. IV, V, VI.

20 Б.А.Кутин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ.35, ტაბ. XI; მარგარიტა ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, თბ., 1963, გვ.42, ტაბ. VI.

21 ი.გაგოშიძე, დასახ.ნაშრ., გვ.25-43, ტაბ. II.

22 მარგარიტა ლორთქიფანიძე, კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი ბეჭდები, თბ., 1975, გვ.93-96, სურ. 24, ტაბ. VI.

23 Я.И.Смирнов, დასახ.ნაშრ., გვ.60-61; ი.გაგოშიძე, დასახ.ნაშრ., გვ.35.

24 მარგარიტა ლორთქიფანიძე, კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი ბეჭდები, გვ.93-96.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ რქებშია ჯიხვისა და ირმის ღვთიური ძალა. ქართული მკვლევრები ამ მოვლენას შემდეგნაირად ხსნიან. მაგალითად, ი. სურგულაძე იმ აზრისაა, რომ ირმისა და ჯიხვის რქები გაგებული უნდა იყოს როგორც მათ სხეულზე ამოსული მცენარე, ნაყოფი და აქედან გამომდინარე იგი რქებს სიცოცხლის ხეს და ნაყოფიერების იდეას უკავშირებს<sup>25</sup>. ლ. ფანცხავას კოლხურ-ყობანური ცულების განხილვისას ირმის რქები აგრეთვე სრცოცხლის ხის სიმბოლოდ მიაჩნია<sup>26</sup>. ი. კიკვიძეს გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ ირმის რქას მაგიური ძალა მიენიჭა მიწის და მუშავეების პროცესში, როგორც მოსახერხებელ მასალას პრიმიტიული მიწის საჩიჩქნი იარაღის გასაკეთებლად<sup>27</sup>. ზ. კიკნაძე კი რქის სიმბოლურ არსს უშემერული და სემიტური ენობრივი მასალებით ხსნის. ამ ენებში რქა და სხივი ერთმანეთის ექვივალენტურია - რქა ამავე დროს სხივსაც ნიშნავს, რადგან ეს ენები იმ შორეულ ეპოქას მიეკუთვნებიან, როდესაც რქებში ხედავდნენ შენივთებულ სხივებს, მატერიალიზებულ ნათელს. როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს, „დიდება“, „ბრწყინვალეობა“, „რქა“ ღვთიური არსების გამოვლენაა<sup>28</sup>. ამის გამოა, რომ რქა, როგორც შენივთებული სხივი, ზემსწრაფი სინათლის სიმბოლო, მოუცილებელი ატრიბუტია ყოველი ტაძრისა და ღვთაების<sup>29</sup>. რქის ამგვარი გაგება ჩვენ ყველაზე მართებულად მიგვაჩნია, მით უფრო, რონ რქის მანათობელი თვისების შესახებ აღნიშნული აქვს ვაჟას. კერძოდ, ამაზე მიუთითებს გარეული ჯოგების ბელადის ჯონქიას ეპითეტები „რქანათლიანი“ და „რქამნათი“<sup>30</sup>. ვაჟას ეს მინიშნება იმის დადასტურებაა, რომ წარსულში ქართველ ტომებში რქა სხივისა და სინათლის მნიშვნელობით, მის სიმბოლოდ აღიქმებოდა და ეს წარმოდგენა სულ ბოლო დრომდე ცოცხლობდა საქართველოს მთაში<sup>31</sup>.

ქართული ეთნოგრაფიული ნიადაგი, აგრეთვე, იძლევა იმის საფუძველს, რომ ცხენის თავზე გამოსახული რქა სხივური ბუნების შეიძლება იყოს, თუკი ამ ნიშანს „ნაწილიანობის“ კონცეფციით ავხსნით. როგორც ვ. ბარდაველიძის გამოკვლევებიდანაც ცნობილი, „ნაწილიანი“ რქეულია. მას მთვარის ღვთაება და მზის ღვთაების იპოსტასი დიდი დედა თავად ან თავისი წილი ღვთაებების მეშვეობით გადასცემენ თავის ნაწილებს, სხივებს. ასტრალური ღვთაებიდან გადასული სხივური ბუნების „წილი“ თვით ხდება სინათლის წყარო<sup>32</sup>. ამ შეხედულების საილუსტრაციოდ ქართულ ეთნოგრაფიაში მწირო მასალებია შემონახული. ცნობილია მხოლოდ, რომ ხევსურთა რწმენით ადამიანს ღვთისაგან ბოძებული „ნაწილი“ ბეჭებს შორის ჰქონდა მოთავსებული და იგი ბრწყინვალეობას გამოასხივებდა. გამოსარჩევი ნიშანი იყო აგრეთვე „თვალი“, რომელიც სხივოსანი რკოლის ან ბურთულის სახით ჰქონდათ წარმოდგენილი. თვალის მფლობელი შეიძლება ყოფილიყო როგორც

- 25 ი. სურგულაძე, ასტრალური სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ორნამენტში, გვ. I27, I41.
- 26 ლ. ფანცხავა, კოლხური და ყობანური კულტურების მხატვრული ხელოსნობის ისტორიისათვის, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1975.
- 27 ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. I91.
- 28 ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. I90.
- 29 იქვე, გვ. 92.
- 30 ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, გვ. I91.
- 31 გარეული ნადირის რქები საქართველოს მთაში დღემდე ხატ-სალოცავებისა და ეკლესიების მოუცილებელი ატრიბუტია. ვფიქრობთ, რომ ისინი ამ შემთხვევაშიც სიმბოლურად სხივებს და მათ ბრწყინვალეობას გამოხატავენ; ხატ-სალოცავების ღვთიური არსის, სხივური ბუნების, მისი ელვარებისა და ბრწყინვალეობის ხატს განასახიერებენ. ხატ-სალოცავების ნათელი ბუნებისა და ელვარების შესახებ აღნიშნულია ქართულ ფოლკლორში. დიდა წმინდა სამება, ცისკიდურამდე ელავსო, თავის ყმის გამჯავრებელსა ნაბადვიითა სთელავსო („გერგენტულა“). იხ. ზ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 91.
- 32 В. Бардавелидзе, Древнейшие верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, с. 106-110.

აღამიანი, ისე ცხოველი, სვანების წარმოდგენით, „დაჯილდოებულ ხარებს“ თვალი კი-  
სერზე, კანქვეშ გამოყოფილი ბურთულის სახით აქვთ გამოყოფილი<sup>33</sup>. საკითხის ამგვარი  
გაგების თანახმად, რქა უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ზებუნებრივი, მთვარისა და მზის  
ღვთაებრივი საწყისებთან წილნაყარობის ნიშანი, სხივისა და ნათელის, ღვთაებრიობის  
მატერიალური გამოვლენა-სიმბოლო.

მეორე სიმბოლო, როგორც აღვნიშნეთ, მხედრის ერთ ქანდაკებაზე დიდი, ცვარათი  
გარშემოვლებული რგოლია, რომელიც ადამიანის თავს გამოხატავს. იგი დიდებულ, საზეი-  
მო შთაბეჭდილებას ახდენს და აშკარად მიანიშნებს ამ ფიგურის საკრალურობაზე.

შენაქოს მხედარი არ დგას განყენებულად. მას თავისი ორეული გააჩნია სვანეთ-  
ში<sup>34</sup>. სვანეთის მხედარი შედარებით უფრო სტილიზებული და აბსტრაქტულია, მაგრამ  
რგოლისებური თავით იგი შენაქოს მხედრის მეტად საინტერესო ანალოგიას წარმოადგენს.

ვ.ბარდაველიძის გამოკვლევებით წრისებრი და მრგვალი ობიექტები ქართული ხალ-  
ხის სარწმუნოებრივი წარმოდგენებში მზისა და სავსე მთვარის გამოსახულებებთან იყვ-  
ნენ ღამსვაცავებული და ასოცირებული<sup>35</sup>. ამ წარმოდგენათა საფუძველზე უნდა ვიფიქროთ,  
რომ რგოლი, რომლითაც ადამიანის თავია აღნიშნული, ასტრალურ მნათობს-მზეს ან  
მთვარეს გამოხატავს. ეს აზრი მის უფრო სარწმუნოა, რომ ქართულ ხალხურ ორნამენტებ-  
ში, ისევე როგორც საწესო მხატვრობაში, სულ ბოლო დრომდე შემორჩა ასტრალური ფიგურ-  
ით ადამიანის თავის გამოხატვის ტრადიცია. იგი ხან უბრალო წრე ან წრიული ლაქაა,  
ხან რადიალურად განსხვავებულ მზეს წარმოგვიადგენს, ანდა გადმოკვეთილი მგორავი,  
მცხუნვარე მზის სიმბოლოთი - ბორჯღაღათი<sup>36</sup>.

უძველესი სიმბოლოების ახსნის თვალსაზრისით დღეს ყველაზე მეტყველ ძეგლს  
სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნება წარმოადგენს. მართალია, ამ ნახატებში გამოსა-  
ხული ნიშან-სიმბოლოები ხშირად პირობით ხასიათს ატარებენ, მაგრამ ხალხურ გადმო-  
ცემებში ჯერ კიდევ შემონახულია უძველესი შეხედულებანი კონკრეტულ შემთხვევაში  
კონკრეტულ ჭრელასთან დაკავშირებით. ეს პირობითობა ვლინდება ორი სხვადასხვა მნა-  
თობის - მზის და მთვარის გადმოცემაშიც. ისინი ხშირად ერთნაირი ჭრელით-სხივებიანი  
წრეხაზით, წრეხაზით და წრით გამოიხატებიან. მაგრამ მთვარე, მზისგან განსხვავებით,  
გადმოცემა აგრეთვე რგოლით და სპირალითაც<sup>37</sup>, ე.ი. გულამოდებული ფიგურით. მთვარის  
გამოხატვის ეს თავისებურება ვლინდება მთვარის სახელობის რიტუალური კვერის -  
ლაწდაშ ლემზირის ფორმაშიც. იგი დისკოსებრი და ქიმებიანია, ისევე როგორც მზის  
გამომხატველი რიტუალური კვერი, მაგრამ მისგან განსხვავებით შუაგულში გაკეთებული  
აქვს ნაჩვრეტი<sup>38</sup>. მთვარის გადმოცემა რგოლის საშუალებით მისი წარმოსახვის უძვე-  
ლესი ფორმა უნდა იყოს, როგორც დღემდე შემორჩა საწესო გრაფიკულ ხელოვნებაში და  
რიტუალური კვერების სახით. ყველა ამ მონაცემის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ რგო-  
ლი, რომლითაც მხედრის თავია გამოხატული, მთვარის ემბლემა, მისი სიმბოლური გამო-  
სახულებაა და ამ ღვთაებას თუ წმინდანს მთვარის კულტთან აკავშირებს.

მხედრის ფიგურების აღმოჩენა კულტურულ ფენაში ქრისტიანულ ჯვრებთან ერთად,  
რომელთა შორის ორი ჯვარცმის გამოსახულებანია, ბუნებრივია, საფუძველს იძლევა  
ვიფიქროთ, რომ ეს მხედარი ღვთაება ქრისტიანული რელიგიის კულტის სფეროში მოქცეული

33 В.Бардавеллидзе, დასახ.ნაშრ., გვ.109-110.  
34 შ.ჩართლანი, სვანთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები არქეოლოგიური  
მასალების შუქზე.-სვანეთი, I, თბ., 1977, გვ.93, ნახ.107.  
35 ვ.ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941,  
გვ.63-77; მისივე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუ-  
შები, გვ.39, 83-92.  
36 ი.სურგულაძე, ანთროპომორფული გამოსახულებანი ქართულ ხალხურ ორნამენტში.-  
ძეგლის მეგობარი, 42, თბ., 1976, გვ.6.  
37 ვ.ბარდაველიძე, ქართული (საწესო)... გვ.39.  
38 იქვე, გვ.84-92.  
39 ამ კვერის გამოცხობა და შეწირვა ნაშუაღამევს ხდებოდა.

წმინდანია. როგორც ცნობილია, ქრისტიანული აღმოსავლეთის მხედარი წმინდანებიდან საქართველოში და განსაკუთრებით მთის რეგიონში ყველაზე დიდი პოპულარობით წმ.გიორგი სარგებლობდა. წმ.გიორგის სახელობისაა მთის ხატ-სახლცაფების უმრავლესობა. ისინი ხალხური წმ.გიორგის-ლამაისა და სხვ. საბრძანისებია. ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ შენაქოს მცირე ქანდაკებები ქრისტიანი წმინდანებიდან მხოლოდ წმ.გიორგის გამოსახულება შეიძლება იყოს. ამავდროს ფიგურების არქაული იერი და ამჟამად წარმართული ელემენტები მათ გარეგნობაში - ცხენის რქა, რომელიც, ჩანს, სხივისა და ბრწყინვალეობის სიმბოლოა და ამავდროს ღვთაებრივობას გამოხატავს, აგრეთვე, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, მთვარის ნიშანი - რგოლი, თავის სანაცვლოდ, ამჟამად მიანიშნებენ, რომ ამ წმინდანის საწყისები წარმართული რელიგიის ასტრალურ ღვთაებათა პანთეონიდან მომდინარეობენ, კერძოდ, მთვარის ღვთაებას უკავშირდებიან.

ჩვენს მოსაზრებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი გააჩნია, კერძოდ, ის, რომ ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა ცნობა. წმ.გიორგის რქოსანი ცხენის შესახებ<sup>40</sup> ს.ბარნაველის აზრით, წმ.გიორგის ცხენის რქა აიხსნება წმ.გიორგის გაიგივებით მთვარის ღვთაებასთან, რადგან ქართულ ფოლკლორში ახალი მთვარის ნამგლის ბოლოებს ეწოდება „რქანი“-„თვარება ხუთმეტისაშა შამაიმტვრივან რქანიო“<sup>41</sup>. მთვარე რომ რქებით გამოისახებოდა და ხარის რქები ჩვეულებრივ მთვარის ნიშნად ითვლებოდა, აღნიშნული აქვს ივ.ჯავახიშვილს<sup>42</sup> აღსანიშნავია, რომ რქისა და ახალი მთვარის ერთ-მოლოგიური კავშირის შორეული ფესვები და მთვარის რქების მანათობელი თვისება ჯერ კიდევ შუამდინარულ მითოლოგიურ ტექსტებშია დადასტურებული, სადაც მთვარის მიმართ ნათქვამია: „თვის დასაწყისში ქუეყნად გამოჩენისას რქა გაიბრწყინე ნიშნად დღისა ექვსისა“<sup>43</sup>. ამ მასალის ფონზე ს.ბარნაველის ეს მოსაზრება მეტ დამაჯერებლობას იძენს.

ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემებით წმ.გიორგის კულტში მთვარის ღვთაების ბუნება გამოსჭვივის, იგი ამ უძველესი წარმართული ღვთაების ფუნქციების მატარებელია. მთვარის ღვთაებიდან ჩანს მასზე გადასული ნადირთპატრონი ფუნქცია<sup>44</sup>, ამინდის პატრონის, მცენარეულობის სულისა და ადგილის დედის ნიშნები<sup>45</sup>, ვაჟიანობაზე ზრუნვა და საერთოდ მამაკაცთა მფარველობა<sup>46</sup>. ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს, რომ შენაქოს მხედრები მთის მოსახლეობის წარმოდგენებში არსებული ხალხური წმ.გიორგის ერთ-ერთ ადრეულ ხატებად მივიჩნიოთ<sup>47</sup>.

40 ს.ბარნაველი, ქართული მეომარი ღვთაების იკონოგრაფიისათვის, -ძეგლის მეგობარი, თბ., 1979, გვ.37.

41 იქვე, გვ.39.

42 ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, თბ., 1979, გვ.99.

43 ზ.კიკნაძე, დასახ.ნაშრ., გვ.109.

44 ვ.ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწყისო... გვ.53; ე.ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964, გვ.118-120; მ.მაკალათია, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში. - სვანეთი, I, თბ., 1977, გვ.27-29.

45 ე.ვირსალაძე, დასახ.ნაშრ., გვ.120.

46 ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ.96; მ.მაკალათია, დასახ.ნაშრ., გვ.29-30.

47 ფიქრობენ, რომ წმ.გიორგის, მეომარი მხედრის იკონოგრაფია უკვე VI-VII სს. ქვის რელიეფებზეა მოცემული (წებელა, ბრნაძორი, მარტვილი).  
იხ. მ.პ.Привалова, Павниси, Тб., 1977, გვ.64-65. X ს. ბოლოდან კი, წმინდანის სახელის აღნიშვნით, იგი ფართოდ ვრცელდება ჭედურობაში, მაშინ როდესაც ბიზანტიური ხელოვნება და საზოგადოდ ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელოვნება, გამონაკლისის გარდა, წმ.გიორგის ამ სახეს XII საუკუნემდე არ იცნობს

შეხვედრება წარმართობისდროინდელი მხედრის სახის ღვთაებრივობაზე ქართველთა მკვლევარების მიერ თითქმის ერთხმადაა გაზიარებული, მაგრამ მისი ბუნება და ხასიათი სხვადასხვაგვარადაა გააზრებული და ახსნილი. ივ.ჯავახიშვილის გამოკვლევა იმის თაობაზე, რომ ქართველთა წარმართული სარწმუნოების უზენაესი ღვთაება-მთვარის ღვთაება ღმერთი მამაკაცი იყო, რომლის ადგილი ქრისტიანულ ხანაში წმ.გიორგიმ დაიკავა<sup>48</sup>, ბევრ მკვლევარს საფუძველს აძლევს იფიქრონ, რომ მთვარის ღვთაების მეტერიალური ხატი უნდა იყოს ანტიკური ხანის ქართული მცირე ხელოვნების ძეგლებზე გამოსახული მებრძოლი მხედარი. როგორც ი.გაგოშიძე თვლის, ქართველებს მთვარის ღვთაება შუბოსანი მხედრის სახით უნდა მყვლოდათ წარმოდგენილი, რომლის იკონოგრაფიული სახე ძვ.წ.V ს. ჩამოყალიბდა და აისახა ადგილობრივ საბეჭდავ ბეჭდებზე, შტანდარტებსა და მცირე ქანდაკებებზე<sup>49</sup>. ლ.წითლანაძეს ყაზბეგის ეპყენებიანი ითიფალური მხედრები მიაჩნია მთვარის ღვთაებად და წმ.გიორგის წინაწინააღმდეგ<sup>50</sup>. მ.ხიდაშელი მთვარის ღვთაებას უკავშირებს მხედრის ფიგურას ორს-ძუარიდან, წინააღმდეგ ბ.კუჭტინისა, რომელიც მას მზის ღვთაებად თვლის<sup>51</sup>, ხოლო ს.ბარნაველის აზრით, წმ.გიორგის წინამორბედი ღვთაება საქართველოში აღმოჩენილ გემებზე რქოსან ცხენზე გამოსახული მეომარი მხედარი უნდა იყოს<sup>52</sup>. ტრაპეზუნტის მონეტებზე გამოსახული მხედრის იკონოგრაფიულ ანალიზს გ.ღუნდუა იმ დასკვნამდე მიყავს, რომ ამ მონეტებსა და გვიანანტიკური ხანის გემებზე გამოსახული მხედარი-ღვთაება ასტრალური ტრიადის-მთვარე, მზე, ვარსკვლავები, განსახიერებაა, რომლის იკონოგრაფიდანაც იღებს სათავეს წმ.გიორგი, ქრისტიანული რელიგიის გველემებთან მებრძოლი მხედარი<sup>53</sup>. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი „ხალხური მხედრები“ ღვთაებრივ პერსონაჟებად მიაჩნია ი.სურგულაძეს. როგორც იგი თვლიდა, ისინი იმ მეომარი ღვთაების ერთ-ერთი ვერსია უნდა იყოს, რომლის იკონოგრაფიული სახის ჩამოყალიბებას ი.გაგოშიძე ძვ.წ.პირველი ათასწლეულის შუა ხანებში ვარაუდობს და რომელიც შემდგომ ქრისტიანობამ შეითვისა, როგორც ბოროტ ძალებთან მებრძოლი ღვთაება<sup>54</sup>. საგულისხმოა, რომ ი.სურგულაძე პარალელს ავლებდა ამ მხედარ ღვთაებებსა და მთიელთა მებრძოლ და დამცველ ღვთაება ლაშარის ჯვართან, რომლის ფოლკლორული სახე შუქმფინარი მხედარია. მაგრამ შემდეგ ი.სურგულაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წმ.გიორგის არ შეეძლო ერთი რომელიმე ღვთაების შეცვლა და ამ გზით დამკვიდრება ხალხურ წარმოდგენებში. იგი უფრო შესაძლებლად თვლის, რომ წმ. გიორგის კულტი ძველ რელიგიურ-მიოლოგიური სახეებთან თანდათანობითი შერწყმის გზით ფორმირდებოდა შუა საუკუნეების განმავლობაში<sup>55</sup>.

-----  
- წმ.გიორგის, მეომარი მხედრის საკმაოდ მრავალრიცხოვანმა ძეგლებმა, მათმა მრავალსახეობამ და თვითმყოფალობამ გ.ჩუბინაშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ეს იკონოგრაფიული სახე საქართველოში უნდა შექმნილიყო. Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, с.373.

- 48 ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ.88-99.
- 49 ი.გაგოშიძე, დასახ.ნაშრ., გვ.38-47.
- 50 ლ.წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1976, გვ.65.
- 51 მ.ხიდაშელი, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბ., 1972, გვ.80-85.
- 52 სარა ბარნაველი, ქართული მეომარი ღვთაების იკონოგრაფიისათვის-ძეგლის მეგობარი, 51, გვ.36-40.
- 53 გ.ღუნდუა, ერთხელ კიდევ ტრაპეზუნტის მონეტების იკონოგრაფიის შესახებ. — დიდი პიტიუნტი, II, თბ., 1977, გვ.343-346.
- 54 ი.სურგულაძე, ასტრალური სიმბოლიკა..., გვ.144-160; მისივე, ანთროპომორფული გამოსახულებანი..., გვ.8-9.
- 55 И.Сургуладзе, Святой Георгий в грузинских религиозных верованиях. — Доклад, IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983, с.9.

აღსანიშნავია, რომ ი.კიკვიძეს ანტიკური ხანის შტანდარტებსა და გემებზე გამო-  
სახული მხედარი, ნაწილიანობის კონცეფციიდან გამომდინარე, გააზრებული აქვს როგორც  
სატომო და სათემო მემორი ღვთაებები-ღვთისშვილები, რომელთა განზოგადებული სახე  
მზისა და მთვარის შვილი ღვთაება - კვირია უნდა იყოს და არა მთვარის ღვთაება,  
როგორც ამას ი.გაგოშიძე და სხვები ფიქრობენ. მისი აზრით, სწორედ ღვთისშვილებს,  
კვირიას ჩაენაცვლა წმ.გიორგი, რაზედაც მიუთითებს ის ფაქტი, რომ მთის ხატების  
უმრავლესობა წმ.გიორგის სახელობისაა. ამ უძველესი გამოსახულებების ანალოგიად  
მას, ისევე როგორც ი.სურგულაძეს, მიაჩნია მთიელთა მემორი ხატი-ლაშარის უვარი<sup>56</sup>.

როგორც ვხედავთ, ზემოთყვანილი ავტორების უმრავლესობა წმ.გიორგის წინარე  
სახედ მთვარის ღვთაებას თვლის<sup>57</sup> და მის განსახიერებად ანტიკური ხანის ძეგლებზე  
გამოსახული მებრძოლი მხედარი-ღვთაება მიაჩნია, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირ-  
ებით განსხვავებული აზრით არსებობს.

შენატოს მხედრების მცირე ქანდაკებები, ვფიქრობთ, წმ.გიორგისა და მთვარის  
ღვთაების ურთიერთკავშირის საინტერესო ილუსტრაციაა.

Р.М.Долаберидзе

### МАЛЫЕ СКУЛЬПТУРЫ ВСАДНИКОВ ИЗ ТУШЕТИ

#### Резюме

В Тушетском селе Шенако на холме Ништако, в средневековых культурных  
слоях, обнаружены две бронзовые малые скульптуры всадников. Они литые, од-  
носторонние. Конь изображен в левый профиль, а фигура человека дана *en face*.  
Одна из них декорирована ложной зернью и рельефными кружочками (рис.1,2).

Обе фигурки синхронны и датируются суммарно IX-XII вв. Обнаружение этих  
скульптур в культурном слое вместе с многочисленными нагрудными крестами,  
среди которых два креста с композицией распятия, дает основание думать, что  
эти фигурки изображают святых всадников, а в частности св.Георгия.

Изображения св.Георгия из Шенако насыщены языческими символами. Симво-  
личен роговидный выступ, в одном случае на голове, а в другом - на шее ло-  
шади и круг, которым изображена голова одного из всадников.

По языковым, фольклорным и этнографическим данным можно предположить,  
что рог изображает материализованный свет, лучезарность и является приз-  
наком божественности. Круг же - солярный знак представляет символическое  
изображение луны и указывает на связь св.Георгия с лунным божеством.

В таком случае эти фигурки всадников представляют собой интересную ил-  
люстрацию связи св.Георгия с его предшественником, главным языческим божес-  
твом грузинского народа - луной, что с убедительностью утверждается И.А.Джа-  
вахишвили.

56 ი.კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში,  
თბ., 1976, გვ.224-225.

57 წმ.გიორგის მთვარის ღვთაების მემკვიდრედ მიიჩნევა აგრეთვე გ.ჩუბინაშვილი  
(Г.Н.Чубинашвили, დასახ.ნაშრ., გვ.244) და კ.კეკელიძე (კ.კეკელიძე, წმ.  
მხედარი ძველ ქართულ მწერლობაში.-ეტიუდები ძველი ქართული მწერლობის ისტო-  
რიიდან, ტ.11, თბ., 1945).

М.В.Цоцелия

Клад сасанидских монет из с.Кохп

Клад монет, рассматриваемый в настоящей статье, был найден в июле 1981 года около села Кохп Ноембрианского р-на Армянской ССР во время прокладки дороги. Пятнадцать монет, поступивших в Государственный Музей Грузии им. акад. С.Джанашиа являются серебряными драхмами и отчеканены сасанидскими правителями Ирана. По своему составу монеты клада распределяются следующим образом: Кавада (I), Хосрова I (7) и Хосрова II (7). Все монеты хорошей сохранности, хранятся в фонде кладов отдела нумизматики под инв. №№ 2I647-2I66I.

Кавад (484,488-531 гг.)

№ 2I647 - драхма, вес-3,56 г., размер-27/28 мм., с/осей-9ч.  
Л.ст.Тип 2. I

Портрет Кавада в профиль вправо. Корона в виде облегающей шапки с двумя зубцами, полумесяцем и шаром с развевающимися лентами. Слева от короны - шестиконечная звезда, над лбом - полумесяц. От плеч отходят "царские ленты" концами вверх. Над плечами - полумесяцы. Лицо с бородой, в ухе - серьга. Прическа - пучок волос. На шее ожерелье, состоящее из "перлов". Вокруг изображения - точечный ободок. На поле монеты у 3,6 и 9 ч. симметрично расположенные астральные символы - полумесяцы со звездами. Легенда: только справа - kw't 'rzw'n - "Кавад. Да увеличится его слава!"  
Об.ст.Тип 2.

Алтарь огня с двумя фигурами, стоящими лицом к алтарю. Аташдан в виде колонны с капителью и базой. Над капителью - языки пламени. Капитель повязана лентами, концы которых обращены вниз. Слева от пламени аташдана - звезда, справа - полумесяц. Вокруг изображения двойной ободок. Легенда: слева - kw't - "Кавад", справа - отсутствует.

Хосров I (531-579 гг.)

№ 2I654 - драхма, вес-4,03 г., размер-29 мм., с/осей-9 ч.  
Л.ст.Тип I.

Портрет Хосрова I в профиль вправо в короне в виде высокой шапки с двумя зубцами, полумесяцем и шаром. Слева от короны и перед диадемой - шестиконечные звезды. От шара короны отходит короткая лента. Диадема - в виде двух рядов точек. Прическа - пучок волос. В ухе - серьга, состоящая из трех бусин. На шее ожерелье из крупных бусин с подвесками. Над плечами - полумесяцы. От плеч отходят "царские ленты" концами вверх. На плечах-звезды с полумесяцами. От плеч отходят ленты концами вверх. На ободке монеты - симметрично расположенные полумесяцы. Вокруг изображения - точечный ободок. Легенда: слева - 'rzw'n, справа - hwtwb: "Хосров. Да увеличится его слава!"  
Об.ст.Тип 2.

Аташдан с двумя фигурами, стоящими прямо, руками опирающиеся на мечи.

I. Определение типов дается по работе R.Göbl, Sasanidische Numismatik, Braunschweig, 1968.

Колонна аташдана посередине повязана лентами, концы которых подняты вверх. Вокруг изображения одинарный точечный ободок. Легенда: слева - wust, (20 г.= 55I г.н.э.), справа -RD -г.Рей.

Хосров I

№ 2I649 - драхма, вес-4,08 г., размер-29/30 мм., с/осей-9 ч.  
Л.ст.Тип I. Изображение лица схематичное. Легенда: как в № 2I654.

Об.ст.Тип 2. Легенда: слева - у'ссу (3I г.= 562 г.н.э.), справа - вУŠ  
г.Бишапур

Хосров I

№ 2I650 - драхма, вес-4,04 г., размер -28/30 мм., с/осей -9 ч.  
Л.ст.Тип I. Легенда: та же.

Об.ст.Тип 2. Легенда: слева - chldh (I4г.=545г.н.э.),справа -вУŠ - г.Бишапур

Хосров I

№ 2I648 - драхма, вес-3,98 г., размер -28/29 мм., с/осей-9 ч.  
Л.ст.Тип I. На шаре две орнаментальные точки.

Об.ст.Тип 2. Легенда: слева - hštah - (I8г.=549г.н.э.),справа -KR - Керман

Хосров I

№ 2I65I - драхма, вес-4,I3 г., размер-28/30 мм., с/осей-9 ч.  
Л.ст.Тип I.

Об.ст.Тип 2. Легенда: слева - pnc1- (45г.=576г.н.э.),справа -yZ<sup>2</sup> - Йезд

Хосров I

№ 2I652 - драхма, вес-4,I0, размер - 29 мм., с/осей-3 ч.  
Л.ст. Как № 2I65I

Об.ст.Тип 2. Легенда:слева - ššwst - (26 г.=557 г.н.э.), справа -hwš<sup>3</sup>

Хосров I

№ 2I653 - драхма, вес-4,09 г., размер -29/30 мм., с/осей-9 ч.  
Л.ст. На шаре две орнаментальные точки.

2 Чтение монограмм на сасанидских монетах далеко не во всех случаях установлено. Ученые, занимающиеся сасанидской нумизматикой, предлагают свои варианты чтения тех аббревиатур, по поводу которых у нумизматов существуют разногласия. Этот монетный двор А.Бивар читает как GB:A.Bivar, A sasanian Hoard from Hilla, NC, vol.III, London, 1963, стр.163; По мнению Гёбля это - монограмма ZR -Зарандж в Систене: R.Göbl, ук.соч., стр.85; М.Мушери, Р.Кюрех и Р.Ризелен считают эту аббревиатуру г.Йездом: М.И.Mochiri, Etudes de Numismatique Iranienne sous les Sassanides, Teheran, 1972; R.Curiel, Un Trésor de monnaies Sasanides Tardiyes au Cabinet des Médailles, BSFN, 28,7,Paris,1973, стр.454; R.Gyselen, Trésor de Monnaies Sasanides Trouve à Suse. Cahiers de la D.A.F.I.7, Paris, 1977, стр.65. Мы также склонны считать эту монограмму г.Йездом, т.к. на сасанидской булле г.Зарандж обозначает zng. Ph.Gignoux, Catalogue des cachets et des bulles sasanides de la Bibliothèque Nationale et du Musée du Louvre, Paris, I4,I.

3 Е.Херцфельд и Р.Гёбль относили эту аббревиатуру принадлежащей Xūzistan-vācār (совр.Ахваз в Хузистане) Э. Herzfeld, Achaemenid Coinage and Sasanian Mintnames, TINC, 1936, с.425. R.Göbl, с.84. По мнению А.Бивара - это провинциальная столица Хузистана, может быть г.Гунде-Шапур, А.Бивар, ук.соч., с.165.

Легенда: читается только справа -hws1wb -Хосров  
Об.ст.Тип 2. Легенда: слева - 32 г.=563 г.н.э., справа - MB - Мерв.

Хосров II (591-628 гг.)

№ 2I655 - драхма, вес-3,8I г., размер - 30 мм.,с/осей - 3 ч.

Л.ст.Тип II.

Погрудной портрет Хосрова II в профиль вправо. Корона в виде двух зубцов, полумесяца, облегающей высокой шапки, крыльев и полумесяца со звездой. Справа от короны - звезда с полумесяцем, слева - звезда. Диадема - в виде двух рядов мелких бусин. В ухе-серьга, состоящая из трех бусин. Прическа-пучок волос. Над плечами - "царские ленты" концами вверх. Над плечами - полумесяцы. На шее - ожерелье. Вокруг изображения - двойной точечный ободок с симметрично расположенными полумесяцами и звездами. Легенда: в две строки-слева - GDN 'pzwt, справа - hslwb - "Да возрастет фарр [слава] Хосрова!"

Об.ст.Тип 2.

Аташдан с капителями и плитами, охраняемый с обеих сторон вооруженной стражей. Фигуры стоят прямо в головных уборах в виде высокой шапки. Колонна аташдана посередине сужена и расширена кверху. Узкая часть аташдана повязана лентами, концами вверх. Слева от пламени - звезда, справа - полумесяц. Вокруг изображения тройной точечный ободок с четырьмя симметрично расположенными полумесяцами и звездами. Легенда: слева -hwmšš<sup>v</sup> - (5 г.=596 г.н.э.), справа - AB<sup>4</sup> - Абаршахр

Хосров II

№ 2I656, драхма, вес-4,05г.,размер-30/3I мм., с/осей - между 8 и 9 чч.

Л.ст.Тип II. Легенда: слева -GDN 'pzwt,справа-hwsrwb -"Насыщенный слабой Хосров!"

Об.ст.Тип 2. Легенда: слева - ŠV' (7г.=598 г.н.э.), справа - нунс<sup>5</sup>

№ 2I557 - драхма, вес-4,16 г.,размер-33/30 мм., с/осей-2 ч.

Л.ст.Тип II. Лицо с бородой и усами.

Об.ст.Тип 2. Легенда: слева - ŠV' (7г.=598 г.н.э.), справа -A3 - Абаршахр

Хосров II

№ 2I658 - драхма, вес -4,1I г.,размер-3I/32 мм, с/осей-9 ч.

Л.ст.Тип II. Изображение схематичное.

Об.ст.Тип 2. Легенда: слева- ŠV' (7г.=598 г.н.э.), справа- všš г.Бишпур

Хосров II

№ 2I659 - драхма,вес-4,15 г., размер-30/3I мм., с/осей-9 ч.

Л.ст.Тип II. С дырочкой у I ч.

Об.ст.Тип 2.Легенда: слева- нунс<sup>v</sup>šš-(5г.=596 г.н.э.), справа - MV - Мерв

Хосров II

№ 2I660, драхма, вес-4,14г.,размер-28/30 мм., с/осей - 9 ч.

4 Мусери читает эту аббревиатуру как AV и относит ее к монетному двору AYRAN -Эран-Хварра-Шапур (Сузы). М.Mochiri, ук.соч. Следует отметить, что на буллах сасанидского времени Абаршахр обозначен 'plštl: P.Si-gnoux, Catalogue des cachets...,I.I: I.5.

5 Этот монетный двор точно не опознается: исследователи считали аббревиатурой Нехавенда и Нахчевана: Е.Нахомов. Монеты Азербайджана, вып.I, Баку, 1959, ст.14 и 32; Мусери читает эту монограмму как VISP -город выстроенный Хосровом Ануширваном (г.Висп-Шад-Хосров) К.Mochiri, ук.соч.

Լ.ստ.Тип II.

Об.ст.Тип 2. У 6ч-точка. Легенда: слева - 'RB' (4г.=595г.н.э.), справа - MRRM  
ART<sup>6</sup> -?

Хосров II

№ 2166I, драхма, вес-4,14г., размер-28/29 мм., с/осей/-3ч.

Լ.ստ.Тип II. Лицо с длинными усами. У 6 ч.-трещина.

Об.ст.Тип 2. Изображение схематичное. Легенда: слева не читается, справа -  
RUM - Г.Рев-Арташир

В рассматриваемом кладе сасанидских монет представлены десять монетных дворов Сасанидского Ирана, находящиеся в Хорасане, Парсе, Кермане, Хузистане и Мидии. Самая ранняя монета клада принадлежит чекану Кавада и отчеканена после 517 года, так как реверс монет этого правителя Ирана имеет двойной ободок с 33 года его правления. Самая молодая монета датируется 7-м годом правления Хосрова II (т.е. 598 годом). Состав монет клада позволяет установить относительные хронологические границы. Следует полагать, что зарытие клада имело место в начале VII века.

Утверждение сасанидской династии в Иране в 20-ых годах III века отразилось на монетном хозяйстве народов Ближнего Востока, в том числе и Закавказья. Денежный рынок Армении, в качестве серебряной монеты располагал, в основном, драхмами, чеканенными сасанидскими шаханшахами в разных областях своей державы. Сасанидская драхма была самой распространенной монетой в Армении ?

Таким образом, монеты, найденные в с.Кохп отражают особенность денежного обращения Армении в VI-начале VII вв.

7. Х.Мушегян. Денежное обращение в античной и средневековой Армении по нумизматическим данным. Автореферат, Ереван, 1975, ст.24-25; Х.Мушегян, Денежное обращение Двина по нумизматическим данным, Ереван, 1962. Несколько случаев находок сасанидских драхм в Армении были зарегистрированы Е.Пахомовым; Е.Пахомов, I, № 49,60; II - № 380, VI-№1559-1560, 1562-1563, 1565-1566, 1569. Смешанным сасанидо-византийским кладам монет, найденных на территории Армении, посвящены статьи: М.И.Камера, К.В.Голенко, Ленинкавский клад сасанидских и византийских монет, ВВ, XIX, М., 1961, ст. 142-193; Х.Мушегян, Обращение сасанидских и ранневизантийских монет в Армении. "Андек Амсорья". Армяноведческий журнал, Вена, 1974, № 7,9, ст. 335-350.

МОНЕТ- НЫЕ ДВОРЫ ГОДЫ	Кавад	Хосров I						Хосров II			Область			
		I4	I8	20	26	31	32	45	4	5		7		
س									I	I				Хорасан
س		I				I				I				Перс
س			I											Керман
س					I									Хузыстан
س										I				Хорасан
س										I				?
س											I			?
س														Мидия
س														Мидия
س														Хузыстан

მ.ანთაძე

ქვახვრელის განძი  
ტაბ. X

1978 წლის ზაფხულში გორის რაიონის სოფელ ქვახვრელში მშენებლობის დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტის განძი, რომელთაგან 10 ცალი თ.სირანიშვილიმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოიტანა. დანარჩენი მონეტების ბედი ჩვენთვის უცნობია. ჩვენს ხელთ არსებული მონეტები ეკუთვნის თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარს, რომელიც თბილისს განაგებდა ჰიჯრის 386 (996)– 424 (1032) წლებში.

არაბები თბილისში VIII საუკუნის დასაწყისიდან ბატონობდნენ, მათი საბოლოო დამკვიდრება ქართლში კი VIII ს. 80-იანი წლებიდან იწყება. თავდაპირველად მათ მთელი აღმოსავლეთ საქართველო ექვემდებარებოდა, შემდეგ ნელ-ნელა ეს ტერიტორია შეიზღუდა და IX ს. დამდგისათვის თბილისის ამირას მხოლოდ ქვემო ქართლი შემორჩა. თბილისის საამირო არაბთა მიერ საქართველოში შექმნილი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული იყო<sup>1</sup>, ხოლო ამირა — „ხელმწიფე ქვეყნის“ ან „მსაჯული ამირა“<sup>2</sup>, რომელსაც აგრეთვე ევალებოდა საარაბო ხარკის აკრეფაც.

IX ს. 80-იან წლებში თბილისის საამიროს ჯაფარიანთა გვარის წარმომადგენელი ჩაუდგა სათავეში და დასაბამი მისცა ჯაფარიანთა დინასტიას. მათ თბილისში 200 წელს იბატონეს. მ.ლორთქიფანიძის სიტყვით, „ჯაფარიანთა ამირებმა შესძლეს ის, რაც ვერ შესძლო შუაბიანთა „სახლის“ ამირათა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა საჰაკმა. მათ თბილისის ამირობა ჯაფარიანთა „სახლის“ მემკვიდრეობით კუთვნილებად აქციეს“<sup>4</sup> და თბილისის ზარაფხანაში საკუთარი მონეტებიც მოჭრეს.

თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი პირველი ომაიადური დირჰემი თარიღდება ჰიჯრის 85 წლით (704–5). იგი ერთადერთია და ინახება ბერლინის მუზეუმში<sup>5</sup>. მომდევნო საუკუნეებში თბილისში მონეტების მოჭრას აგრძელებენ აბასიდები, ხოლო უკანასკნელი ჯგუფი მონეტებისა, რომლებზედაც ხალიფას გვერდით ამირათა სახელებიცაა აღბეჭდილი, ჩნდება X ს. მეორე ნახევარში<sup>6</sup>. ესენია: მანსურ იბნ ჯაფარის ჰიჯ. 342 წ. (953), ჯაფარ იბნ მანსურის ჰიჯ. 364 წ. (974), 366 წ. (976), 370 წ. (980) წწ. და ალი იბნ ჯაფარის ჰიჯ. 386 წ. (996) მოჭრილი დირჰემები. თბილური დირჰემების წყალობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯაფარიანთა გვარეულობას ფეხი მაგრად მოუკიდებია X ს. II ნახევრის პირველივე წლებიდან, ე.ი. ცენტრალური (ხალიფათა) ხელისუფლების საბოლოო დასუსტებისა და დაქვეითების შემდეგ<sup>4</sup> როგორც ჩანს, ამირა თავს სრულიად დამოუკიდებლად თვლის და

- 1 მ.ლორთქიფანიძე, თბილისის საამიროს ისტორიიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი II, თბ., 1951, გვ. 185.
- 2 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 86.
- 3 ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, თბ., 1936, გვ. 40.
- 4 მ.ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 196.
- 5 იქვე.
- 6 დ. კაპანაძე, X ს. თბილური დრამა ალი ბენ ჯაფარისა. სპ.სახ. მუზეუმის მოამბე XII-ბ, გვ. 184.
- 7 იქვე, გვ. 187.

ჭრის საკუთარი სახელით ვერცხლის მონეტას. ვერცხლის ფულის მოჭრის ფაქტი უკვე მისი და მოუკიდებლობის მაჩვენებელია, რადგან ვერცხლის ფულის მოჭრა მხოლოდ ასეთ მმართველს შეუძლია. ამ დროიდან მოყოლებული ისინი უკვე საუბროდ აცხადებენ თავიანთ და მოუკიდებლობას და სახალხოფოს ხარკს აღარ უხდიან. მაგრამ მდგომარეობა თანდათან იცვლება და თბილისის ამირას უფლებებსა და ტერიტორიას ნელ-ნელა ზღუდავს გაერთიანებული საქართველოს მეფე და XI საუკუნეში ისინი საქართველოს მეფის მოხარკეები ხდებიან.

როგორც აღინიშნა, ქვახვრელას განძის მონეტები ეკუთვნის ალი იბნ ჯაფარს, რომლის მონეტები შეისწავლა და გამოაქვეყნა დ.კაპანაძემ 1944 წ. და 1961 წ.<sup>10</sup> 1953 წ. თბილისში მეტეხის ხიდიან აღმოჩენილი მონეტები ალი იბნ ჯაფარის მმართველობის ბოლო წლებს მიეკუთვნება და თარიღდება ჰიჯ. 418 წ. (1027 წლით)<sup>11</sup>. ამავე წლით თარიღდება ქვახვრელაში ნაპოვნი ვერცხლის მონეტებიც. ისინი, ისევე როგორც 1953 წ. აღმოჩენილი მონეტები, ტიპოლოგიურად ძალზე განსხვავდებიან საყოველთაოდ ცნობილი არაბული ღირებუებებისაგან როგორც ზედწერილების შესრულების, ასევე მონეტის მოჭრის ტექნიკის მხრივაც (წონა, ზომა და გარეგნული ფორმაც კი). აი, რას წერს ამის შესახებ დ.კაპანაძე: „მათ დასამზადებლად გამოყენებულია მაღალხარისხის სპილენძი, რომელიც იმდენად სქლადაა დავერცხლილი, რომ მათი მიწაში ხანგრძლივად ყოფნის მიუხედავად და მათ უმეტეს ქიმიური წმენდის შედეგადაც კი მონეტის გარეგნული ფორმა ოდნავადაც არ შეცვლილა და ახლაც ვერცხლის მონეტის შიდაპეჭილებას ტოვებს.“<sup>12</sup> ჩვენი საცვლევნი განძი მიწაში ყოფილა გაბნეული, ჭურჭელი კი, რაშიც უნდა ყოფილიყო ეს მონეტები მოთავსებული, არ შეუნიშნავთ. შესაძლოა ისინი ქსოფლის ქისაში ან თაგის დროზე ჩაყრილი, რომელიც სამწუხაროდ დღემდე არ შემონახა. როგორც უკვე ითქვა, მონეტები შესრულების ტექნიკის მხრივ ძალზე განსხვავებული არიან აღრინდელი ღირებუებებისაგან. დ.კაპანაძე მათ შესახებ თავის დროზე წერდა: „სამონეტო ლითონის შეცვლამ, მონეტის ფორმისა და წონითი სტანდარტის დარღვევამ, ტექნიკური შესრულების გაუარესებამ, რაც იმით გამოიხატა, რომ შტამპი ზოგ შემთხვევაში ძალზე სუსტადაა დარტყმული, და რელიეფურად აღბეჭდავს წარწერებს; ზოგჯერ კი ისე ძლიერად, რომ ზედწერილების გადაადგილებაც კი ხდება“;<sup>13</sup> რაც შეიძლება ხელისნის უყოღინარობით იყო გამოწვეული. ასეა თუ ისე, ყოველივე აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ალი იბნ ჯაფარის სახელით მოჭრილი ღირებუები ძალზე მძიმე ეკონომიური კრიზისის ან სამხედრო წარუმატებლობის დროს იჭრებოდა. ამას უნდა დავთოს ის გარემოებაც, რომ ამ დროს მთელს აღმოსავლეთ და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარეობდა ვერცხლის კრიზისი, რომლის კვალი ჩვენს განძსაც კარგად ემჩნევა. ქვახვრელაში აღმოჩენილ მონეტებზე ჩვენ მიერ მოტანილი კაპანაძის მოსაზრება მთლიანად არ ვრცელდება, შესაძლებელია იმის გამო, რომ ეს განძი მცირერიცხოვანია, სულ ათიოდე ცალი, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ზედწერილები კარგად ამოვიკითხოთ და მონეტები ზუსტად დავათარილოთ.

ვიძლევით მონეტათა აღწერილობას:

№ I განძების ფონდი (გ.ფ.) №18786, წონა 5,85გ, ზომა 23/24 მმ.

შუბლი: ოდნავ გაცვეთილი, ცენტრში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

ألى بن جعفر  
ألى بن جعفر  
ألى بن جعفر  
არ არის  
ღმერთი გარდა ალაჰისა  
არ ჰყავს მას თანაზიარი

ღეგანდას შემოვლებული აქვს რკალი. მონეტის არეზე სიმეტრიულად განლაგებულია ჯერ-ჯერობით ყველაათვის გაურკვეველი ნიშანი

რკალს გარეთ ირგვლივ მოთავსებული უნდა იყოს ზედწერილი, რომელიც მიგვანიშნებს

8 მ.ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., გვ.199.  
9 იქვე.  
10 დ.კაპანაძე, დასახ.ნაშრ., დ.Капанадзе.Клад монет начала XI в. Тбилисского эмира Али ибн Джафар-эпиграфика Востока, XIV; М.1961.  
11 იქვე, გვ.74.  
12 Д.Капанадзе, მითითებული ნაშრომი, გვ.72.  
13 იქვე, გვ. 73.

მოჭრის ადგილსა და თარიღს, მაგრამ მონეტა გაცვეთილია და ამოკითხვა ძნელდება.

ზურგი: ზედწერილი ნაწილობრივ იკითხება

المظفر المنصور ابو الحسن علي بن جعفر  
გამარჯვებული და უძღველი აბულ-ხანსან ალი იბნ ჯაფარი.

მონეტის გარშემოწერილობა გაცვეთილია.

2. გ.ფ. №18787, წონა 6,36 გ, ზომა 22/24 მმ.

შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

لا اله الا الله  
არ არის ღმერთი  
الله واحد  
გარდა ალაჰისა  
لا شريك له  
არ ჰყავს მას თანაზიარი  
القادر اله  
ალ-კადირ ბილ-ლაჰი.

ამ მონეტაზეც სიმეტრიულად განლაგებულია ზემოაღნიშნული ნიშანი.

რკალს გარეთ მოთავსებული ზედწერილი გაცვეთილია. ნაწილობრივ იკითხება თარიღი 18 .

اربع مائة - 400 არ იკითხება  
سنه ثمان وعشتر  
ესე იგი მონეტა მოჭრილია ჰიჯ. 418 წ.

ზურგი: ოდნავ გაცვეთილი, დაუქილი. ზედწერილი ოთხ სტრიქონზე

محمد رسول الله  
ამირ المظفر المنصور  
ابو الحسن  
علي بن جعفر  
მუჰამედი მოციქულია ალაჰისა  
ემირი უძღველი და გამარჯვებული  
აბულ-ხანსან  
ალი იბნ ჯაფარი.  
ირგვლივ რკალი.

3. გ.ფ. № 18788, წონა 4,24 გ, ზომა 21მმ.

შუბლი: ისეთივე როგორც № 18787. ოდნავ გაცვეთილი.

ზურგი: ნაწილობრივ გაცვეთილი.

محمد رسول الله  
الامير المظفر  
المنصور ابو الحسن  
علي بن جعفر  
მუჰამედი (მოციქულია ალაჰისა)  
ემირი უძღველი,  
გამარჯვებული, აბულ-ხანსან  
ალი იბნ ჯაფარი  
ზედწერილს გარს უფლის რკალი.

4. გ.ფ. № 18789, წონა 4,31 გ, ზომა 20-23 მმ.

შუბლი: გაცვეთილია. ზედწერილები ნაწილობრივ იკითხება. მონეტა დაცვერცხლილია და სავსებით ამართლებს ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას.

ზურგი: ისეთივე როგორც № 18788. ნაწილობრივ გაცვეთილი.

5. გ.ფ. № 18790, წონა 2,42 გ, ზომა 18-29 მმ.

შუბლი: ოდნავ გაცვეთილი. იკითხება

لا اله الا الله  
არ არის ღმერთი  
الله واحد  
გარდა ალაჰისა  
لا شريك له  
და არ ჰყავს მას  
თანაზიარი.

ზურგი: გაცვეთილია. ნაწილობრივ იკითხება.

6. გ.ფ. № 18791, წონა 3,31 გ, ზომა 20 მმ.

შუბლი: ისეთივე სამსტრიქონიანი ზედწერილი, როგორც № 18790.

წარწერის ირგვლივ ოთხივე მხარეს ერთმანეთის მოპირდაპირედ განლაგებულია ნიშანი -

ღეგენდას შემოვლებული აქვს ზედწერილი, რომელიც მოჭრის ადგილსა და თარიღს მიგვანიშნებს. თარიღი ნაწილობრივ ასე იკითხება:

سنه عشر اعمائة  
მონეტის ზედწერილის მთლიანი სახე ასეთი უნდა იყოს: **الله حارب عددا الجرم بنفليس**  
სახელითა ალაჰისა მოიჭრა ეს ღირჰემი თბი-  
ლისში წელსა ოთხას ოცრამეტსა.

ზურგი: ნაწილობრივ გაცვეთილი, იკითხება

محمد رسول الله  
الامير المظفر  
المنصور ابن الحسن  
علي بن جعفر

მუჰამედი მოციქულია ალაჰისა  
ემირი უძღვევლი,  
გამარჯვებული აბულ ჰასანი  
ალი იბნ მუჰამედი.

7. გ.ფ. № 18792, წონა 3,30 გ, ზომა 19/20 მმ.

შუბლი: ისეთივე სამსტრიქონიანი ზედწერილი, როგორც № 18790.

ზედწერილის ოთხივე მხარეს ერთმანეთის სიმეტრიულად აღბეჭდილია  
ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული ნიშანი. 6

ზედწერილს გარს უვლის რკალი, რკალს გარეთ ზედწერილობა ნაწი-  
ლობრივ გაცვეთილია. იკითხება: **الله بنفليس**  
სახელითა ალაჰისა მოიჭრა ეს ღირჰემი ქ.თბილისში.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედაწერილი, როგორც № 18790  
ირგვლივ რკალი.

8. გ.ფ. № 18793, წონა 3,74 გ, ზომა 19 მმ.

შუბლი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الله  
الله وحده  
الله  
القادر بالله

არ არის დმერთი  
გარდა ალაჰისა  
არ ჰყავს მას თანაზიარი  
აღ კადირ ბილლაჰი.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ზედწერილი, ისეთივე როგორც № 18788.

9. გ.ფ. № 18794, წონა 3,15 გ, ზომა 17/18 მმ.

შუბლი: ისეთივე, როგორც № 18790. ზედწერილის ირგვლივ ისეთივე ნიშანია,  
როგორც ზემოაღწერილ მონეტებზე. ლეგენდას გარს უვლის რკალი, რომლის  
გარეთ მოთავსებულ ზედწერილზე ვკითხულობთ (400- **اربعماية**)  
ერთეულის და ათეულის აღმნიშვნელი ციფრები არ შეიმჩნევა.

ზურგი: ისეთივე, როგორც № 18788. ოღნაგ გაცვეთილი.

10. გ.ფ. № 18795, წონა 1,97 გ, ზომა 16 მმ.

შუბლი: ისეთივე, როგორც № 18790.

ზურგი: ისეთივე, როგორც № 18790.

ჩვენ მიერ შესწავლილი განძის მნიშვნელობა იმით აიხსნება, რომ თბილისის ამირა  
ალი იბნ-ჯაფარის მონეტების აღმოჩენათა შემთხვევა ჩვენ მიწა-წყალზე დიდ იშვიათო-  
ბას წარმოადგენს (აღმოჩენათა სამი შემთხვევაა ფიქსირებული: ორი თბილისში, 1932 წ.  
და 1953 წ. ერთიც ქვახვრელაში-1978 წ.).

დ.კაპანაძის დასკვნით, 1953 წ. მეტეხის ზიდთან აღმოჩენილი მონეტები შესა-  
ძლებელია საბაუოს მოხელის მონღოებულ და აქტიური შეგროვების შედეგია.<sup>14</sup> რაც  
შეეხება ქვახვრელას განძს, ჩვენი აზრით, ეს იმ ხარკისათვის გაღებული თანხის ნა-  
წილი უნდა იყოს, რომელსაც XI ს. თბილისის ამირა უხდიდა გაერთიანებული საქართვე-  
ლის მეფეს. შემდეგში კი რაღაც მიზეზის გამო ეს ფული განძად იქცა.

14 Д.Капанадзе, მითითებული ნაშრომი, გვ. 78.

М. Антадзе

Квахвრельский клад

Резюме

(Табл. X)

В 1978 г. в с.Квахврели Горийского р-на Груз.ССР были найдены серебряные монеты Тбилисского эмира Али ибн-Джафара, которые были переданы в Гос. музей Грузии т.Сиранишвили.

Арабы господствовали в Тбилиси с VIII в., с этого времени городом правил эмир назначаемый халифом правитель, одним из обязанностей которого был сбор дани для арабов. С 80-их годов IX в. эмиратством в Тбилиси овладел предстатель семейства Джафаридов, основавший здесь династию, правившая около 200 лет городом. Джафаридские эмиры объявили себя независимыми правителями и начали выпускать на тбилисском монетном дворе монеты, на которых проставляли рядом с именем халифа свои имена. Это были диргеми: Маесура ибн -Джафара - 342 г. хиджри (953 г.), Джафара ибн Мансура - 366 и 370 гг. (974,976,980 гг.) и Али ибн Джафара - 386 г. (996 г.) Факт выпуска этих серебрянных монет является показателем независимости указанных эмиров, которые даже со второй половины X в. перестали отдавать халифу собранную ими дань.

Однако с XI в. права и территория эмиров начинают ограничиваться царем объединенной Грузии, которому эмиры вынуждены теперь выплачивать дань.

Монеты, найденные в Квахврели аналогичны тем монетам, которые были обнаружены в Тбилиси в 1953 г. а затем изучены и опубликованы профессором Д.Г. Капанадзе. Вообще же монеты Али ибн Джафара типологически сильно отличаются от известных обычных арабских диргемев как исполнением своих надписей, так и техникой чеканкой ( а также весом, размерами и внешним видом). По поводу их Д.Г.Капанадзе писал "удар штемпеля то слишком слаб и недостаточно отчетливо в рельефно оттискивает надписи, т., наоборот, так силен, что происходит сдвигание и перемещение надписей."

Исходя из вышеизложенного, можно полагать, что монеты Али ибн-Джафара чеканились во время очень тяжелого экономического кризиса или военных неудач, усугублявшихся серебряным кризисом, охватившим все страны Ближнего Востока. Указанные нами обстоятельства хорошо отображаются и на квахврельских монетах.

На всех 10 публикуемых монетах можно прочесть надписи, дату (418 г.хиджри) и место чекана (тбилиси). На основании изучения клада устанавливается одна из хронологически вех правления Али ибн - Джафара - 996 г. (-1027 г.).

Научное значение клада велико, ибо случаи находок монет Али ибн-Джафара на территории Грузии крайне редки: на сегодняшний день известны лишь три таких случая: два в Тбилиси - в 1932 и 1953 гг. и одна в Квахврели .

По предположению Д.Г.Капанадзе такие монеты, найденные в Тбилиси в 1953 г. " возможно, являлись сбережением слишком старательного и ретивого сборщика податей".

Что же касается квахврельского клада, то по нашему мнению он должен являться частью сумм, уплачиваемой в XI в. Тбилисским эмиром в виде дани царю Грузии, оказавшейся затем в силу каких то причин кладом.

თ. ქუთელია

ირანული ხმალი საქართველოს სახელმწიფო  
მუზეუმის ფონდიდან  
(ტაბ. XI-XII)

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების მიმდინარე ფონდში ინახება ქარქაშიანი ხმალი (ინვენტ. №4:969, ტაბ. XI. I, 2), რომელიც ადრე თბილისელ მოქალაქეს ალექსანდრე ანდრიას ძე ჯამაშვეს ეკუთვნოდა. ხმალი ფორმით ირანულია: ციწრო მსუბუქი პირი დარტყმის ცენტრამდე სწორია; ქვედა მესამედში კი ძლიერ იხრება. კოტაში შესულ დაწვრილებულ ყუნწს ორ მხრივ სპილოს ძვლის ფირფიტები აქვს დაკრული ლითონის ორი მოქლონიო. კოტა მარცხნივ გახრილია და მთავრდება რკინის ქუდით, რომლის შევრილები ზუსტად ჯდება ძვლის კოტაზე და იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ქუდი იყოს ჩაცმული ტარზე. კოტას ქვემოთ ხმლის ვადაზე დაკრულია რკინის ორი რომბისებური ფორმის ფირფიტა, რომელთა შორის ტალღური კუთხეები გაწელილია და ბოლოვდება კონუსური ბურცობებით, ვერტიკალური კუთხეები კი წაწვეტილია. ტყავგადაკრული ხის ქარქაშის ბოლო მოსედავებულ ვერცხლშია ჩასმული. ხმლის სიგრძე 92 სმ. ქარქაშის ზედა ნახევარზე შემორტყმულია რკინის ორი სალტე. ოვალური ფორმის სალტეებზე დამაგრებულია თითო დაფანჯრული ფირფიტა, რომლებიც სათასმე რკალებით მთავრდება.

ხმლის პირი გამოჭედილია დამასკური ფლადისაგან, რომელიც ფონ-ვინკლერის კლასიფიკაციით უმაღლესი ხარისხისა უნდა იყოს: მუქ ფონზე კარგად შეიმჩნევა ღია ნაცრისფერი ტალღები I. როგორც ხმალი, ისევე ქარქაში უხვადაა შემკული წარწერებით, რომლებიც შეიცავენ ირანის შაჰების სახელებს, შიიტური მრწამსის საღიდეგელ ლექსებს, ყურანიდან ამოღებულ სალოცავ ლოზუნგებს. წარწერები მოთავსებულია ფიგურულ ბუდეებში ხმლის კოტაზე, ქუდზე, ვადაზე, ქარქაშსა და პირზე. პირზე წარწერები შესრულებულია ოქროს ზარნიშით და ნაჩხვლეტი წერტილებით, სხვა წარწერები კი ამოკვეთილია. ჩვენ სწორედ წარწერებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ქარქაშზე შემორტყმული ლითონის ორი სალტე ოთხ მედალიონს ქმნის, თითოეულზე ამოკვეთილია ერთნაირი ფიგურული ბუდე, რომელიც აქეთ-იქით სამყურა ფოთლით მთავრდება. ბუდეებში მოთავსებულია წარწერები (ტ. XI, I; XI, 4, 5). ქარქაშის წინა მხარის ქვედა მედალიონზე იკითხება: *عليه سطر العلي* ზედა მედალიონზე კი: *عليه سطر العلي* ორივე სტრიქონი შეადგენს არაბულ ორ ეტაპიან ლექსს-ბეითს: „მოუხმე ალის, სასწაულების მოქმედს, მწუხარების უამს მასში ჰპოვებ ნუგეშს“. იგივე ბეითი მეორდება ქარქაშის უკანა მხარის მედალიონებზეც. ეს ლექსი ცნობილია ირანის სეფიანი შაჰის ისმაილ I (1502-1524) ვერცხლის მონეტებიდან და საერთოდ პირველი ლექსია, რომელიც გვხვდება სეფიანი შაჰების მონეტებზე. სეფიანთა მონეტებზე არაბულენოვანი ლექსის მოთავსება მიჩნეულია წინა საუკუნეების სამონეტო ტრადიციის გაგრძელებად, რადგან

I Фон Винклер. Руководство к истории, описанию и изображению ручного оружия с древнейших времен до начала XIX в. СПб, 1894, г. 296.

XI-XVI საუკუნისათვის არაბული ენა ირანში გაუგებარეც კი იყო<sup>2</sup>.

ხმლის ქუდზე ოვალურ ბუდეში წერია რელიგიური მოწოდება (ინვოკაციო, სურ. 3):

يا علي يا علي      ო, ალი! ო, მეჰამედ!

კოტას წინა გვერდზე, იქ სადაც ხმლის ყუნწი ჩანს, ამოკვეთილია სამი ერთნაირი ფორმის ჩარჩო: მარჯვენადი, რომლის ვიწრო გვერდები რკალიანია. თითოეულ ჩარჩოში რელიგიური შეძახილია მოთავსებული:

„ო, ალაჰ! ო, მეჰამედ! ო, ალი!“ ვადის ორივე მხარეს ისეთივე ბუდეებში, როგორც ქარქაშის მედალიონებზეა, მოთავსებულია შემდეგი წარწერები: წინა მხარე  $\text{الله أكبر}$  (გ. XI, 6) ეს ფრაზა ამოღებულია ყურანიდან (XI, 13) და მეორდება ხმლის პირზე. მსგავსი ლოზუნგი გვხვდება სეფიანთა პირველი შაჰის ისმაილ I (1502-1524) ვერცხლის მონეტებზე<sup>3</sup>. უკანა მხარე:

$\text{الحسين الرضيع}$  „სახელითა ღვთისაითა მოწყალისა და შეწყნარებლისა“ (გ. XI, 7) ხმლის პირზე მოთავსებულია წარწერებიანი ექვსი ჩარჩო (ზედა ჩარჩო ვადიდან 19 სმ მანძილზე). როგორც ჩარჩო, ისევე წარწერებაც ოქროს ზარნიშითაა შესრულებული.

ექვსივე ჩარჩო ერთი ფორმისაა და წააგავს კოტაზე მოთავსებულ წარწერათა ჩარჩოებს. თითოეულს, გარდა პირველისა, მარცხენა მხარეს რკალიდან ორფურცელა მცენარე გამოსდის, თითქოსდა ერთმანეთთან დასაკავშირებლად (გ. XI, 8.) ხუთ ჩარჩოში მოხსენებულია საპატრიო ტიტულით (ლაკაბით) -  $\text{أبي طالب}$  სეფიანთა დინასტიის ყველაზე გამოჩენილი შაჰები: ისმაილ I (1502-1524), თაჰმასპ I (1524-1576), აბას I (1587-1629) სულეიმან I (1694-1722).

I ჩარჩო:  $\text{أبي طالب}$  „სიწმინდის ხელმწიფის მონა ისმაილი.“ ისმაილ I მონეტებსა და მის პირად ბეჭდებზე მსგავსი წარწერა არა გვხვდება<sup>4</sup>. პირველად ეს საპატრიო ეპიტეტი ისმაილ I მომდევნო შაჰის, თაჰმასპ I საბუთებზე დასმულ პირად ბეჭდებზე იკითხება. მეორდება იგი მეჰამედ ხოდაბანდეს შვილის სულთან ჰამასპ ბეჭდებზე, ხოლო შაჰ აბას პირველიდან მოყოლებული იგი თითქმის ყველა შაჰის მონეტებსა და ბეჭდებზეა მოცემული<sup>5</sup>.

II ჩარჩოში იგივე წარწერაა, რაც ვადის წინა მხარეზე:

„გამარჯვება ჩემი ალაჰის შეწვევით მოახლოებულია“ (ყურანი XI, 13).

III ჩარჩო:  $\text{أبي طالب}$  „სიწმინდის ხელმწიფის მონა თაჰმასპი“

IV ჩარჩო:  $\text{أبي طالب}$  „სიწმინდის ხელმწიფის მონა აბასი“.

V ჩარჩო:  $\text{أبي طالب}$  „სიწმინდის ხელმწიფის მონა სულეიმანი“.

VI ჩარჩო:  $\text{أبي طالب}$  „სიწმინდის ხელმწიფის მონა ჰუსეინი“.

ვადიდან 6 სმ დაშორებით ხმლის პირზე ნაჩხველტი წერტილებით გამოყვანილია ოთხკუთხა ფიგურული ჩარჩო და ნუშისებური ბუდე, ე.წ. „ზადამი“. ორივეში ამავე წესით შესრულებულია წარწერები (გ. XI, 9.) ბუდე „ზადამი“ შუა აზიასა და ირანში განკუთვნილი იყო მხოლოდ პრივილეგირებული პირების სახელების მოსათავსებლად<sup>6</sup>. ამ ჩარჩოში მოთავსებულია წარწერა:  $\text{أبي طالب}$  „სიწმინდის ხელმწიფის მონა აბასი“ ე.ი. იგივე ტექსტი, რაც მოცემულია ზარნიშით შესრულებულ ერთ-ერთ წარწერაში (იხ. ზემოთ IV ჩარჩო). ოთხკუთხა ფიგურულ ჩარჩოში კი წერია -  $\text{كلب جلع كلب}$  გააკეთა ქელბალიმ. ქელბალი ხელოსნის სახელი უნდა იყოს.

შაჰ აბას I (1587-1629) დროს ირანში განსაკუთრებულ განვითარებას აღწევს

2 Codrington A manual of musliman numismatics, London, 1964, გვ. Rabino di Bergumale, Medals and Seals of the Shaks of Iran (1502-1941). Cambridge. 1945 გვ. 27.; Д о б р н и н М.А. Стихотворные легенды на монетах сефевидов. Эпиграфика Востока, 1953, гв. 66.  
3 Rabino... დასახ. ნაშრომი, გვ. 27.  
4 „სიწმინდის ხელმწიფე“ შიიტების სათაყვანებელი იამი ალი. R. St. Picol The Coins of the Shaks of Persia. London, 1887, გვ. lXVIII.  
5 Rabino... დასახ. ნაშრომი, გვ. 32, 33.  
6 M a s s o n В. Старинная персидская сабля 1017 г. хиджры, Эпиграфика Востока, 1963, გვ. 93.

იარაღის, და, კერძოდ, ხმლების წარმოება. თვით შაჰ აბასის კარზე მუშაობდნენ სახელ-  
განთქმული ხელოსნები ასაღულა და ძე მისი ქელბალი, მაგრამ ჩვენი ხმალი შაჰ აბას  
პირველის დროინდელი არ უნდა იყოს. როგორც აღმოსავლური იარაღის სპეციალისტებს აქვთ  
შენიშნული, ირანში ხელოსნის სახელისა და თუნდაც იმ ქალაქის მითითება, საიდანაც  
ესა თუ ის ხელოსანია წარმოშობით, არ კმარა იარაღის გაკეთების დროისა და ადგილის  
დასადგენად. ასაღულასა და ქელბალის სახელით უამრავი ირანული ხმალია აღნიშნული და,  
მიუხედავად იმისა, რომ მათ თითქმის ყველა შემთხვევაში აბასის ბეჭედიც ახლავს,  
ძნელია ყველა ამ ხმლის ასაღულასა და ქელბალისთვის მიკუთვნება. XVII საუკუნიდან  
იარაღის კეთების ოსტატობამ ირანში მკვეთრად იკლო და იმისათვის, რომ ხელოსანს ად-  
ვილად გაეყიდა თავისი ნახელავი, იგი აყალიბებდა მას წარწერებით. ამ მოსაზრების  
ერთ-ერთი უტყუარი საბუთია ჩვენი ხმალიც.

როგორც ზემოთ დავინახეთ, მასზე მოთავსებულ წარწერებში მოხსენიებულია სეფიანთა  
დინასტიის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები, დაწყებული XVI საუკუნიდან ამ  
დინასტიის დამხობამდე, XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე. თუმცა პირზე განსხვავებული  
წესით წერია ქელბალის სახელი და გამოსახულია აბას I ბეჭედი, მაინც ძნელია ვივარა-  
უდოთ, რომ თავდაპირველად ხმალზე მხოლოდ ეს ორი წარწერა იყო და შემდეგ მოათავსეს  
სხვა დანარჩენი, როგორც პირზე, ასევე ვადასა და ქარქაშზე. შაჰ აბას I დროინდელი  
ხელოსანი კი, ცხადია, XVIII საუკუნის შაჰის სახელს ვერ ამოკვეთდა. XVIII საუკუნეზე  
პიუთითებს წარწერების ხელიც. ასეთი დაუდევარი და უღაზაო ხელწერა არ არის დამახა-  
სიათებელი XVI-XVII საუკუნეებისათვის.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის იარაღების ფონდში დაცულ სამ ხმალზე (ინვენტ.  
№12-26/47, 40-26/156, 40-26/178), რომლებიც ასაღულას სახელითაა აღნიშნული, მოჭე-  
ბულია რიცხვები: II8, II5, I94, რომლების ალბათ თარიღს მიუთითებენ. თუ ხმალს შაჰ  
აბასის დროინდელ ასაღულას ნახელავად მივიჩნევთ, მაშინ აქ მოკვეთილი რიცხვებიდან  
მხოლოდ ასეთი ვარიანტი გამოდგება: IOI5, IOI8 (შესაბამისად: ჩვენი წელთაღრიცხვის  
წ.წ. 1606-7, 1609-10). მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ექსპონატზე (ინვენტ. №1810),  
რომელიც ასაღულას მიეწერება, მოკვეთილია თარიღი II89 (1775-6). ამგვარად, ირკვევა,  
რომ არც ამ თარიღებს აქვთ რეალური მნიშვნელობა, რადგანაც არ ეთანხმება წარწერაში  
მოხსენიებულ პირთა სიცოცხლის წლებს. საინტერესოა პარიზის სამხედრო მუზეუმში დაცული  
ერთი ირანული ხმალი, რომელიც ჩვენი ხმლის ანალოგს წარმოადგენს, ისევე როგორც ჩვენს  
ექსპონატზე, პარიზულ ხმალზეც „ბადაშიში“ აბასია მოხსენიებული, ფიგურულ ბუდეში კი  
ხელოსანი ასაღულა, იქვეა რიცხვი II2, ხმლის პირზე ოქროს ზარნაშით ოთხკუთხა ჩარჩოებ-  
ში საპატიო ეპიტეტით მოხსენიებულია ირანის შაჰები: აბას I, სულეიმან I და ჰუსეინ I.  
ამასთანადავე აქაც ნაყალბევ ხმალთან გვაქვს საქმი<sup>8</sup>

ამგვარად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეებზე არქეოლოგიის  
განყოფილებაში დაცული ხმალი, ისევე როგორც მისი პარიზული ანალოგი, XVIII საუკუნეში  
უნდა იყოს გაკეთებული, მაშინ, როდესაც ირანის სახელმწიფოს ძლიერება საკმაოდ იყო  
შერყეული. ხელოსანს უჯდია შეექმნა ნივთი სეფიანთა დინასტიის სადიდებლად. ხმალი  
პრეტეიული იარაღია და ამიტომაც მიაწერდნენ მას სახელოვან ხელოსანს და ასევე არა-  
ნაკლებ სახელოვან შაჰს, ირანის ნაციონალურ გმირს აბას პირველს.

7 Императорский эрмитаж. Указатель отпеления средних веков и эпохи возрожде-  
ния, собрания оружия. Составитель А.Ленц, СПб, 1908, гл. 16.  
8 Armes blanshess de Islam. L'ABC collectionneur. Islam les Armes  
blanshes de l'Atlantique a Lindus, Paris, 1975. გვ. 77

Т.С. КУТЕЛИЯ

Персидская сабля из фондов Государственного музея Грузии

Резюме

(Табл. XI-III)

В отделе средневековой археологии Гос. музея Грузии хранится иранская сабля. (инвент. № 4 : 969) из дамасской стали высшего качества (по классификации Фон-Винклера) в ножках, кончик которого оправлен в черное серебро. Сабля и ножи снабжены многочисленными надписями, выполненными в технике резьбы (на ножках и рукоятке), золотой насечки и точеного накола (на клинке).

В четырех медальонах по обеим сторонам ножен дважды повторяется арабское двустишие (бейт) с восхвалением шиитского имама Али, которое впервые применено на монетах Шаха Исмаила I.

На головке рукоятки и на черенке сабли помещены религиозные воззвания к Аллаху, Магомеду и Али, а на обеих сторонах крестовины - цитаты из Корана.

На клинке в шести картушах помещены надписи, выполненные золотой насечкой. Одна из них содержит цитату из Корана, остальные - имена пяти сефевидских шахов: Исмаила I (1502-1524), Тахмасба (1524-1576), Аббаса (1586-1629), Сулеймана I (1669-1694), и Хуссейна I (1694-1722), с почетным титулом лакаб-бом.

На клинке имеются еще две надписи, выполненные точечным наколом: в баде помещено имя и почетный титул шаха Аббаса I, а в фигурной рамке - имя мастера-сабельщика Келбали, работавшего при дворе Шаха Аббаса I.

Рассмотренная сабля, также как и аналогичные ей сабли из собраний ГИМ, парижского Военного музея и др., является подделкой XVIII века: их во множестве изготавливали в Иране, снабжая подписями прославленных мастеров эпохи шаха Аббаса.

## ნ.ქანთარია

### მნიშვნელოვანი გამოკვლევა ძველი ქართული ქალაქების შესახებ

(ლ.ჭილაშვილი — „კახეთის ქალაქები“)

„კახეთის ქალაქები“ ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის პირველი სერიოზული მონოგრაფიაა გვიანი შუა საუკუნეების ქართული ქალაქების შესახებ. იგი ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგია და მას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ 60-იანი წლების დასაწყისიდან განხორციელებული სხვადასხვა ქალაქების ვიზიტები, გარდა იმისა, რომ ავტორის მიერ ჩატარებული სხვადასხვა სახის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებისა, ავტორის მიერ ჩატარებული სხვადასხვა სახის არქეოლოგიური, არქიტექტორული, ტოპონომიკური და სხვა) ისტორიული ჰერეთ-კახეთის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ავტორს არაერთგზის აქვს დაზვერვითი და ადგილზე შესწავლილი შირვანის, შაქის, შემახის, დაღესტნის ძეგლების დიდი ჯგუფი.

ასე რომ, ავტორმა შეისწავლა საკმაოდ ვრცელი რეგიონი (გარე და შიდა კახეთი, შირვანი, შაქი, შემახა, დაღესტანი და სხვა) და მოიპოვა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალა. ყოველივე ამან ავტორს მისცა შუა საუკუნეების, კერძოდ, XIV-XVII სს. ქართული ქალაქების ცხოვრების თავისებურებათა სრულყოფილად განხილვის საშუალება. განსაკუთრებული ყურადღება, რა თქმა უნდა, გამახვილებულია უშუალოდ საკვლევი საკითხზე — კახეთის ქალაქებზე.

„კახეთის ქალაქები“ ქართული ქალაქების შესწავლის დიდმნიშვნელოვანი ეტაპია, სადაც, არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით, შემუშავებულია გვიანი შუა საუკუნეების ქართული ქალაქების განვითარების გზა და თავისებურებანი იმ სოციალური და პოლიტიკური ეკონომიკური სურათის ფონზე, რაც დამახასიათებელი იყო ამ დროის საქართველოსათვის, კერძოდ, კახეთის და მოუკიდებელი სამეფოსათვის. რომ ეს სურათი დამაჯერებლად ყოფილიყო წარმოდგენილი, ავტორი ქართული ქალაქის განვითარების ცალკეულ ეტაპებს იძლევა განვითარებული ფეოდალური ხანიდან მოკიდებული; ძირითადად კი XIII ს. შუახანებიდან, როდესაც უცხოელთა ბატონობის პირობებში იზრდება ტენდენციები ქალაქმფლობელობის დაკანონებული და მთავარი ფორმის შეცვლისა. ასე თანდათანობით მივლივართ, ქალაქების დაცემისა და შემდგომ კი და მოუკიდებელი სამეფოს აღმოცენებისას, ახალი ქალაქების გაჩენის თუ ძველების აღორძინების ისტორიულ ფაქტთან, რაც კარგად დასტურდება კახეთის ქალაქების მიხედვით. ავტორის დაკვირვება აღნიშნულ საკითხებზე და მეცნიერული დასაბუთება შესაბამისი მასალების მოშველიებით. მეტად ორიგინალურად გამოიყურება და ის ახალი სიტყვაა ქართული ქალაქების შესწავლის ისტორიაში; ნაშრომის მიხედვით წარმოდგენილია ქართული ფეოდალური ქალაქის პერიოდიზაციის სრული სახე, უპირატესად კი აღნიშნული ეპოქის გვიანი პერიოდის ქალაქის განვითარების სქემა, დაწყებული მისი დაცემის ტენდენციებით და დროით, გვიანი შუა საუკუნეების ქალაქის წარმოშობით და ფორმებით დამთავრებული. ფაქტურად ამით სრულდება მის მიერ ჯერ კიდევ ადრინდელ ნაშრომებში მოცემული ქართული ფეოდალური ქალაქის პერიოდიზაციის სრული სურათი, რაც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის.

ავტორის მიერ მოცემული ეტაპები ქართული ქალაქების განვითარებისა, როგორც ადრინდელი, სწორია. მაგრამ ჩვენ ვერ დავთანხმებით მას XIII ს-ში საქალაქო ცხოვრების დაცემის ერთ-ერთი მიზეზის გამო. ავტორი სადღუნ მანკაბერდელის მიერ რამდენიმე დიდი

ქალაქის ხელში ჩაგდების გამო აღნიშნავს: „ქართული ქალაქების ისტორიაში ეს უმაგა-  
ლით შემთხვევა იყო-ქალაქები ხელთ უვარდებათ არა სამეფო კარის წარმომადგენელს და  
ვფიქრობთ, სწორედ ეს მოვლენა, ასევე გარეპოლიტიკური მოძალბა იქცა ძირითად მიზე-  
ზებად, რითაც უნდა აიხსნას ქართული ფეოდალური ქალაქის დაცემა“ (გვ. 10). რომელიმე  
ფეოდალის მიერ ქალაქების ხელში ჩაგდება არ შეიძლება გამოიწვიოს საქალაქო ცხოვრე-  
ბის დაცემა. კერძოდ, ამ შემთხვევაში, XIII ს. ქართული ქალაქების დაცემის მიზეზე-  
ბი ავტორის საკმაოდ დასაბუთებული აქვს: ეს არის შედეგი გარეპოლიტიკური ძაბობის  
გამო საქართველოს ეკონომიკური ღონის დაცემისა.

ნაშრომში განხილულია კახეთის XIV-XVII სს. ქალაქები, მაგრამ ავტორი არ შემო-  
ფარგულა აღნიშნული ქრონოლოგიური სქემით და საკვლევი თემისათვის უცდია ვრცელი  
ფონის შექმნა, რაც გულისხმობს წინამდებელი დასახლების ზონების შესწავლას; ეს კი  
თავისებური გეოგრაფიული და სამეურნეო სურათის გათვალისწინებასთან არის დაკავშირე-  
ბული, ჯერ კიდევ ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში ავტორმა შესაბამის სადაზვერვო  
ფაქტებზე დაყრდნობით გამოთქვა ვარაუდი და წინამდებარე ნაშრომის ვრცელ შესავალ  
ნაწილში დამაჯერებლად დაასაბუთა კახეთის გაღმა მხარის გეოგრაფიული განლაგების მი-  
ხედვით თავისებური, სამეურნეო და ადმინისტრაციული ერთეულების არსებობის ფაქტი,  
სადაც მთავის როლში საეკლესიო ორგანიზაცია ჩანს. აღნიშნული ერთეულები კავკასიო-  
ნიდან გამომავალ მდინარეთა შორის არსებულ კარგად ორგანიზებულ სამეურნეო და ადმინისტ-  
რაციულ ზონებს წარმოადგენდნენ, სადაც უკლებლივ ყველგან IV-VI სს. ეკლესიებს ვხვ-  
დებით. ავტორს ყველა ზონაში აქვს დადასტურებული საირიგაციო სისტემები (გავახის,  
არემის, კაბალის, ლაკვის და სხვ.) და ადრექრისტიანული ხანის ეკლესიები, რომელთა-  
გან უმეტესობას ავტორმა მიაკვლია, დააფიქსირა და მეცნიერულ მიმოქცევაში შეიყვანა  
(ღუბე, ყორიანი, ლაკო, არეში და სხვ.). საირიგაციო სისტემების თუ უცნობი საეკლესიო  
ტაძრების მიკვლევა შრომატევად და ნაყოფიერ საველე საქმიანობასთან არის დაკავში-  
რებული, რაც ავტორმა განახორციელა სავლელ კვლევა-ძიების დროს. სამეურნეო თუ ადმი-  
ნისტრაციული ერთეულების დადასტურების ასეთი ფაქტები, რომლებიც საეკლესიო ტაძრების  
მთავრობით არსებობენ ქრისტიანობის გავრცელების პირველივე საფეხურებიდან (ავტორი  
თვლის, რომ ეს შეიძლება ვიგულისხმოთ წინაქრისტიანული ხანიდან), უმაგრებს საფუძველს  
ადრეფეოდალურ კახეთში თეოკრატიული მმართველობის არსებობას. ნაშრომის შესავალი ნა-  
წილი, სადაც აღნიშნული ნაწილებია შესწავლილი, ღრმა მეცნიერული ანალიზით გამოირჩევა  
და მეტად საყურადღებო დასკვნებია მოცემული.

მეტად ორიგინალურია და დამაფიქრებელი ავტორის მსჯელობა ბარისა და მთის, ორი  
განსხვავებული გეოგრაფიული და სამეურნეო ზონის, მკვლევრებთა ურთიერთობის საკითხებზე,  
რაზედაც მნიშვნელოვნად იყო დაფუძნებული ამ ორი რეგიონის ავტარგანიობა. ავტორმა  
ნაშრომში წარმოადგინა ბარისა და მთის ურთიერთობის რამდენიმე მთავარი ეტაპი; რომლე-  
ბიც კარგად ასახავენ და ხსნიან მათ შორის არსებულ მშვიდობიან თუ გამძაფრებულ დამო-  
კიდებულებას ვრცელი დროის მონაკვეთში.

მთელი რეგიონის გეოგრაფიული და სამეურნეო დახასიათების საფუძველზე, პოლიტიკუ-  
რი ვითარების გათვალისწინებით, ავტორი გვთავაზობს თავის შეხედულებას კახეთის ქალა-  
ქების წარმოქმნის დროისა და პირობების შესახებ. მსჯელობა საფუძვლიანია; მაგრამ,  
ჩვენი აზრით, ავტორი ერთ შემთხვევაში არ არის სწორი, როდესაც აღნიშნავს: „რაც არ  
უნდა პარადოქსულად ჩანდეს, ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლას და დანაწევრებას  
შედეგად ახალი ქალაქების წარმოშობა მოჰყოლია“ (გვ. 34). ქვეყნის დაშლამ არ შეიძლე-  
ბა ახალი ქალაქების წარმოშობა და განვითარება გამოიწვიოს. კახეთის ქალაქების წარ-  
მოშობა და განვითარების მიზეზები ავტორის საკმაოდ დამაჯერებლად აქვს მოცემული  
და დამატებით ამდაგვარი მიზეზის მოტანა არასწორად მიგვაჩნდა.

„კახეთის ქალაქები“ პირველი ნაშრომია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, სადაც მაღალ  
მეცნიერულ ღონეზე, სათანადო მეცნიერული აპარატის მოშველიებით, არის განხილული და  
სამეცნიერო მიმოქცევაში შეყვანილი დიდი რაოდენობის არქეოლოგიური მასალა. არქეოლო-  
გიური მასალების კლასიფიკაცია, დათარიღება თუ წარმომავლობის განსაზღვრა ემყარება  
თანამედროვე არქეოლოგიური მეცნიერების სტანდარტებს, გამოყენებულია უახლოესი ლიტე-  
რატურა, გამოთქმული კვალიფიკაციები თანამედროვე ღონის შესაფერისია. ასეთი შესწავ-

დის შედეგია, რომ, მაგალითად, გრემში აღმოჩენილ არც თუ მრავალრიცხოვან მასალაში ავტორმა გამოყო როგორც ადგილობრივი, ისე სხვადასხვა ქვეყნიდან—ჩინეთიდან, სპარსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან (ქირმანი, ქაშანი, იეზდი) და სხვ. შემოტანილი ნაწარმი.

ნაშრომის მიხედვით მკითხველი ამომწურავ პასუხს მიიღებს გვიანი შუა საუკუნეების ქალაქების შესახებ, მათ შორის იგულისხმება ის ქალაქებიც, რომელთა შესახებაც ადრე თითქმის არაფერი ვიცოდით. ავტორის დამსახურებაა, რომ მოახერხა მეტად მნიშვნელოვანი ქალაქის ბაზრისა და ზაგემის იდენტიფიკაციის დამტკიცება, მისი ზუსტი ლოკალიზება, რაც შესაძლებელი გახდა ადგილზე ჩატარებული კვლევა—ძიების შედეგად. ასეთმა ძიებამ მოგვცა არაერთი საყურადღებო ნივთიერი ძეგლი, მათ შორის აქვე მოჭრილი მონეტების განძიც.

ასევე ითქმის კაკის (კახის) შესახებაც. ის მეცნიერულ ლიტერატურაში თითქმის არც იყო ცნობილი და მკითხველი ბევრ საგულისხმოს ნახავს ამ მნიშვნელოვანი პუნქტის, ასევე მისი რეგიონის შესახებაც.

ნაშრომის ღირსებად უნდა იყოს მიჩნეული, რომ ქალაქები წარმოდგენილი არიან მათი ადგილისა და მნიშვნელობის მიხედვით. ისე რომ, დიდი ქალაქების გვერდით შეიძლება გავცენოთ „მცირე ქალაქებსაც“. დასახლებათა ეს ტიპი გარკვეული მოტივით არის გამოყოფილი სხვა დასახლებული ადგილებიდან— ან როგორც სამეფო რეზიდენციები, ან როგორც ვაჭრობაში ჩაბმული დასახლებანი. აქ ავტორს დიდი სამუშაოები ჩაუტარებია, რომ ზოგი დასახლებების ზუსტი ადგილმდებარეობა დაედგინა. ასეთნაირად შეიძლება მიღებულად ჩავთვალოთ წერილობით წყაროებში მოხსენებული ზოგი პუნქტის ავტორისეული ლოკალიზაცია (თაღა, ბეთანი, შუამთა). თაღა ძველი მაჭის ადგილზე ჩანს აღმოცენებული და მნიშვნელოვანი დასახლებას მოიცავდა XV—XVII სს.ში, მის შესახებ ხშირად აღნიშნავენ რუსი დიპლომატები; რაც შეეხება ბეთანს, როგორც სამეფო რეზიდენცია, ძველი ბოსტან—ქალაქის (იგულისხმება საინგილოს ბოსტან—ქალაქი) წაფუძარზე აღმოცენებული. საინტერესოა, რომ ბოსტან—ქალაქიც (კახეთის რუსთავის მიხედვით) სწორედ სამეფო ადგილს, რეზიდენციას, საუფლისწულოს აღნიშნავდა ადრეული შუა საუკუნეებიდანვე. ძლიერ საყურადღებოა, რომ აქვე რუსთავიც არის დაფიქსირებული. მისი ტერიტორია განსაზღვრულია ავტორის მიერ საკმაოდ დამაჯერებლად.

ავტორი სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობისას უხვად იყენებს ტოპონიმიკურ მასალებს. ეს მასალები მის მიერვეა მოძიებული და დამუშავებული. განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის მიერ მიკვლეული ქართული ტოპონიმები დასახლებათა მნიშვნელოვან რეგიონებში თანამედროვე საინგილოდან შემახამდე (ლექართი, ჩოჩხათი, ექიძისი, ოხუთი; ზედგზისი, გიურჯიბაზარი გიურჯიყვანი და სხვ. მრავალი).

აქვე უნდა აღინიშნოს ავტორის გონება მახვილური დაკვირვება მონღოლების დროინდელი სიბას შესახებ. გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრება, რომ ის შეიძლება ვიგულისხმოთ შემახასთან, ხეობის ჩამკეტ ზონაში, სადაც ქართული ტოპონიმები დღესაც არის შემორჩენილი (გიურჯიყვანი).

მონოგრაფიაში საკმაოდ ვრცელი ადგილი უკავია საქალაქო მეურნეობის სახეების გარკვევას, ასევე იმ უბნების შესახებ მსჯელობას, რომლებიც საქალაქო ცხოვრებასთან, ვაჭრობა=ხელისნობასთან არიან დაკავშირებული (ქულბაქები, ქარვასლები, სავაჭრო ადგილები და სხვ.). დიდი ადგილი უკავია წიგნში სავაჭრო გზების განხილვას. ავტორის მიერ გამოყოფილი მთავარი საგზაო მარშრუტები გულმოდგინე დაზვერვების შედეგად არის დადგენილი, განსაზღვრულია თითოეული პუნქტი; დღიური განძილი; საქალაქო ნაგებობები და სხვ. გონება მახვილური დაკვირვებაა გამოთქმული ერთსა და იმავე ტრასაზე განლაგებული სხვადასხვა ეპოქის გზების შესახებ და პუნქტების გადაწვევების თაობაზე.

ლ. ჭილაშვილის მონოგრაფია „კახეთის ქალაქები“ ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია, ასახავს თანამედროვე ისტორიული მეცნიერების დონეს და დიდი როლი მიუძღვის საერთო მეცნიერების განვითარებაში.

მუზეუმის 1982 წლის ქრონიკა

გამოცემული ნაშრომები

მუზეუმმა 1982 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა საზით გამოსცა:

- I. ავტორთა კოლექტივი - საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორიიდან, თბილისი, „მეცნიერება“.
2. ავტორთა კოლექტივი - რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, თბილისი, „მეცნიერება“.
3. ავტორთა კოლექტივი - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“ XXXVI-**B**, თბილისი, „მეცნიერება“.
4. მ.ანთაძე - საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVII საუკუნეების ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, თბილისი, „მეცნიერება“.
5. მ.ზანდუკელი - ქართული ხალხური კერამიკა (ქსნის ხეობა), თბილისი, „მეცნიერება“.
6. ი.ჩხატარაიანი - ანტირელიგიური ბრძოლა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, „მეცნიერება“.
7. ც.კაკაბაძე - შრომული კერამიკა, თბილისი, „მეცნიერება“.
8. ქ.მუშკუდიანი - ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობა და სამრეწველო პროდუქტ-რიატი რევოლუციამდე დასავლეთ საქართველოში, თბილისი, „მეცნიერება“.
9. ი.გაგოშიძე - თრიალეთის სამაროვნები, III, კატალოგი (ანტიკური ხანის სამაროვნები), თბილისი, „მეცნიერება“.
10. ე.გოგაძე = კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბილისი, „მეცნიერება“.
11. თ.ჩიქოვანი - კოლხეთის დაბლობის ამოწრობის ისტორია (1921-1941 წწ.)
12. პ.ზაქარაია - საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“.

სამეცნიერო სესიები

12-13 მაისს ჩატარდა მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ 1981 წ. ჩატარებული საველე კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მოსმენილ იქნა ექსპედიციების ხელმძღვანელთა 8 საანგარიშო მოხსენება: ყვირილის აუზის (დ. თუმ-აბრამიშვილი), ქვემო ქართლის (თ. კილურაძე), ნოსირი-მუხურჩის (ე. გოგაძე), ბერიკლდე-ების ნასოფლარის (ა. ჯავახიშვილი), ნოქალაქევის (პ. ზაქარაია), არემის (ლ. ჭილაშვილი), ვანის ქვაბისა და გარეჯის (გ. გაფრინდაშვილი), კაზრეთის (მ. სინაურიძე).

21 მაისს შედგა მუზეუმის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. წაკითხულია 8 მოხსენება:

1. ლ. ჭილაშვილი - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი 130 წლისთავზე.
2. ა. ჯავახიშვილი - მუზეუმის სამეცნიერო და საფონდო -საგამოფენო საქმიანობა.
3. დ. თუმბარამიშვილი - საქართველოს პალეოლითი.
4. ა. გეგეჭკორი - მუზეუმის ზოოლოგიური ფონდები.
5. თ. ჯაფარიძე - მარტყოფის ყორღანები.

6. შ.ლომსაძე - ბეშქენ ჯაყელი და ბეშქენიდეები.
7. გ.ჯალაბაძე - თანამედროვე ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში.
8. გ.გაფრინდაშვილი - გუმბათოვანი ეკლესიების გენეზისი.

1972 წელს სვანეთის - საქართველოს ამ ისტორიული პროვინციის ყოველმხრივ შესწავლასა და, პირველ რიგში, იქ დაცული უმდიდრესი სხვადასხვა სახის ხელოვნების, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ისტორიული ძეგლების აღრიცხვის, შესწავლისა და მათი საიმედო დაცვის საქმის მოგვარების მიზნით შეიქმნა მუზეუმის სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიცია.

ექსპედიციამ, რომელსაც ისტ.მეცნ.კანდიდატი მ.ჩართოლანი ხელმძღვანელობს, ათი წლის განმავლობაში ადრეცხა ზემო სვანეთის ეკლესიებსა და ოჯახებში დაცული მასალები, შექმნა დაცვითი ზონები, სადაც მათ მოუყარა თავი, რითაც უზრუნველყო მასალების ხელშეუხებლობა. ასეთივე სამუშაოები ჩატარდა აგრეთვე ქვემო სვანეთშიც.

1982 წლის 23-24 ივნისს შედგა ს.ჯანაშიას სახ.საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის გაერთიანებული სესია, მიძღვნილი სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციის 10 წლისთავისადმი. სესიაზე შესავალი სიტყვა წარმოიტვა მუზეუმის დირექტორმა, პროფესორმა ლ.ჭილაშვილმა. მოსმენილია მუზეუმის თანამშრომელთა 7 მოხსენება:

1. მ.ჩართოლანი - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციის 10 წლის (1972-1981 წწ.) მუშაობის შედეგები.
2. ლ.ბედუციძე - სვანური ავეჯი.
3. მ.სინაურაძე - იენაშისა და ლაბსყალდის ეკლესიებში დაცული ზოგიერთი ნივთის განსახლვრისათვის არქეოლოგიური მონაცემების შექმნა.
4. მ.ხიზანიშვილი - ზოგიერთი სარიტუალო ნივთის ფუნქციისათვის.
5. მ.მაკალათია - წყლის კულტის გადმონაშთისათვის სვანეთში.
6. ლ.სოსელია - სვანი ქალის სამკაული.
7. გ.ჯალაბაძე - საქართველოს სახ.მუზეუმის კოლექციები სვანეთიდან.

ნოქალაქევი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ისტორიული ძეგლია. ისტორიული წყაროების მიხედვით ეს პუნქტი წარმოადგენდა ლაზთა ქვეყნის მთავარ ქალაქს და მისი დაარსება მიეწერება ეგრისის ერისთავს ქუჯის. 1930-1931 წწ. შეიქმნა კომისია ივ.ჯავახიშვილის, გ.ჩუბინაშვილის, ს.ყაუხჩიშვილის, გ.ნოროაძის შემადგენლობით, რომლის საერთო ხელმძღვანელობა გერმანიიდან მოწვეულმა მეცნიერმა ა.შნაიდერმა წამოიწყო არქეოლოგიური გათხრები ნოქალაქევიში. ამის შემდეგ სამუშაოები დიდი ხნით შეწყდა, მაგრამ ინტერესი ამ ძეგლის მიმართ არ შენეებულა.

1972 წელს ს.ჯანაშიას სახ.საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა პროფ.პ.ზაქარაიას ხელმძღვანელობით განაახლა ნოქალაქევის-არქეოპოლისის-ციხეგოჯის არქეოლოგიური გათხრები. ათი წლის განმავლობაში ექსპედიციამ ჩატარა დიდი მასშტაბის სამუშაოები, რომელთა შედეგად შესწავლილია ქალაქის გამაგრების სისტემა, მასში მოქცეული სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებით - ორი აბანო, ორი ეკლესია, სასახლის ნაშთები, სამაროვნები და სხვა ობიექტები.

გათხრების პარალელურად აქ ტარდება დიდი მასშტაბით სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები. ყოველივე ამის შედეგად ნოქალაქევი დღეს საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლია.

საანგარიშო წელს მუზეუმმა მოაწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია ნოქალაქევიში, მიძღვნილი არქეოლოგიური ექსპედიციის 10 წლისთავისადმი.

მუზეუმი ერთ-ერთი პირველი გამოცხადებულ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1975 წელს მიღებულ დადგენილებას „მაცნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდებოდა მიმდინარე წელსაც. მუზეუმმა საქართველოს კპ თბილისის კალინინის რაიკომთან ერთად ჩატარა თეორიული კონფერენცია თემაზე: „ათეისტური აღზრდის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“.

## თხაამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა თ. შორჩაძემ წარმატებით დაცვა დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: შიდა ქართლის ანტიკური პერიოდის კერამიკა (პეტროგრაფიული მონაცემებით).

## სამეცნიერო ექსპედიციები

1982 წელს მუზეუმმა განახორციელა მრავალფეროვანი საცელე სამუშაოები, მოაწყო ერთი ზოლოგიური, 3 ბოტანიკური, 6 გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, 4 ეთნოგრაფიული და II არქეოლოგიური ექსპედიცია; მოპოვებულია დიდძალი ახალი მასალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადრეული ბრინჯაოს ხანის ოქროსა და ბრინჯაოს იარაღ-სამკაულისა და შესანიშნავი შავი კერამიკის შემცველი მდიდრული ყორღანის გათხრა მარტყოფის მიდამოებში და შუადახ გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდა მავალი პერიოდის ეტლიანი, ბრინჯაოს ფიგურებიანი და იარაღიანი, შავი კრიალა კერამიკიანი ყორღანის აღმოჩენა ქარელის რაიონში; ადგილ ბერიკლდეებში.

## სამუზეუმო კოლექციების აღრიცხვა-დაცვა, ახალი კოლექციები

1982 წელს ჩატარებულ სამუზეუმო სამუშაოთაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს საფონდო კოლექციების დაცვისა და შეკრებისათვის განხორციელებული ღონისძიებები; კერძოდ; მუზეუმის ქიმიურ-სარესტრავრაციო ლაბორატორიაში, სხვადასხვა განყოფილების თანამშრომლებთან ერთად, დამუშავდა როგორც ფონდებში დაცული, ისე ექსპედიციების მიერ მოპოვებული და ახლად შემოსული მასალები. ქიმიურად გაიწმინდა, რესტავრაცია გაუკეთდა და დაკონსერვდა 427 ბრინჯაოს, 138 რკინის, 178 ვერცხლის არქეოლოგიური ნივთი, 17 ვერცხლის ეთნოგრაფიული ნივთი, 360 ვერცხლისა და სპილენძის მონეტა, 400 ცალი მინის, პასტისა და სხვა მასალის ექსპონატი; გამაგრებულია ოქროს უძვირფასესი რამდენიმე უნიკალური ნივთი. გარეცხილია და გასინჯული არქეოლოგიური კერამიკული მასალის 580 შტეკრა, საიდანაც აღდგენილია 221 ჭურჭელი, კონსერვირებულია ძვლის 25, ხის 5 და ქსოვილის 5 ექსპონატი.

ექსპედიციის მეშვეობით, შემოწირულობისა და შესყიდვის გზით 1982 წელს მუზეუმის ფონდებში შემოვიდა 19314 ექსპონატი.

## გამოფენები

1982 წელი აღინიშნა განსაკუთრებული მოვლენებით საგამოფენო დარგში-მუზეუმმა გაიხატა თავისი კოლექციები საზღვარგარეთ - საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმსა და კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტთან ერთად მოაწყო ძველი ქართული ოქრომჭედლობის გამოფენა პარიზში. საგამოფენოდ შერჩეული იყო ორ ათეულზე მეტი უნიკალური ექსპონატი, რომლებიც წარმოადგენას იძლევა ოქრომჭედლობისა და ტორეტიკის განვითარების დონეზე საქართველოში ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულიდან ადრეფეოდალურ ხანამდე; მათ შორის იყო კახეთში აღმოჩენილი ლომის ოქროს ქანდაკება, ვანის ოქროს დიადემა და სხვა სამკაულები, ახალგორის ცხენიანი სასაფეთქლე, არმაზისხევის პიტახშთა სამარხების ოქრო-ვერცხლის ნივთები და სხვა. ოქრო-ვერცხლის ნივთების გარდა გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შესაბამისი ხანის ბრინჯაოს მხატვრული ნაკეთობის საუკეთესო ნიმუშებიც.

გამოფენა გაიხსნა 16 ივლისს „გრან პალეში“ და გაგრძელდა სამი თვე. გამო-

ფენას დიდი წარმატება ჰქონდა როგორც სპეციალისტების წრეში, ისე რიგით მაყურებლებში. დაიბეჭდა გამოფენის უხვად ილუსტრირებული კატალოგი, რომლის შესაბამისი ნაწილი შეადგინა საქართველოს მუზეუმმა.

### სამეცნიერო პრობაგანდა

მუზეუმის გამოფენები დაათვალიერა 260 935 კაცმა; ლექცია-საუბარი ჩატარდა 180 340 დამთვალიერებელს, რომელთა შორის იყო 18 190 მოსწავლე, 12 820 მუშა-მოსამსახურე, 32 120 კოლმეურნე და 37 150 სხვა კატეგორიის სტუმარი. სულ ჩატარდა 12 230 ლექცია-საუბარი. მუზეუმში პრაქტიკა გაიარა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 238-მა სტუდენტმა.

### მუზეუმის 1983 წლის ქრონიკა

#### გამოცემული ნაშრომები

მუზეუმმა 1983 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით გამოსცა:

1. ავტორთა კოლექტივი - საბჭოთა საქართველოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ისტორიიდან, თბილისი, „მეცნიერება“.
2. ავტორთა კოლექტივი - რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები, VII წიგნი, თბილისი, „მეცნიერება“.
3. ც.დავლიანიძე - ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა, თბილისი, „მეცნიერება“.
4. პ.ზაქარაია - აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლები (რუსულ ენაზე), მოსკოვი, „ისკუსტვო“.

#### სამეცნიერო სესიები

მაისში მოეწყო 1982 წელს განხორციელებული სავალდებულო-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

მოსმენილ იქნა ექსპედიციების ხელმძღვანელთა 8 საანგარიშო მოხსენება: ყვირილის აუზის (დ.თუშაბარამიშვილი), დედოფლის მიწის (ი.გაგოშიძე), ქვემო ქართლის (თ.კილურაძე), ნოსირი-მუხურჩის (ე.გოგაძე), ბერიკლდეების (ა.ჯავახიშვილი), ნოქალაქევის (პ.ზაქარაია), არემის (ლ.ჭილაშვილი), ვანის ქვაბის და გარეჯის (გ.გაფრინდაშვილი).

მუზეუმის ფილიალმა - სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა მესტიაში ჩატარა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი.

მუზეუმის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმის (თბილისი), ხალიჩების ქსოვის ხელოვნებისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო სიმპოზიუმის (ბაქო), კავკასიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ლითონის ადრეული ხანისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის (თელავი) მუშაობაში.

#### სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლება

ისტ.მეცნ.კანდიდატმა ი.გაგოშიძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართლი (იბერია) ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-I საუკუნეებში“.

მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა თ.გელაძემ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მეცნიერებებისადმი დაკავშირებული შრომითი გაერთიანებები აღმოსავლეთ საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)“, მუზეუმის თანამშრომელმა მ.მიხაილოვმა

თემაზე „საქართველოში მცხოვრები ბერძენების კულტურა და ყოფა“, ხოლო მუზეუმის თანამშრომელმა ც.ღვამბერიძემ თემაზე: „საფონდო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XIV საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში“.

### სამეცნიერო ექსპედიციები

1983 წელს მუზეუმმა განახორციელა ფართო სავიწრო სამუშაოები, მოაწყო ზოლო-გიური, ბოტანიკური, გეოლოგიურ-პალეონტოლოგიური, ეთნოგრაფიული, სპელეოსტიკური და არქეოლოგიური ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა რაიონში, რომელთა შედეგად მოპოვებულია მნიშვნელოვანი მასალები.

სამუზეუმო კოლექციების აღრიცხვა-აღაცვა, ახალი კოლექციები

1983 წ. ჩვეულებისამებრ შესრულდა დიდი მოცულობისა და მრავალფეროვანი სამუზეუმო სამუშაო. ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში ქიმიურად გაწმენდილი, რესტავრირებული და კონსერვირებულია 300-მდე ლითონისა და 3500-ზე მეტი ხის, ტყავისა და ქსოვილებისაგან დაშადებული ექსპონატი; სხვადასხვა ფონდში ჩატარებულია დაცვითი პროფილაქტიკური ღონისძიებები-დეზინფექცია, დეზინსექცია და სხვ.

ექსპედიციების მეშვეობით, შემოწირულებისა და შესყიდვის გზით წლის განმავლობაში მუზეუმის ფონდებში შემოვიდა 6513 ექსპონატი.

### ამოფენები

1983 წელს მომზადდა ორი დიდი გამოფენა: „საქართველოს მატერიალური კულტურა (V-XVII საუკუნეები)“ და „საქართველოს მატერიალური კულტურა (1801-1921 წლები)“. შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნის აქამდე არსებული გამოფენები მოწყობილი იყო ოკიოდე წლის წინ და გასაგებია, რომ 1983 წელს მომზადებული გამოფენები გამდიდრებულია ახალი, მნიშვნელოვანი ექსპონატებით, რომელთა ნაწილი მიღებულია არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სხვადასხვა ექსპედიციების ფონდებიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გვიანდროლოგიური ხანის მატერიალური კულტურის ექსპონირების მოწყობით შეივსო ქრონოლოგიური ხარვეზი, რომელიც აქამდე გააჩნდა ჩვენს გამოფენას; აქ წარმოდგენილი მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი არასოდეს არ ყოფილა ექსპონირებული. ამრიგად, მომზადდა სრულიად ახალი ორი გამოფენა, სადაც მინიმუმამდე დაყვანილი და მხმარე ექსპონატების რიცხვი, განსხვავებით ძველი გამოფენებისაგან, სადაც მათ თითქმის თანაბარი, ზოგან კი უფრო მეტი ადგილი ჰქონდათ მიკუთვნებული ვიდრე ორიგინალებს.

მუზეუმმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ახალ შენობაში დიდი ახალი გამოფენის ორგანიზაციაში; კიდევ მეტი - ეს გამოფენა, რომელიც მოიცავს საქართველოს ამ კუთხის - კახეთის ისტორიას უძველესი დროიდან დღევანდელმდე და შედგება არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული ნაწილებისაგან, მთლიანად, დაწყებული თემატური -საექსპოზიციო გეგმითა და დამთავრებული ექსპოზიციის მონტაჟით, ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლების მიერაა განხორციელებული. გამოფენის გახსნა დაემთხვა გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 200 წლის იანის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებებს.

### სამეცნიერო პროპაგანდა

იმის მიუხედავად, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში რეექსპოზიციის გამო დახურული იყო ორი გამოფენა, დამთავრებულა რიცხვი შემიკრების ნაცვლად საგრძობლად გაიზარდა; თუ 1982 წელს ის 261 000 უდრიდა, 1983 წელს მან 300 940 კაცს მიაღ-

წია. ეს უთუოდ არის მუზეუმის მეცნიერული პროპაგანდის განყოფილების ენერგიული მუშაობის შედეგი. განყოფილების თანამშრომლებმა 15 520 ლექცია და საუბარი ჩაუტარეს 200 130 სტუმარს. რომელთა შორის იყო 100 113 მუშა-მოსამსახურე, 35 576 კლემურნე, 20 123 მოსწავლე.

ჩვეულებისამებრ, სამუზეუმო პრაქტიკა გაიარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებმა. მუშაობას განაგრძობდა მუზეუმის მუდმივმოქმედი ლექტორი; წლის განმავლობაში წაკითხული იქნა 11 სამეცნიერო-პოპულარული ლექცია.

#### ფილიალები

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ საანგარიშო წელს შესრულებული სამუშაოთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გამოფენა, რომელიც მან მაისის თვეში მოაწყო თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის შენობაში, სახელწოდებით „სვანეთის საგანძურები“. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო უდიდესი ისტორიული და მხატვრული ღირებულების მქონე 34 ექსპონატი - დასურათებული ხელნაწერები და უნიკალური ფერწერული ხატები; გამოფენა „სვანეთის საგანძური“ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისის კულტურულ ცხოვრებაში და მას სათანადო გამხმარებაც ჰქონდა.

მუზეუმში კვლავ აგრძელებდა ზრუნვას მის ფონდებში დაცული და სხვადასხვა ადგილას გაბნეული ფერწერული ხატების გაწმენდა-რესტავრაციაზე-გაიწმინდა და გამთელდა 3 ხატი, რესტავრაციის პროცესშია 4.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამეცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი განაგრძობდა შემგროვებლობით მუშაობას და სათანადო კოლექციების მოვლა-პატრონობას; აღსანიშნავია ხელნაწერთა ფონდში ჩატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებები.

ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I ფასანაურის განძი
- ტაბ. II ჩაბარუხის განძის ნივთები: I. ბრინჯაოს თასი,  
2. ბრინჯაოს თასი ზოომორფული სახელურით.
- ტაბ. III ბრინჯაოს ცული ძაღლის გამოსახულებით (თლი, სამარხი №51);
- ტაბ. IV ბრინჯაოს ცული ძაღლის გამოსახულებით (თლი, სამარხი №161);
- ტაბ. V ბრინჯაოს ცული ძაღლის და „მალტის“ ჯვრის გამოსახულებით  
(თლი, სამარხი №52);
- ტაბ. VI ბრინჯაოს ცული ირმის გამოსახულებით (ჩაბარუხის განძი);
- ტაბ. VII I. დავით საგარეჯოს ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი;  
2. სვეტი ფესტონებიანი კაპიტელით,  
3. ეკლესიის ინტერიერი, საკურთხეველი.
- ტაბ. VIII რუისის განძი
- ტაბ. IX კორინთის განძი
- ტაბ. X ქვახვრელის განძი (XI ს. თბილისის ამირა ალი-იბნ ჯაფარის  
მონეტები);
- ტაბ. XI I. ქარქაში; 2. სპარსულწარწერიანი ხმალი; 3. ხმლის პირის  
დეტალი.
- ტაბ. XII 4, 5 ოვალური საღებები; 6, 7. რომბისებური ფირფიტები;  
8. ოქროს ზარნიშით შესრულებული წარწერები; 9. წარწერის  
დეტალი.

Описание таблиц

- Табл. I Пасанаурский клад  
 Табл. II Предметы из Чабарухского клада: 1. бронзовая миска, 2. бронзовая миска с зооморфной ручкой  
 Табл. III Бронзовый топор с изображением собаки (ТМИ, погребение № 51)  
 Табл. IV Бронзовый топор с изображением собаки (ТМИ, погребение № 51)  
 Табл. V Бронзовый топор с изображением собаки и майятйского креста (ТМИ, погребение № 52)  
 Табл. VI Бронзовый топор с изображением олени (Чабарухский клад)  
 Табл. VII Восточный фасад церкви Давид-Сагареджо; Пилестр с капителю, обрамленной фестонами. 3. Интерьер церкви, апсида  
 Табл. VIII Русский клад  
 Табл. IX Коринтский клад  
 Табл. X Квахьрельский клад (монеты XI в. Тбилисского эмира Али-ибн-Джафара)  
 Табл. XI Ножи; Сабля с персидскими надписями; 3. деталь клинка  
 Табл. XII 4,5. Овальные обручи; 6,7. Ромбовидные пластины; Надписи, выполненные золотым тиснением; 9. Детали надписей



ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I ფასანაურის განძი  
 ტაბ. II ჩაბარუხის განძის ნივთები: 1. ბრინჯაოს თასი, 2. ბრინჯაოს თასი ზოომორფული სახელურით.  
 ტაბ. III ბრინჯაოს ცული ძაღლის გამოსახულებით (თლი, სამარხი №51);  
 ტაბ. IV ბრინჯაოს ცული ძაღლის გამოსახულებით (თლი, სამარხი №161);  
 ტაბ. V ბრინჯაოს ცული ძაღლის და „მაღტის“ ჯვრის გამოსახულებით (თლი, სამარხი №52);  
 ტაბ. VI ბრინჯაოს ცული ირმის გამოსახულებით (ჩაბარუხის განძი);  
 ტაბ. VII 1. ღავით საგარეჯოს ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი; 2. სვეტი ფესტონებიანი კაპიტელით; 3. ეკლესიის ინტერიერი, საკუთხეველი.  
 ტაბ. VIII რუსის განძი  
 ტაბ. IX კორინთის განძი  
 ტაბ. X ქვახვერელის განძი (XI ს. თბილისის ამირა ალი-იბნ ჯაფარის მონეტები);  
 ტაბ. XI 1. ქაქაში; 2. სპარსულწარწერიანი ხმალი; 3. ხმლის პირის დეტალი.  
 ტაბ. XII 4,5 ოვალური საღტეები; 6,7. რომბისებური ფირფიტები; 8. ოქროს ზარნიშით შესრულებული წარწერები; 9. წარწერის დეტალი.





II







V




VI

















ს ა რ ვ ე ვ ი - С о д е р ж а н и е

სტატიები - Статьи

Джапаридзе О.М. К вопросу о ранних стадиях первобытной культуры на Кавказе по данным археологии . . . . .	5
Панцхава Л.Н. Некоторые вопросы колхидской и кобанской культур (по материалам чабарухского и пасанаурского кладов) . . . . .	23
კილურაძე თ. მწარმოებლური მეურნეობის ჩასახება-ჩამოყალიბების საკითხისათვის საქართველოს ტერიტორიაზე . . . . .	35
Кигურაძე Т.К. К вопросу о становлении производящей экономики на территории Грузии . . . . .	51
Кикодзе З.К. Бифас-колун в ашеле Кавказа . . . . .	55
წიწქელია მ. III საუკუნის იბერია ფალაური ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით . . . . .	64
Бериашвили М.Г. Хеттская инструкция обслуживающего персонала царского дворца . . . . .	72

ინფორმაციები - Информации

გოცაძე კ. აკლდამა-სამარხი ნაგებობა . . . . .	78
Гоцадзе К.М. Аклдама (склеп) - погребальное сооружение . . . . .	84
აფხაზაძე ბ. მხედრის სამარხი ქვემო აღევცოდან . . . . .	85
Апхазова Н. Погребение "воина" из с.Квемо Алеви . . . . .	97
სინაურაძე მ. დავით საგარეჯოს ეკლესია მაშავერის ხეობაში . . . . .	98
Синауридзе М.И. Церковь Давид-Сагареджо Машаверского ущелья . . . . .	102

სამუზეუმო კოლექციები - Музейные коллекции

კიკნაძე გ. მუზეუმის ლითონის ჭურჭლის ახალი კოლექციები . . . . .	103
დოლაბერიძე რ. მხედრის მცირე ქანდაკებები თუშეთიდან . . . . .	106
Долаберидзе Р.М. Малые скульптуры из Тушети . . . . .	115
Цоцелия М.Б. Клад сасанидских монет из с.Кохп . . . . .	116
ანთაძე შ. ქვახვრელის განძი . . . . .	121
Антадзе М. Квахверельский клад . . . . .	125
ქუთელია თ. ირანული ხმალი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდიდან . . . . .	126
Кутелия Т.С. Персидская сабля из фондов Государственного музея Грузии . . . . .	129

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია - Критика и библиография

ქანთარია ნ. მნიშვნელოვანი გამოკვლევა ძველი ქართული ქალაქების შესახებ (ლ.ჭილაშვილის „კახეთის ქალაქები“) . . . . .	130
მუზეუმის 1982-1983 წწ. კრონიკა . . . . .	133
ტაბულების აღწერილობა . . . . .	139
Описание таблиц . . . . .	140
ტაბულები . . . . .	141
Таблицы . . . . .	141

В Е С Т Н И К  
Государственного музея Грузии  
им. акад. С.Н. Джанашиа

XXXVIII—B  
"Мецნიერება"  
Тбилиси  
1986

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 2855

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდ.: ნ. ქანთარია  
მ. მენაბდე

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე  
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე  
ტექნიკური რედაქტორი ც. ქამუშაძე

გადაეცა წარმოებას II.5.1986 ; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.4.1986;  
ქალაქის ზომა 70 X 108 I/16; ქალაქი ოფსეტის; ბეჭდვა  
ოფსეტური; პირობითი საბეჭდო თაბახი 13.10; პირ. სალ. გატ. 13.14;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.10;

უფ. 01121 ტირაჟი 600; შეკვეთა №1715

ფასი 1 მან. 90 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство "Мецниереба", Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

2 9/2